

ლიტერატურული ალმანახი

# ხმარებაში

მარტი 2022

ნოქა ვლია თეზბიძელის სახელობის მონასტერი, VI ს.  
აღმშენილია ჯიბნ ნელს



№ 12

# ნოემ ფიროსმანი - 160

## ფიროსმანის მიგობრობის

ეს რა ეშმაკმა ააბორგა ამაღამ ქარი,  
ამიწიოკა, დამირბია მან შთაგონება!  
თბილისის ქუჩებს დავედევნე, ვიხმე ამქარი  
დავიწყებული ფიროსმანის მოსაგონებლად.

აქ, ამ ქუჩებში, დადიოდა, როგორც სიზმარი  
(საქართველოს ცას აქ ეტრფოდა მისი ოცნება),  
ჩამოხეული, ტანმალალი, მარად ხიზანი,  
მარტოდენ გული და ბაჯაღლო პატიოსნება.


მივალ, მხვდებიან საზანდრები, ქუჩის მგოსნები,  
ბნელთან მებრძოლი უსინათლო მეთარეები,  
„ტვინდასეტყვილი“ ნიკალაის ძველი დოსტები  
და ცოცხლდებიან ფიროსმანის მწარე დღეები.

ვეტყვი, „როგორმე მოიგონეთ, ძია-კაცებო,  
ლოთი მხატვარი, მარტოსული და მეგობარი.  
მითხარით რამე ფიროსმანის ბედის გარშემო  
და მერე შევსვათ მისი ხსოვნის შესანდობარი!“

– „თვითრჯული“ იყო, აუძღვრია სისხლი თბილისმა,  
სულ მარტო იყო, მარტო სვამდა, მარტო გათავდა,  
ფუნჯის მოსმის დროს ჰქონდა რაღაც ჯადო-თილისმა,  
არაყს დაღვედა და ქვეყანას დაგიხატავდა!

– შემოგხედავდა დარცხვენილი, ვერ გაიგებდი,  
რა ჭკვისა იყო, რა ჰაზრების და რა გუნების,  
უყვარდა მტკვარი, მტკვარზე ტივი, ტივზე ტიკები,  
გოჭი, მწვანელი და ფრთიანი ორაგულები!

– როცა ზაფხული დადგებოდა თბილის-ქალაქში.  
ჯავრობდა: ხედავ, ყველაფერი როგორ ხმებაო.  
გაქვევოდა ირემივით მწვანე ბალახში:  
სოფელში ვედარ მივდივარ და მეამებაო...



– არც კობტა იყო საცოდავი და არც ართვალი,  
ამაყი იყო, ჩვენ მორჩილად ვიდექით მასთან,  
ეხ... ახლა გახდა ნიკალაი დიდი მხატვარი,  
უფასოდ გაქრა, უფასოდ, და ახლა დაფასდა!

– ნეტავი ამ დროს მოსწრებოდა მის ნაცნობებთან  
(ვაი, რა უღვთოდ დაიღუპა საწყალმა თავი)!  
თბილის-ქალაქის ყველა მხატვარს ის აჯობებდა,  
არ დარჩებოდა არაფერი დაუხატავი!

ყვებიან ასე ფიროსმანის დროის ქადაგნი,  
ყველა მათგანში დაუვიწყარ ნიკალას ვხედავ...  
დგას ფიროსმანის მოხატული თბილის-ქალაქი, –  
ეს პოეზიის უწმინდესი ადგილის დედა!

მე ვუსმენ ყველას, წარმოვიდგენ ცხოვრებას მისას,  
ცოცხლდება ჩემ წინ მკრთალი სახე ფერების მგოსნის,  
მთვარეულივით დაუმხობი თბილისის მიწას  
და დიდი ნიკო ფიროსმანის ნატერფალს ვკოცნი!

# „ხონისაჲ უჯი“

მართი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამოცემა

2022 წელი

## სარჩევი

### იუბილე

ფარნა რაინა - 85.....	2
ნუნუ ძამუკაშვილი - 70 .....	3

### პროზა

ნინა ტერიკო ჯვარი .....	4
----------------------------	---

### პოეზია

მარიამ ხუცურაული.....	9
ნომადი ბართაია .....	11

### პროზა

გიორგი პაპუაშვილი მარიანა .....	13
------------------------------------	----

### პოეზია

ნინე სამხარაძე.....	19
მარიკა პარნასელი.....	21

### პროზა

ნინო ქადაგიძე წერილი ღვთისმშობელს .....	22
სიყვარული .....	23
იადორე .....	24
ზმითნატირალი .....	24
მზელავაშისა .....	25

### პოეზია

ანა არაბული.....	26
------------------	----

### პროზა

ანზორ სიფრაშვილი უცნაური სახელი.....	28
---	----

### პოეზია

შოთა ვეკუა.....	44
მარიამ ტოხიშვილი .....	46
თორნიკე კანდელაკი .....	47

### თარგმანი

ვიტალიანო ბრანკატი .....	48
--------------------------	----

### კუბლიცისტობა

გიგი ხორნაული მთიელთა ჭამადი. ხინკალი.....	50
ნატა ვარადა ამბავი ბესო სოლომანაშვილისა, რომელიც „საბას“ სიაში მოხვდა, გაიმარჯვა და გადარჩა .....	53

### ხელოვნება

ნანა ჭიჭინაძე XXI საუკუნის პირველი ოცწლეულის ხელოვანებთან შეხვედრა .....	56
მარიკა პოპიაშვილი ფერთა სამოთხე .....	59

### ხსოვნა

ეთერ ფაცურია.....	61
თამაზ ნატროშვილი.....	62



ალმანახის გამოცემაში ხელშეწყობისათვის მადლობას მოვასხენებთ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერს ბატონ ნიკოლოზ ჯანიაშვილს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ ნუგზარ პაპიაშვილს და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურის და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორს ბატონ ილია მარტყოფლიშვილს.

რედაქტორ-გამომცემელი:  
გიორგი ნატროშვილი

ალმანახის ქუდის ავტორი:  
სამგო ქართოშვილი

გარეკანი გაფორმებულია:  
სამგო ქართოშვილის ფოტოთი  
და ნიკო შიროსმანის ნახატებით

## ფარნა რაინა - 85

ჩვენს კოლეგასა და უფროს მეგობარს, თელავის მწერ-ალთა ორგანიზაციის თავკაცს, ცნობილ რედაქტორსა და ქართული ლექსის დიდოსტატს **ფარნა რაინას** გულით-ადად ვულოცავთ საიუბილეო 85 წელს. დაინტერესებულ მკითხველს კი ვთავაზობთ ავტორის მოწოდებულ ლექსებს:

### ჩემო ქართულო

ჩემო ფრესკავ და  
ჩემო ტაძარო, –  
შემოკლაპტრულ-  
შემოსანთლულო,  
ზღაპარ-სიმღერავ  
ავთანდილურო, –  
შემოშაქრულო,  
შემოთაფლულო!...  
მთათა მწვერვალო, –  
თოვლით ნაწერო,  
თვალო ზურმუხტის, –  
ველად ჩართულო,  
ღვთის კურთხეულო,  
ღვთით დალოცვილო,  
ჩვენზე ზრუნვით და  
ფიქრით გართულო!  
ვაზის ფესვებით  
შემოსალტულო  
და ციხე-ბურჯად  
შემომართულო,  
მზისდარ, – ამ ჩქერით,  
სხივთა ჩანჩქერით  
სულში და  
გულში  
შემოდგაფუნობ!...  
შოთაის სიბრძნით  
შემოკვართულო,  
ვაჟაის ენით  
შემოქარგულო! –  
შენ – შემოგველე,  
შენ – გენაცვალე,  
შენ გეთაყვანე, –  
ჩემო ქართულო!

### ვინა ვართ?

ვინა ვართ?  
საით მივდივართ? –  
მუდამ,  
ეს კითხვა



ისმება,  
რაც უნდა გითხრათ –  
მეც, ახლა,  
ზედ, – ენის წვერზე  
ის მება...  
შეუკრავთ ჯვარი  
ვაზისგან,  
როცა ყოფილა  
ღვთის ნება  
და ...  
ღმერთის სადიდებელიც  
ვაზის მირონით  
ისმება.  
მაგრამ...  
რაც სჭირდა  
მიდიას  
ჩვენც  
ის ზნე გვჭირს და ...  
ის სნება, –  
რწმენას,  
გულსა და  
გონებას  
როდი ვიყენებთ  
მისნებად?!

### დავითიანი!

*ჩვენი დიდი პაპის, – დავით გურამიშვილის,  
დაბადების 300 წლისთავისათვის*

თავს გიხრის  
ჩვენი საბადებელი  
და ...

განა ლხინით? –  
 დაგვიტოვებო, ვითლიანობო,  
 მტრები – გარედან,  
 მტრები – შიგნიდან, –  
 რაა ჭირის ცეცხლი  
 დაგვინთიანო?!..  
 შენში ჩანს –  
 ყველა,  
 უმჭვირვალესად, –  
 მთაი ბარობს თუ,  
 ბარი მთიანობს,  
 გოდებაჲ, მოთქმაჲ,  
 სიბრძნეჲ, ცრემლებო,  
 მძივად ასხმულო, –  
 და რითმინო...  
 დიდო მოძღვარო, –  
 ჩვენი ცხოვრების,  
 როდია –  
 ოდენ,  
 წამით იალო,  
 შენ –  
 წიგნთა წიგნო,  
 შენ –  
 ფესვთა ფესვო,

გზაო მოძველის  
 და... ვით – იანო...  
 შენს –  
 ყოველ სიტყვას,  
 შენს –  
 ყოველ სტიქონს,  
 ჩვენს სიყვარულად  
 დაითვლიანო,  
 ჩვენო ცისკარო,  
 ჩვენო რიჟრაჟო,  
 ჩვენო მზიანო, –  
 დავითიანო!...

**არ გავსრულოდები!**

არ გავსრულოდები, –  
 გიძღვნიტ ნათევარ –  
 მზისა და მთვარის  
 ამო ბარათებს...  
 ლექსს  
 ვინ დაფარავს? –  
 ვით, მზის ნათებას?!  
 ლექსიდან –  
 მზისებრ,  
 გამოვანათებ!!!

**ნუნუ ძამუკაშვილი - 70**

ნუნუ ძამუკაშვილი 1952 წლის 1 იანვარს დაიბადა თელავის რაიონის სოფელ კონდოლში. 1968 წელს დაამთავრა სოფელ რუისპირის საშუალო სკოლა, 1973 წელს კი – თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი.

პირველი ლექსი 1977 წელს გამოაქვეყნა გაზეთ „ალაზნის განთიადში“. მას შემდეგ სისტემატიურად იბეჭდება პერიოდულ გამოცემებში.

1997 წელს გივი ჭიჭინაძის რედაქტორობით და წინასიტყვაობით გამოიცა ნუნუ ძამუკაშვილის საბავშვო ლექსების კრებული „ზრდილობიანი მატარებელი“.

2004 წლიდან არის საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი. არის ლიტერატურულ ჟურნალ „ოლე“ ერთ-ერთი რედაქტორი.

დაჯილდოებულია შიო მღვიმელის, რაფიელ ერისთავის და ჟურნალ „ოლე“ ლიტერატურული პრემიებით. მიღებული აქვს მწერალთა კავშირის „ქართული კულტურის ამკვდარის“ დიპლომი და ქრისტიანული პოეზიის ფესტივალის „წმინდა ნინოს ჯვარი“.

ვულოცავთ ქალბატონ ნუნუს საიუბილეო წელს და



ვუსურვებთ დღევრძელობასა და ჯანმრთელობას, რომ კვლავ მრავალჯერ გაეხარების პატარების ნორჩი გულები თავისი დახვეწილი სტრიქონებითა და ეპითეტებით.

აქვე გთავაზობთ იუბილარი ავტორის რამოდენიმე ახალ საბავშვო ლექსს:

**ჩურჩხელები**

ჩამოებერტყეთ კაკალი,  
მოდის ბზრიალ-ტრიალით...  
და ხე ეშვებობება  
ფოთლის ტაშით, ტრიალით.  
დღეს ვამზადებთ ჩურჩხელებს  
საახალწლო ნობათად, –  
ახლობლებს და მეზობლებს  
რომ სიტკბოთი მოგართვათ.

**შემოდგომა**

რა ფერების ციმციმი  
ჩვენს ბაღში და ბაღჩაში,  
ყველა გარეთ გამოსულა,  
აღარავინ დარჩა შინ.  
გვიღიმიან: ვაშლი, მსხალი,  
ატამი და ყურძენი...  
შემოდგომა დაეხატე და  
სიმღერებიც ვუძღვენი.  
წითელ-ყვითელ-ნარინჯისფერს  
ვერაფრით ვერ ველევით,  
მზემ მოხვია დედამიწას  
თავის თბილი ხელები,

**ახალი წელი**

ზეცა ამზადებს ფიფქებს,  
ვარსკვლავებსა სთხოვს თარგებს...  
შემდეგ, სინაზით, ყველას  
ქათქათა სამოსს არგებს.

პაწია პარამუტებს  
ჩამოურიგებს ფიფქებს,  
თან გამოატანს ლამაზ  
სურვილებსა და ფიქრებს.  
ახალი წელი მოდის,  
ნატვრის, ოცნების კალთა,  
სულ, სიხარულის მაცნე  
მოვიდეს ყველას კართან.  
მეკვლე და თოვლის პაპა  
გულს სიხარულით რთავენ,  
ლოცავენ საქართველოს  
და მის მშვენიერ მთა-ველს.  
ნაძვისხეც, საოცნებო,  
ნატრული რომ ვართ შენი,  
იცოდე: ყველას, ყველას,  
რომ სიყვარული შვენის...

**შემოდგომა**

შემოდგომა მოვიდა:  
მოაქვს ხვაფი, ბარაქა,  
პაპამ ბავშვებს დაუწნა  
შინდის წნელით კალათა.  
გადასძახა მეზობლებს:  
მოდით: დიდი-პატარა,  
ჩამაქრულა მტვენები, –  
ნახეთ, როგორ დამტკბარა.  
კალათს სცლიან კალათზე  
ნინა, ნიკა და ზურა,  
ვეება საწნახელში  
პაპა ყურძენსა სწურავს.

**ნინა ბერიძე**

**ჯვარი**

– როგორც საურმედ დატოვებული გზა, ისე მოჩანს ბილიკები საფლავებს შორის. ნეტავ, ჩემი ურემი როდის გაივლის რწევა-რწევით, ამ გზაზე, – სვედიანად მითხრა გაბო პაპამ და იქვე, ჩვენს მიერ ნახევრად გათხრილ საფლავეთან ჩამოჯდა. დაღლილობისგან ძლივსდა სუნთქავდა. მუხლისთავებზე ჩამოიწყო ხელები და მძიმე-მძიმედ დაიზილა.

– რა დროს მაგაზე ფიქრია? – ჩავიდუდღუნე და მის სიყვითლე შეპარულ სახეს დავაკვირდი.

– ამაზე ფიქრის დრო ყოველთვის არის ჩემო ტატო, მეტსაც გეტყვი, აუცილებელიც კი.

– აუცილებელი რატომ?

– იმიტომ, რომ სიცოცხლე მეტად დააფასო. კაცი



სიკვდილზე , თუ არ ფიქრობს, ის არაფერზე ფიქრობს...  
იმისთვის ის სიცოცხლეც არაფერია, საერთოდ არაფერი...

გაბო პაპა გაჩუმდა. მეც გვერდით მიუჯექი და სამ-  
გლოვიარო პროცესიას მივაღვევეთ თვალი. ბევრი ხალხი  
მიჰყევბოდა მიცვალებულს. გადიდებულ სურათს დააკვირ-  
დი , საიდანაც ემხიანი ქალი იმზირებოდა, პირზე ოდნავ  
გაპობილი ღიმილით. უცებ ძლიერი დარტყმა ვიგრძენი  
მკერდში, რამაც ფეხზე წამომაგლო. გაბო პაპამ გვერდუ-  
ლად ამომხედა.

– ჯერ ნორჩი ხარ, ერთ წელიწადში ისე იქნები, აქეთ  
დაელოდები კიდევ... – თქვა და ხელი დანანებით ჩაიქნია.

\*\*\*

ვერასდროს წარმოვიდგენდი, თუ ოდესმე, მესაფლავებ  
მომიწვევდა მუშაობა. გაფიქრებაც კი მზარავდა, არა თუ  
ხელში წერაქვის დაჭერა და საფლავების თხრა.

ის კი არა და, მიცვალებულის შიშაც მქონდა. სამძიმრე-  
ბზე მისვლასაც ყოველთვის ვარიდებდი თავს. არც მომიწე-  
ვდა ალბათ, რომ არა მამის გარდაცვალება, რასაც მოჰყვა  
დედის ლოგინად ჩავარდნა. იძულებული გახდი უნივერ-  
სიტეტში სწავლისთვის დროებით დამენებებინა თავი.  
აკადემიური ავიღე და სასწრაფოდ შევუდექი სამუშაოს  
ძებნას. დრო არ ითმენდა, დედა მყავდა მისახედი და მას-  
თან ერთად მეც. თუ კი ვინმეს ვიცნობდი, ყველას ვთხოვე  
დახმარება. ზოგი შემპირდა, ზოგმა გულთანაც არ გაიკარა  
ჩემი გასაჭირი.

მორიგი სამუშაოს ძებნისგან დაღლილი მივიღიე  
სახლში, ლიფტთან რომ შემხვდა გაბო პაპა. დედაჩემის  
ამბავი გამომკითხა, მერე ჩემიც. გაკვრით ვუთხარი რაც  
მაწუხებდა ყველაზე მეტად.

– რამეს მოვიფიქრებთ, ტატო, არ იდარდო, – მითხრა  
იმედიანად და მხარზე მომიტათუნა ხელი. გამიკვირდა  
მისგან ჯერ საერთოდ გამოლაპარაკება და თან დაყოლე-  
ბული ზედ სიტბო.

\*\*\*

გაბო პაპა არავის უყვარდა სამეზობლოში. მუდამ კუმტი  
გამოხედვით, უსალმოდ ჩაივლიდა ხოლმე ეზოს.

– საღისეტი მოდის, – ჩაილაპარაკებდნენ მეზობლები  
მის დანახვისას.

– ცივგულა!  
– მკვლეელი! – მიაყოლებდნენ ზურგსუკან.

ვერ ვხდებოდი რატომ ეძახდნენ მკვლელს. ვისაც  
ვკითხე, ყველა თავს არიდებდა პასუხს. რისთვის აით-  
ვალისწუნეს გაბო პაპა, ჩემთვის დიდ ამოცანად რჩებოდა.  
დედასაც ვკითხე მის შესახებ, არეულად მიპასუხა.

– წლების წინ ცოლი მოკლა, სასჯელიც მოიხდა, მეტი  
არაფერი ვიცი, – მითხრა დეიამ.

გულში უსიამოვნოდ გამკრა, თუმცა მომინდა

დაწვრილებით გამეგო მისი ამბავი. ინტერესის ჭია შემ-  
იძვრა, მაგრამ დაზუსტებით პასუხი არავის ჰქონდა.  
უმეტესად თავიანთ ფანტაზიის ნაყოფს მიზიარებდნენ.  
ვხვდებოდი, სიმართლე არავინ იცოდა და ყურმოკრულ  
ამბებს აჟღერებდნენ.

\*\*\*

მეორე საღამოს გვესტუმრა გაბო პაპა, ხელში სურსა-  
თით სავსე ჩანთა ეჭირა.

– გამომართვი ეს და ესეც, – ხელში ფული ჩამიკუჭა.  
მოულოდნელობისგან ენა ჩამივარდა. დაბნეულმა შევხედე.

– სანამ რამეს ვიშოვნით, ასე იყოს, – გამიღიმა და  
წავიდა. კარგა ხანს ვიდექი ღია კარში და ცარიელ სადარ-  
ბაზოს ვუყურებდი. ყველასგან მოძულეებული კაცი, არც  
ისე ცივგულა ჩანდა.

ორ დღეში ისევ გამოჩნდა ჩვენს კართან, უფრო მოზ-  
რდილი ჩანთით. მეუხერხულა და სახლში შემოვიპატი-  
ეუ. უარი მითხრა, მოუცლევლობა მომიმზუნა და წავიდა.  
მისგან დახმარების ხელმა სისტემატიური სახე მიიღო,  
რაც მეზობლებისთვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა. ახლა  
მართო გაბო პაპას არ ლანძღავდნენ, მასთან ერთად მეც  
მიმაცოლებდნენ ხოლმე. თავიდან ძალიან გაგებრავდი და  
შეუუტეე კიდევ რამოდენიმეს, რაზეც უარესად მომდგნენ  
და მლანძღეს. მეტის მოთმენა აღარ შემემლო, პირდაპირ  
გაბო პაპასთან გავეშურე, რადაც არ უნდა დამჯდომოდა,  
სიმართლე უნდა გამეგო მისი პირიდან.

კარი, რომ გამიღო ისე შემომხედა, თითქოს მელოდა.

– შემოდი, ტატო, – გზა დამითმო. გაუბედავად შევე-  
დი ერთოთახიან ბინაში. მარტოხელა კაცის კვალობაზე,  
სისუფთავე სუფევდა. წამიერად მოვათვალიერე იქაურობა  
და მზერა, კედელზე გაკრული ლამაზი ქალის სურათზე  
შევაჩერე. ინტუიციამ მიკარნახა, რომ მისი მეუღლე უნდა  
ყოფილიყო.

– ეს ჩემი ბელაა, – თქვა და თვალში ცრემლი აუკი-  
აფდა. საეჭვოდ შევხედე, იმხელა სინანული იგრძნობოდა  
მის გამოხედვაში.

– თქვენი მეუღლეა? – ხმადაბლა ვკითხე.  
თავი რამოდენიმეჯერ დამიქნია და სკამზე მიმითითა,  
დაჯექიო.

თითქოს ეკლებზე დაემჯდარიყავი, ისე ვწრიალებდი,  
აღარ ვიცოდი, საიდან დამეწყო შესავალი.

– ვიცი, რისთვისაც ამოხვედი... – გამიღიმა.  
– გაბო პაპა... – ვთქვი და უხერხულად მოვიქექე თმა  
საფეთქელთან.

– არაფერია ტატო, არაფერი... დაიცადე, ეხლა გავაკეთე  
სადილი, თან გავსინჯოთ, – წელში მოხრილი გაემართა  
სამზარეულოსკენ.

სიგრილის მიუხედავად, ისე დამცხა, ოფლი მომასკდა  
შუბლზე. მშვიდად მოძრაობდა გაბო პაპა. სუფრა გააწყო

და თვითონაც მოუჯდა მაგიდას.

– გადაიღე ტატო, ცუდი მზარეული არ ვარ, – ღრმა თეფშით ხორცის სოუზი მომწოდა. უარი ვეღარ ვუთხარი, თორემ სულაც არ ვიყავი ჭამის ხასიათზე.

– ვიცი, ჩემი საქციელით დაგზარალე, – მძიმედ წამოიწყო. მივხვდი, მეზობლების გაუთავებელი მითქმა-მოთქმა იგულისხმა.

– არავის აზრი არ მაინტერესებს, – ჩავილაპარაკე.

– აზრი არ ვიცი, მაგრამ სიმართლე გაინტერესებს და იმიტომ ხარ აქ, – წყნარად მითხრა და ჭიქაში კომპოტის წვენი დამისხა.

უარესად წამომახურა. ჭიქას დაწვდი და სწრაფად დაუცალე.

– მაინც და მაინც მეზობლებს არც გაემტყუნებათ, ერთი უსისხლო მკვლეელი ვგონივარ, სხვაგვარ რეაქციას არც ველოდები მათგან, – თითები გაშალა.

– ჰგონიხართ? – შევცბი.

– გადავსო გული ამდენი ნაღველით და დარდით, აღარ ეტევა, გადმოდის და ვგრძნობ, რომ სადაცაა წამლეკავს. ვეღარ ვუძლებ ტატო, ვეღარ... ჩემს ბელას რომ ვუყურებ, არ ვიცი, სწორად მოვიქცი, თუ არა მაშინ, სიმართლე, რომ დავმალე და დღემდე მკვლელის სახელით დავდივარ, თუმცა სხვაგვარად მოქცევა ვერ შევძელი, ალბათ ბელაც ჩემნაირად მოიქცეოდა, – თავი ხელებში ჩარგო და აცახცახდა.

საუბრის ასეთ დასაწყისს არ ველოდი, ლამის თვალები გადმომცვივდა, გაშეშებული ვიჯექი და ხმას ვერ ვიღებდი.

– ჩვენ ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი, ასეთი სიყვარული ალბათ დედამიწის ზურგზე არც არსებობდა, ერთი სხეულოვით ვიყავით, განუყოფელები ჭირსა და ღზინში. ჩვენი შეუღლებიდან ხუთი წელი იყო გასული, როცა გადავწყვიტეთ ია გვეშვილებინა. ვინაიდან საკუთარი არ გვეყოლა. მაშინ ზედმეტ შეკითხვებს და შიშს ავარიდეთ თავი, რომ ვინმეს არ წამოეძახებინა იასთვის რამე, საცხოვრებელი შევიცვალეთ და გარეუბანში გადავედით. ზუსტად იმ სახლში დატრიალდა უბედურება. მაშინ ია თვრამეტი წლის იყო. თავნება და გათამამებული. ყველა მის კაპრიზს უსიტყვოდ ვასრულებდი და ზუსტად იქ დავუშვი შეცდომა... ერთ დღესაც აღმოვაჩინეთ, რომ სახლიდან ბელას ძვირფასეულობა გაქრა. ხელს ვერავის დავადებდით, თუმცა ეჭვი კი გაგვიჩნდა რამოდენიმე ნათესავზე. ვერაფრით ვიფიქრებდით, რომ იას ჩადენილი იქნებოდა. ერთ საღამოს სამსახურიდან დაბრუნებულს ჩხუბის ხმა კარშივე მომესმა. სასწრაფოდ გავემართე სამზარეულოსკენ, სადაც იას კუთხეში ჰყავდა მიმწყდელი დედამისი და ფულს სთხოვდა. გადარეულოვით ატრიალებდა თვალებს ია და პირზე ღუჟომოდგარი უყვიროდა ბელას.

– მოგკლავ იცოდე! ფული მომეცი, ვიცი, რომ გაქვს!

– მუცელთან პურის საჭრელი დანა დაუტრიალა.

თავზარი დამეცა. პირველად ვხედავდი ჩემს შვილს ამ დღეში.

– ია! – დაუძახე და მისკენ წავედი. ვერ მოვასწარი შუაში ჩადგომა, არ ვიცი, რამ გადაუტრიალა ასე ჭკუა, დაუნდობლად გაუყარა დედამისს დანა და მთელი ძალით მიაწვა. მის კმაყოფილებით სავსე სახეზე თვალთ დამიბნელდა. თავი სიზმარში მეგონა და ვნატრობდი, დროზე გამომღვიძებოდა, რომ დასრულებულიყო ეს კომშარი. სამწუხაროდ, რეალობა იყო და ბელამ ჩემს ხელებში დალია სული... – დაასრულა მოყოლა გაბო პაპამ და თვალები აუწითლდა.

გაოგნებისგან პირზე ავიფარე ხელი და ამაკანკალა. ყურებს ვერ ვუჯერებდი გაგონილს და გონებაში არ მეთეოდა ასეთი სისატიკე.

– წარმოუდგენელია... – ძლივს ამოვთქვი და ფეხზე წამოვხტი. გიჟვით მოყვები წინ და უკან სიარულს, ისე შემძრა გაბო პაპას მონაყოლმა.

– მერე ? მერე რა მოხდა? – მოუთმენლად ვკითხე.

– სისხლის დანახვაზე თითქოს გამოერკვა და მიხვდა რაც ჩაიდინა, თუმცა ბოლომდე ვერ გაიაზრა დანაშაული, ამკარად ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ იყო, ისე იყურებოდა. როდის და რანაირად გამოგვეპარა მისი გზიდან აცდენა, არ ვიცი, დღემდე ვერ ვპატიობ თავს! – ბოლო სიტყვებზე ისე ამოიხრა, მეგონა სულიც ამოატანა.

– კი მაგრამ, თქვენ რატომ დაგბრალდით მკვლელობა?!

– არ დამბრალდა, დავიბარლე... ვერ გავწირე, ვერ შევძელი... ძალიან მიყვარდა ჩემი შვილი და დღემდე მიყვარს, ის დღეს ცნობილი ექიმი. თუმცა, მასთან ყველანაირი კავშირი გავწყვიტე... ცდილობს მოახლოვებას, მაგრამ ვერასდროს მოუშვებ ჩემამდე, დამთავრებულია!

– ეს დიდი შეცდომაა! – წამოვიძახე სასოწარკვეთით.

– პირველ რიგში ჩემი შეცდომა იყო და ამით დავისაჯე თავი!

– ნანობს მაინც?! – ბრაზიანად ვკითხე.

– ორჯერ სცადა თვითკვლელობა, ეს ციხეში გავიგე... შემდეგ მოდიოდა ჩემს სანახავად, არ შევხვედრილვარ, წერილებს მიგზავნიდა, მაპატიეო... ეჰ, ჩემო ტატო... იასთვის იმაზე მეტი სასჯელი რა არის, რაც გამზრდელი დედის მკვლელობა?! მთელი ცხოვრება იმ ცოდვის ჯვარი უნდა ზიდოს... – ხელი ჩაიქნია და თავი ჩაქინდა.

ასე ცუდად ალბათ, მამაჩემის გარდაცვალებისასაც არ მიგრძვნიდა თავი, ისე შემძრა გაბო პაპას მონათხრობმა, ხმას ვეღარ ვიტყვდი ყელში, ისე მინდოდა მეყვირა მთელი ძალით. ვერაფერი ვუთხარი, ერთი ამოვიღმუკვლე და გიჟვით გავვარდი კარში.

\*\*\*

იმ დღის შემდეგ ერთი კვირა არ გამოჩენილა გაბო



პაპა. რამდენჯერ მივაკითხე სახლში, კარი არ გამიღო. შევშინდი, რამე ხომ არ აუტეხა თავს-მეთქი. მეზობლებში მოვიკითხე ამბები, იქნებ ვინმეს რამე სცოდნოდა. ყველა მხრებს იჩინავდა, არ ვიცით და არც გვაინტერესებსო. ისე გაემწარდი, მინდოდა ყველასთვის მიმეხალა პირში სიმართლე. ისევ და ისევ გაბო პაპასთვის შევიკავე თავი, არ მოეწონებოდა საიდუმლოს გათქმა.

ზუსტად მერვე დღეს გამოჩნდა... წვერმოშვებული და საკმაოდ გამხდარი. გულს შემომეყარა, რომ დავინახე, ისე იყო შეცვლილი.

- გეძებდით, - ვუთხარი მის კარზე ასვეტილმა.
- შემოდი, ტატო, - სვედიანად მითხრა.
- ვინერვიულე, რომ არ ჩანდით, - შევედი და უფრო ახლოდან შევათვალიერე. სასმლის სუნი ასდიოდა.
- იშოვნე სამუშაო? - მკითხა და სკამზე ჩამოჯდა.
- ვერაფერი...
- მე შემიძლია ჩემთან წაგიყვანო, საშენო სამუშაო კი არ არის, მაგრამ დროებით, თუ შეძლებდი? - თვალი გამისწორა.

- ყველაფერს შევძლებ, ოღონდ იყოს რამე, დედას ბევრი წამალი სჭირდება, - წამოვიძახე სიხარულით.
- მე სასაფლაოზე ვმუშაობ, მესაფლავედ, - მითხრა და დამაკვირდა.
- სასაფლაოზე?! - ჩემდაუნებურად შევიცხადე.
- ჰო, წლებია შევაბერდი ამ საქმეს... - დანანებით გააქნია თავი.

- ვერ შევძლებ, - უხერხულად ჩავილაპარაკე.
- არა უშავს, ტატო... არა უშავს, - თბილად გამიღიმა.
- ბოლიში... - ჩავიდუღდუნე. მეგონა იმედი გავუცრუე, შერცხვენილივით ვიდექი.

- აბა, რას ამბობ? ეს ისეთი სამუშაოა, ყველას არ შეუძლია...
- თქვენ, როგორ შეძელით?
- ეჰ, - ხელი ჩაიქნია.

აღარფერი მიკითხავს. რადგან ასე, თუ ისე კარგად მეოფი დავიგულებ, დავემშვიდობე და სახლში წავიდი.

სალამოსკენ დედას ჯანმრთელობის მდგომარეობა ისე დამძიმდა, საავადმყოფოში გადასაყვანი გახდა. როგორც მითხრეს, ოპერაცია იყო საჭირო, რაც დიდ თანხებთან იყო დაკავშირებული.

- მე ამდენი თანხა არ მაქვს, უფრო სწორად, საერთოდ არ მაქვს, - უიმედოდ შევხედე ჩემს წინ მდგომ ექიმს, რომელიც დაკვირვებით მიყურებდა.

- არავინ გყავთ, რომ დაგეხმაროთ? - ცოტა არ იყოს, თავადაც შეწუხდა.
- არავინ, მარტო მე და დედა ვართ, მამა გარდაცვლილია.

- მარტო შენ და დედა? - ჩაფიქრდა და რაღაცის თქმა დააპირა, ვერ მოასწრო, დაუძახეს.

- ია, ექიმო, დაჭრილი მოიყვანეს, დრო არ ითმენს! დამშვიდობებაც ვერ მოვასწარი, ისე გაიქცა.

სხვა გზა არ მქონდა, თუკი ვინმეს ვიცნობდი, ყველას ვთხოვე ფული.ზოგმა უარით გამისტუმრა, ზოგს რაც ჰქონდა, ალაღად დამეხმარა. ოპერაციისთვის სამყოფი თანხა მაინც ვერ მოვაგროვე.

მეორე დღეს, უთენია იყო, გაბო პაპას სახლის კარს, რომ მივადექი. სამუშაოზე წასასვლელად ემზადებოდა.

- რა მოხდა, ტატო? - ჩემს ფერდაკარგულ სახის დანახვაზე, შეშფოთდა.
- თანახმა ვარ... მესაფლავედ...
- რა შეიცვალა? - ინტერესით დამაკვირდა. მოვუყევი დედას ამბავი. შუბლი შეეჭმუნხა და ოთახში შეტრიალდა. ცოტა ხანში უკანვე მობრუნდა და ხელში, საკმაოდ მოზრდილი ოქროს ჯვარი ჩამიღო.

- არაფერი მითხრა, წაიღე ეს და იცი, რაც უნდა გააკეთო!
- გაბო, პაპა! - გაოგნებულმა დავხედე ჯვარს.
- მიდი, ტატო, მიდი... - თავი დამიქნია.
- ვიმუშავებ, ისე არ მინდა, - მაინც შევეწინააღმდეგე.
- ჯერ ის გააკეთე, რაც საჩქაროა, დანარჩენზე შემდეგ ვისაუბროთ, - მითხრა და მანიშნა წავსულიყავი.

მივიღიოდი გზაზე და ხელს მიწვავდა ჯვარზე გაკრული ქრისტე.

- მე ვერ გავყიდი ქრისტეს! - ვთქვი და სიბრბილით წავედი საავადმყოფომდე.

დედას გადაუდებელი ოპერაცია უტარდებოდა. შევშინდი, თან გამიკვირდა, თანხის გარეშე, ხელი როგორ მოკიდეს-მეთქი. მოსაცდელში ადგილს ვერ ვპოულობდი. გაბო პაპას მოცემული ჯვარი მეჭირა ხელში და ღმერთს ვთხოვდი, დედა გადაერჩინა. დრო იწელებოდა, ჩემი მოთმინების ძაფიც წყდებოდა. ხუთი საათის შემდეგ მოელო ბოლო ჩემს ტანჯავს და ექიმის გადაღლილ თვალებს სასოწარკვეთილი მივაჩერდი.

- ოპერაცია წარმატებით დასრულდა, არ ინერვიულო, - მითხრა და გამიღიმა.

- მაღლობა, ღმერთს! - შვებით ამოვისუთქე და სიხარულის ცრემლები მომაწვა.

- მაგრამ, სრულიად გამოჯანმრთელებამდე წინ დიდი გზაა, მე ყველაფერს გავაკეთებ, რომ დედა ფეხზე დადგეს, - ისე თბილად მითხრა, მეგონა ვინმე შინაური მეღვაწე.
- მაღლობა, - მეტის თქმა ვერ მოვახერხე.

- რამოდენიმე დღე რეანიმაციაში გადავიყვანო, არ შეგეშინდეს, - თანაგრძნობით მომიჭირა ხელი მკლაფზე.

- კი მაგრამ, თანხა? - მაშინლა გამახსენდა. - ცოტა მაქვს, - ვუთხარი გულწრფელად და ჯიბისკენ წავიღე ხელი.
- მაგაზე მოგვიანებით, ეგ თანხა კი, სხვა რამეში გამოიყენე, - თავი დამიქნია და ისევ საოპერაციოში შებრუნდა. მოულოდნელობისგან გავეშმდი. არ მეგონა, თუ ასეთი

აღამიანები კიდევ არსებობდნენ. გული ისე ამიჩუყა ექიმის ნათქვამმა, გარეთ გიჟივით გავვარდი და როგორც პატარა ბავშვი, ისე ავტირიდი.

\*\*\*

გვიან, საღამოს გაბო პაპას მივაკითხე სახლში. ძირფესვიანად გამომკითხა დედაჩემის ამბავი. მეც მოუყევი და ყველაზე მეტად აღრფრთოვანებით ექიმზე ვესაუბრე.

– რა თქვი, რა ჰქვია? – მკითხა და შევამჩნიე, როგორ აუკანკალდა ნიკაპი.

– ია გამრეკელი, – ვთქვი და მაშინ გაუიაზრე, რომ ზუსტად ია იყო გაბო პაპას შვილი.

– ვაიმე... – პირზე ავიფარე ხელი.

– ჰო, ტატო... – მითხრა და შეტრიალდა. მხრების ცახცახზე მივხვდი, რომ გაბო პაპა ტიროდა.

– მან დედაჩემი გადაარჩინა, – მაღლიერება და გაკვირვება ერთად ამოუთქვი.

– სწორად მოვქცეულვარ, – ჩემსკენ შემობრუნდა და თვალცრემლიანმა გამიღიმა.

მივხვდი, რაც იგულისხმა.

კარგა ხანს ვერ ამოვიღე ხმა. არც გაბო პაპას უთქვამს რამე. ერთმანეთს ვუყურებდით და თვალებით ვსაუბრობდით.

წასვლისას, ჯიბიდან ჯვარი ამოვიღე და გავუწოდე.

– მაღლობა, გაბო პაპა!

– არა, ტატო, გქონდეს ეგ ჯვარი, დრო მოვა და მიხვდები, რაც უნდა გააკეთო, – მითხრა და კარი მომიხურა. ამასაც მივხვდი.

\*\*\*

ღილით საავადმყოფოსკენ გავეშურე. ერთი სული მქონდა, დედაჩემის მდგომარეობა გამეგო. ექიმის დანახვაზე შევდექი. მისი წარსულის მცოდნემ, აფორიაქება ვიგრძენი. რა იცოდა, იამ, რომ წლების საიდუმლოს ვფლობდი. შემამჩნია და მაშინვე ჩემსკენ წამოვიდა.

– ყველაფერი რიგზეა, დედა დღეს ცოტა უკეთაა, ამ ეტაპზე უკეთდება ტკვილგამაყუჩებლები, – ისევ თბილად გამიღიმა.

– თქვენი მაღლიერი ვარ, – ხმადაბლა ვუთხარი.

ცოტა ხანს ისე მიყურა, თითქოს რაღაცის თქმა სურდა, შემდეგ, მომიბოდიშა, პაციენტები მელოდებიანო და გატრიალდა. მეც წამოვედი, რეანიმაციაში არავინ შემიმხედდა და ლოდინს აზრი არ ჰქონდა. სახლშიც ვერ მოვისვენე, უსამსახუროდ გამიჭირდებოდა დედაჩემის მიხედვა. ისევ გაბო პაპასთან წაველო, ოღონდ არა სახლში, არამედ სასაფლაოზე.

ერთ-ერთ საფლავთან ისხდნენ მუშები და პურს ჭამდნენ. გაბო პაპამ დამინახა, თუ არა, მაშინვე ჩემსკენ გამოემართა.

– ტატო, რა მოხდა? – მკითხა შემინებულმა.

– მშვიდობაა, – გამეღიმა. – სამუშაოდ მოვედი.

– გადაწყვიტე? – დაკვირვებით შემათვალიერა, აინტერესებდა, რამდენად ვიყავი მზად.

– გადაწყვიტე, – ვუთხარი მტკიცედ და იმ დღესვე შევუდექი საქმეს.

დაძაბული ვიყავი, უჩვეულო იყო ჩემთვის ასეთი სამსახური.

ქვის მღუმარე ქალაქს ვერაფრით შევეჩვიე.

დედა ერთ თვეში გამოწერეს, სიარული კი უჭირდა, მაგრამ რა შედარება იყო. ექიმმა წამლებიც ჩამომიწერა და თავისი ტელეფონის ნომერიც მომცა, თან მითხრა, რომ რის ყიდვასაც ვერ შევძლებდი, დამეხმარებოდა. არ ვიცი, იცოდა, თუ არა, ჩემი და გაბო პაპას მეგობრობის ამბავი და ამის გამო აკეთებდა, თუ ისე ცდილობდა სიკეთე ეთესა, რომ როგორმე საკუთარ თავს შვება ეგრძნო, წარსულის ცოდვის გამო. მე ყოველ შემთხვევაში, არაფერი მითქვამს მისთვის და არც მიგრძნობინებია.

– მუშაობა დაგვიწყე და წამლების ყიდვა არ გამიჭირდება, მაღლობა, – ვუთხარი ექიმს.

– სად მუშაობ, ტატო? – ეგონა ვატყუებდი, ისე შემომხედა.

– სასაფლაოზე, მესაფლავედ...

დავინახე, თუ როგორ შეცბა ჩემს პასუხზე. არაფერი უთქვამს, ჩაფიქრებულმა მიყურა ერთ ხანს, შემდეგ საუბარი ისევ დედაზე გადაიტანა. კიდევ რამოდენიმე რჩევა მომცა და დამემშვიდობა.

ცხოვრება ჩვეულ რეჟიმში გაგრძელდა. ყოველ დღილით მე და გაბო პაპა ერთად მივდიოდით სამუშაოზე. ძალიან მიჭირდა საფლავების გაჭრა, თუმცა არ ვიმჩნევდი. ფული წყალოვით მჭირდებოდა, იმდენი წამალი მქონდა საყიდელი დედასთვის.

ერთ დღიას, სამუშაოზე წასასვლელად გაბო პაპას ველოდი სადარბაზოში. არა და არ ჩანდა. შევფიქრიანდი, არასდროს იგვიანებდა, პირიქით, აქეთ, მე მელოდა ხოლმე. სირბილით ავედი მის სართულზე და კარზე ძლიერად დავაკაკუნე. არავინ გამომხემაურა. გამიკვირდა, უჩემოდ ხომ არ წავიდა – მეთქი, ისევ დავაკაკუნე და თან კარის სახელურიც მოვსინჯე და მივაწექი. გაღებთ კი გაიღო, მაგრამ თითქოს რაღაცას წამოედო. შიგნით შევიხედე და გული გამისკდა, კართან პირქვე იწვა გაბო პაპა. ძლივს მოვახერხე შესვლა. შემინებული ვეცი და გადმოვატრიალე, ერთი ამოიხრიალა და მიყუჩდა. პირველი რაც მომაფიქრდა, იასთან დარეკვა იყო. ჩემი ხმა, რომ გაიგონა, ეგონა დედას სჭირდა რაღაც. მაშამისი, რომ ვუხსენე, ხმა ჩაუწყდა.

– მოვდივარ, – პატარა პაუზის შემდეგ მითხრა ხმაშეცვლილმა.

სასწრაფო დახმარების ბრიგადა და ია ერთდროულად მოვიდნენ, თუმცა გაბო პაპა უკვე გარდაცვლილი იყო, როგორც ჩანს ის ამოხრიალება ბოლო იყო და ჩემს ხელში

დაუღევია სული. ამის გააზრებამ, ძალიან ცუდად გამხდა. მთელ ტანში აუტანელი ტკივილი მივლიდა.

ია უხმოდ იდგა მამის ცხედართან. დაჰყურებდა წლების უნახავ მამას და ღმერთმა იცის, რა ხდებოდა მის გულსა და სულში. რას ფიქრობდა და რა სტკიოდა. გაბო პაპას საავადმყოფოში გადაყვანას აზრი აღარ ჰქონდა. დახმარების ბრიგადა გაუაცილე და ოთახში შეეტრიალდი. ისევ ისე იდგა ია. ფრთხილად მოგვიდევ ხელი და ხმადაბლა ვუთხარი.

– იტირე!

მძიმედ მოატრიალა თავი ჩემსკენ, მის თვალებში იმდენი ტკივილი და სინანული იყო, ალბათ, გაბო პაპას, რომ დაენახა, იმ წუთში აპატიებდა.

– მე მკვლეული ვარ, – ჩუმიდ მითხრა.

– იტირე, გთხოვ! – ხმას აუწიე.

– მე ყველაზე უღირსი შვილი ვარ, ტატო! – გულმოსაკლავად დაიძახა და ჩამეხუტა. ჩემდაუნებურად მოვხვიე მკლაუები და ორივე ავტირდი.

\*\*\*

ჩემი ხელით ვჭრიდი საფლავს. თან ცრემლებით ვნამ-

ავდი მიწას. გული გაგლეჯვას მქონდა. ბიჭები შორიახლოდან მიყურებდნენ, არაფერს ვაგვიკარე. მარტოს მინდოდა გამეშხადებინა გაბო პაპას სამუდამო განსასვენებელი.

მის დაკრძალვის დღეს ცოტა ადამიანი ვიყავით. მე, სასაფლაოს ბიჭები, ია და იას ერთი მეგობარი. სულ ეს იყო. როდესაც მიცვალებულს მივასვენებდით, მაშინ გამახსენდა გაბო პაპას სიტყვები.

„როგორც საურმედ დატოვებული გზა, ისე მოჩანს ბილიკები საფლაუებს შორის. ნეტავ, ჩემი ურემი როდის გაივლის რწევა-რწევით, ამ გზაზე?“

მართლაც ურემივით მივარწევდით, მძიმე-მძიმედ... მიწასაც მძიმედ მივაბარეთ.

– მადლობა, ტატო, – ტირილისგან დაწითლებულ-დასიყვებული თვალებით შემომხედა იამ.

არაფერი მითქვამს. ჯიბიდან გაბო პაპას მოცემული ჯვარი ამოვიღე და გაეწოდე.

– დედაჩემის ჯვარი?! – იცნო და შეცბუნებულმა წამოიყვირა.

– ჰო... – ვთქვი და ჯვარი ხელში ჩავუდე.

– ეს ჩემი სატარებელი ჯვარია, – სინანულით დაიქნია თავი, შეტრიალდა და ბილიკს უხმო ტირილით გაუყვა.

## მარია ხუცურაული

ორი სათებრვლო

თებრვლომს

კუღს იქნევს ზამთარი, თებრვლობს. ავი გაიმუდმა ამინდი. ვიხსენებ, წლების წინ, ერთხელ რომ თოვლ-თოვლ შუაფხოში გამიშვი.

ორწელიდან ძლივს ვკვალე უვლეელი, მიჭირდა აღმერთში, პირქარში. ქარს და შიშს შენს სახელს ვუღერდი, მშველოდა, გიჟივით მიყვარდი.

ყველა გამიცხადდა სიზმარი, ფეხდაფეხ მომყევი რიჟრაჟზე. რაც შენ სიყვარულზე მითხარი, და რაც შენ მეფერე იმ სამ დღეს...



ცხრა წელს იკმარებდა ცხრა ქალი, თუთრ, სადაგ დღეებში თებრვლის. თოვს და თოვს, გაგიჟდა ზამთარი მთვარე იცვლებო, შეჭფერის

ამბობდი და დროც იქ გაჩერდა...  
 თოვლმა უკანა გზა წაშალა.  
 რა ხდება, არ ვიცით არცერთმა, –  
 აქ ერთად ვბრუნდებით ჩქარ-ჩქარა.

დღესაც ერთი ფეხით მოგისწარ,  
 ათოვს ფანჯრების წინ ასკილებს.  
 ალბათ, შენც ხევ და ხევ მოდიხარ...  
 თოვს, არც გადაღებას აპირებს.

გაგიჟდა ზამთარი, თებერვლობს.  
 ნეტავ, ჩემს ნაკვალევს თუ ატყობს,  
 გიცდი და ვიხსენებ, ერთხელ რომ  
 მარტო გამომიშვი შუაფხოს...

**შენ არ გამიავრდე ოღონდაც...**

მერე მარტი მოვა, დახატავს  
 გაღმა ხატის გორებს ენძელით,  
 ახლა ქარია და ამ თოვლის  
 მეტი ვერაფერი შევძელი.  
 რაღაცას გვანიშნებს უეჭველს,  
 ისე გაიმუდმა თოვლ-ქარი,  
 შენს დუმლის მე ვერა გავუგე,  
 ვერც ამბებს – ჩიტების მოტანილს...  
 უწინდელ თოვლიდში სხვა იყო,  
 შენ რომ ოცნებებად მეხურე,  
 ახლა ქვენა ქარი ზმუის და  
 ერთმანეთს ახეთქებს ბელურებს.  
 პანტიდან ამფრთხალი ჩხართვებიც  
 ქარს და ნაბუქს ქვე-ქვე მოჰქონდა,  
 თებერვალს უხდება ავდარი,  
 შენ არ გამიავრდე ოღონდაც.  
 მეტი ვერაფერი შევძელი,  
 თებერვალს თოვლ-ქარით გილოცავ.  
 თოვს, ცოტა წაყინა არაგვი,  
 აავსო მუქო და ჭიჩოს მთაც...  
 \*\*\*

მერე მარტი მოვა, დახატავს  
 გაღმა ხატის გორებს ენძელით...

**ლელე ვარ, უწყლო...**

ილევა თებერვალი და  
 თოვლები დნება.  
 ცუდ სიზმრებს ვსინჯავ, უშენოს...  
 რა მეშველება?  
 წამიერ გამეჩვენები,  
 მამდიან ხმებიც...  
 მალევე თავდება სიზმარი

და მარტო ვრჩები.  
 ნაწნავიც ბევრი ჩავშალე,  
 სანთლებიც გინთე,  
 შენ არ ამოსდევ კიბეს და  
 წყალ-ღვარს სხვა ვინმე.  
 ყოველ ცისმარე ხევის პირს  
 მზეს ვეგებები,  
 ეგებ გაიხსნას საფშავო,  
 ნაზოვარ გზები.  
 სად ვის შაფიფლო, უშენოდ  
 ღელე ვარ უწყლო...  
 „არცა ლალი ვარ, რომ ვმღერი“  
 და ცასთან ვურცხვობ.  
 მე სად მოვიდე, ქალშავი, –  
 შორი მთით ბარსა;  
 რით რა ვეჯიბრო ქალაქელ  
 თეთრყირმიზ ქალს?!  
 ერთ ლექსილაა, ბეჩავი,  
 რაც ჩემგან დარჩა, –  
 ეგ არის ჩემი მზითევი  
 ოქრო და ფარჩა.  
 ისევ შენ უნდა მოხვიდე,  
 შორი და მწყრალი,  
 რომ აჩქამდება სითბოსგან  
 ხევებში წყალი...  
 გავიდა მარტი ახლით და  
 ილევა ძველით,  
 შენს შემოჩენას ბილიკზე  
 ამაოდ ველი...  
 და ვიდრე მოირთვებიან  
 ნაზამთრი მთები,  
 ხევ-ხევ ჩავდევ და ჩარგლისკარს  
 შენ გელოდები.

**მათურას თქმული**

აქ გათენდეს, არ ვინატრებ  
 გათენებას სხვა დილისას.  
 შენ მხარზე რომ თავს ჩამოვდებ,  
 სუნი მცემდეს სათიბისა.  
 მეშინოდეს უშენობის  
 როგორც მშვიერ ნადირისა.  
 გზაზე დამდგარს გლოცავდე და  
 არ გინდოდეს სხვა თილისმა.  
 არც რა მქონდეს საწადელი  
 გარდა შენი წადილისა,  
 გაგიბობდე, მომყვებოდეს  
 ექო შენი ქადილისა–  
 კაბაჭრულზე ლექსად წამწვდეს

ეკალივით ასკილისა.  
აქ გათენდეს, არ ვინატრებ  
გათენებას სხვა დილისას...

**არ ატირდე, ღრუბელო...**

ნ.ჩ.

შენზე ფიქრი ნალვერდალში გავახვიე,  
ღმერთმა არ ჰქნას, ქარმა შემოუბეროს,  
ბისონივით აანთებს და გააცოცხლებს...  
სახლში შემო, ფეხშიშველა ღრუბელო.  
ვიდრე ქარმა გაგწეწოს და გაგიტაცოს,  
წიფლებსა და მუხის წვერებს დაგხვიოს,  
გიჯობს, სახლში შემოხვიდე, ჩემს ბუხართან  
გაღნობა და დაქალება არჩიო...  
ასე მაინც, ნეტავ, საით გეჩქარება?  
ღმერთმა ნუ ჰქნას, ქარმაც შემოუბეროს,  
ოღონდ ახლა არ ატირდე, მოვა მარტი,  
ოღონდ ახლა არ ატირდე, ღრუბელო...


**წალ-წალკე**

ცისკარზე თვალახელილი  
შენ ქოხს ვინიშნებ ფერდობზე,  
სათიბით შენ ხმა ჩამოდის,  
ნეტა, ხმან სულ არ მესმოდენ.  
ნეტა, არც სიტყვებ ვიცოდე,  
ჩემ ხატებც ისე მწყალობდენ,  
ცეცხლივით არ მაბრიალოს  
შენ გამოხედვამ. ამ ოხერ

გულს რამ შაებას საბელი,  
უბით დამაქვის საშენო  
სიტყვები ლექსად სათქმელი.  
რამდენ წელს უნდა ვიაროთ  
გაღმა-გამოდმე არაგვის,  
არც კაცთა, არცა ხე-ქვათა  
პასუხ არ აქვის არაგვის.  
ვერც შენ წახვედი ზღვებს იქით,  
ვერც მე დაგთმე და დაგკარგე,  
არაგვის ნაპირებივით  
დავალთ ერთად და ცალ-ცალკე.

**ფედის ლექსი**

ბედნიერი ჩემს სიზმარში თხოვდებოდი,  
ხატხვეურას ქვენა ქარი გხდიდა მანდილს,  
ცაბაურთის წვერს უწევდა ცხენთა თქორი,  
ნანდაური ისრულებდა რა ხნის წადილს.  
ნაპარავ ცრემლს დედა უხმოდ ვიშმარალებდი,  
ძმა-ბიძებში ვაჟკაცობდა მამა უფრო,  
დები მაყრებს თვალებს მორცხვად უნაბავდნენ,  
ძმა არწივებს გარეოდა სასაუბროდ...  
ჭიკჭიკები როგორც შაშვი მაყვლის ბარდში,  
აელვებდი ლამაზ თვალებს შაშვისფერებს,  
ბედნიერი, მეოცნებე დიდი ბავშვი  
ულიმოდი მზიან დღეებს ხვალინდელებს...  
ოქროს ფარჩა დაჰფენოდა საარაგვოს,  
ცა და ხმელი გუგუნებდა „ჯვარი წინო“,  
ეს ქორწილი, ფშავის ხევზე საარაკო,  
ღმერთო შენით, ეგებ მალევე ამიხდინო...



**ნომადი ბართაია**

\* \* \*

არ ვიცი, რამ შემაყვარა,  
მართალი გითხრათ, ვერ ვხვდები, –  
კარგა მანძილზე ერთმანეთს  
მიყოლებული სოფლები.  
თვალს ავლებ კარ-მიდამოებს  
გსურს, თვალს ავლებდე რასაც სულ, –  
საგზაო ნიშნით რომ იგებ  
მათ დასაწყისს და დასასრულს.

**ისტორიის ფრაგმენტებიდან ანუ  
ეს რა განძის ვართ მფლობელნი**

რა განძი გვიგროვებია,  
ეს რა განძის ვართ მფლობელნი, –  
ვეფხვსა – შემომკვდარს მოყმესა,  
გლოვობდა მთელი სოფელი.  
არ ამაყობდა ხევსურეთს  
მოყმე, ვეფხვისა მოკვლითა  
და ერთი კვირა ესვენა  
ვეფხვი სამოსით მოყმისა.  
ასევე დაიტირებდნენ  
სვანეთში, დიდი კრძალვითა, –  
რამდენი ზოლიც ვეფხვს ჰქონდა,  
სწორედ იმდენი ზარითა.

არ შეიძლება არ იყოს  
ეს წელი ფეხზე დადგომის,  
არ შეიძლება, არ მოჰყვეს  
ვეფხვის წელს ვეფხვის ნახტომი.

**ასე რომ ვთქვათ**

ასე რომ ვთქვათ, მოთმინების  
მე ფიალა ამეგსო,  
როგორ მინდა, ახლა სადმე  
მთაში თოვას დავესწრო.  
ო, ზამთარი მთაში მუდამ  
სულ სხვა ზღაპარს გაიამბობს,  
ჩვეულებრივ, როგორც წესი,  
მთაში ბარდნის, კი არ თოვს.  
გაუხვევი ფანტელებში,  
ისე უცებ, თანაც რომ,  
რადაც ძალა ცა და მიწის  
გაგზდის უცებ თანასწორს.

**გაფრენილან ნლოები ესე**

ო, რა უცებ, წარსულად და  
როგორ მოგონებად იქცა,  
ცა ქუდად რომ არ მიმაჩნდა,  
ქალამნად კი – დედამიწა.  
ვედებოდი სად და სად არ,  
ღობე-ყორეს ო, რა გზნებით,

მყავდა დასტა ამფსონების  
ოფოფებზე ლამაზები.  
იყო წლები ვნებების და  
სურვილების ასრულების,  
ვგაუდი ომარ ხაიამის  
მოტოვს – წამზე დაშურების.  
რა სიბრძნეებს არ ვაფრქვევდი,  
ან როგორ მომქონდა თავი,  
მიხდებოდა, ანდა როგორ,  
ტანზე ბრძენის მოსასხამი...  
გაფრენილან წლები ესე,  
ახლა მოგონებით ვთბები,  
კიდევ კარგი, გაფრენილან  
არსად ჩემი ოფოფები.

\* \* \*

ვერ გეტყვით იმას, როსმე ამაზე  
რომ ლექსის წერას არ ვაპირებდი,  
მომნატრებია ხოლმე და როგორ  
ჩემი ბავშვობის ზამთრისპირები.  
ეს იყო ის დრო, რაღაცნაირი,  
მომღები ეგზომ ცეცხლის ალების,  
როს იწყებოდა შემოსვლა სოფლად  
თანდათან თეთრი იღუმალების.

**ლოგიკური სიმღერებიდან**

ქართველო, თუკი ეს მიწა-წყალი  
არ იყო შენი და იყო სხვისი,  
არ მოგართმევდა მას არვინ ლანგრით,  
მითხარი, ეს რა გიღუღდა სისხლი?  
მაგრამ სამოთხე ადგილი ესე,  
მადლობა, ო, შენს ქართველო მომგონს,  
თუ არა გწყალობს უფალი მართლა,  
შეინარჩუნე აქამდე როგორ?

\* \* \*

ან სხვა შაირებს ვუწუნებ რამეს,  
სხვა შაირებზე არ მითრთის გული,  
მაგრამ, სხვარიგად მედება გულზე  
გარე გინდა თუ შიდაკახური.

# გიორგი ჰავაშვილი

## მარინა

ზაფხულის არდადეგებზე მამაჩემი ყოველ პარასკევ საღამოს, ან შაბათ დილით ჩამოდიოდა სოფელში და მე და თამაზიც, ამ ჩამოსვლისთვის, ჩვენებურად ვეშხადებოდით.


პირველ რიგში ვცდილობდით, ისეთი არაფერი გაგვეფუჭებინა და ისე არ გაგვებრაზებინა ჩვენები თუ მეზობლები, რომ მისთვის ამბავი მიეტანათ და საყვედური დაგვემსახურებინა, რასაც მძიმე სანქციებიც მოჰყვებოდა.

ახლა რომ ვხვდები, ეს მხოლოდ პოლიტიკური თამაშები ყოფილა, ასე აქტიურად რომ იყო მასში ყველა ჩართული. მაგრამ, ჩვენ უკვე სანქციების მთელი პაკეტი გვექონდა მოპოვებული, არათუ შიდა, საგარეო ასპარეზზეც და ეს კი ისე გვიზღუდავდა მოქმედების არეალს, რომ მე და თამაზს, თითქმის ნახევრად არალეგალურად გვიწევდა ყოფა-ცხოვრება.

განსაკუთრებით გვაწუხებდა ყოველგვარი იარაღის წარმოებისა და გამოყენების აკრძალვა, რომელსაც ყველა ერთხმად ემზრობოდა, განთქმული კომბაინერის, ჯუგა ძიას გარდა. აკრძალული გვექონდა არა მხოლოდ ტყვიის ჩამოსხმა და გილზეების კუსტარულად დამზადება, არამედ „რაგატკების“, სხლარტების თუ შურდულების წარმოება, გამოყენება და შენახვა. მართალია, შურდულის სროლა მე ვერაფრით ვისწავლე, მაგრამ თამაზი, რომელიც მთელ სოფელში ამ საქმის დიდოსტატად ითვლებოდა, ამ იარაღით ისე შორს და ზუსტად ტყორცნიდა, ლამის მუშტისტოლა ქვას, შოთა რუსთაველს რომ ენახა, უთუოდ გამოიყენებდა თავისი პოემის რომელიმე თავში.

რაც შეეხება ჯუგა ძიას, რომლის ნამდვილი სახელი არ მახსენდება, ის შესაძლებლად თვლიდა ამ აკრძალვათა ჩამონათვლიდან სხლარტების ამოღებას, რადგან თავის თავზე იღებდა ჩვენს უსაფრთხოებას მკის კამპანიის დროს. თანაც, კომბაინისგან დამფრთხალილი მწყერის ამ სხლარტით ჩამოგდება არც სანადირო სეზონის ვადების დარღვევას იწვევდა. ამიტომაც, მან დიდსულოვნად დაგვითმო თავის ეზოში ტერიტორია ამ იარაღის წარმოებისათვის, რომელშიც მისი შვილი, ჩვენზე გაცილებით უმცროსი ვასიკოც ჩაერთო, მეტი ნდობისა და თავისუფლების მისაღებად. ვასიკო ზომ ჯუგა ძიას ერთადერთი ვაჟი იყო, ხუთი ქალიშვილის შემდეგ, მთელი სოფელი ერთი სახელით, – „ჯუგას გოგოებად“ რომ მოიხსენიებდა და ერთმანეთისგან გასარჩევად კი ციფრებს იყენებდნენ, მათ რიგითობას რომ განსაზღვრავდა.

ასე იყო თუ ისე, მე და თამაზი იძულებული გახდით აყეოლოდით ამ თამაშებს და ისეთი პოლიტიკა შეგვემუშავებინა,



ნა, თავიდან რომ აგვაცილებდა ზედმეტ სანქციებს, ეს კი ამ შეზღუდვების მთავარ დამწესებელთან, მამაჩემთან, ურთიერთობის დათბობაში მდგომარეობდა.

არა, სანქციებს სხვებიც უშურველად გვიწესებდნენ, მაგრამ ეს მხოლოდ დროებითი, ანდა, შესასრულებლად სავალდებულო არ იყო, ვიდრე მათ მამაჩემი არ დაამტკიცებდა. ამიტომაც, როცა მამაჩემი ჩამოდიოდა, მე და თამაზი მას საზეიმო დახვედრას ვუწყობდით, სიხარულს გამოვხატავდით მისი ჩამობრძანებით, ბარგის წამოღებაში ვებმარებოდით და შეფარვით, მოსალოდნელი „კომპრომატების“ განეიტრალების მიზნით, ამა თუ იმ მომხდარი ფაქტის ჩვენეულ ვერსიას ისე დამაჯერებლად ვაცნობდით, რომ მისი კეთილგანწყობა წინასწარვე მოგვეპოვებინა.

ჩვენ სოფლის ბოლოში ვცხოვრობდით. ასეთი თქმა იყო მიღებული, თორემ, მე რომ მკითხოთ, უფრო სოფლის თავში ცხოვრება გამოდიოდა, თუ კახეთის ტრასიდან მოხვიდოდა. ბოლო მხოლოდ მაშინ იყო, თუ უშუალოდ კაკაბეთის ავტობუსს გამოყვებოდი, რომელიც ნიახურას ციხესთან, ჩაილურსა და კაკაბეთს შუა გზას ამოუყვებოდა და მთელ სოფელს შუაზე ჭრიდა, ვიდრე ყანდაურამდე. ასეთ შემთხვევაში, ძველანათ წყალზე უნდა ჩამოსულიყავი და თავქვე დაყოლოდი შარაგზას, ჩვენს უბნამდე რომ მოგიყვანდათ.

ამიტომაც, რადგან არ ვიცოდით საიდან მოვიდოდა მამაჩემი, ჩვენი უბნის ბოგირთან დალოდება ყველა შემთხვევაში ამართლებდა, რადგან საიდანაც უნდა მოსულიყო, შორიდანვე დავინახავდით და შევეგებებოდით.

დილა იყო თუ საღამო, სოფლის შარაგზაზე სიცოცხლე ჩქეფდა. დილით ორთვალები და ურმები, მანქანები და ნახირი თუ ცხვრის ფარები თავქვე, ჭალისკენ მიიჩქაროდნენ, საღამოთი კი, სარჩოთი და ღალით დამძიმებულები,

შინ ბრუნდებიდნენ.

სახლების გამოსასვლელებთან, ხის გრძელ სკამებზე გამოეფინებოდნენ ქალები, შაოსანი ბებოები, ომმა რომ წაართვათ შვილები თუ ქმარი და ძაძი ჩააცვათ. მაშინ ისინი მოხუცები მეგონნენ, არადა, ახლა რომ ვფიქრობ, ორმოცი, ორმოცდახუთი წლისები თუ იქნებოდნენ და ეს თალხი ისე აბერებდათ და ისეთ რიდს აღძრავდა ჩემში, რომ თვალს ვერ ვუსწორებდი.

ახალგაზრდა ძაღვებსა თუ დეიდა-მამიდებს კი (როგორც ჩემი ბიძაშვილი, თამაზი მიმართავდა, მეც ისე მივმართავდი), ჭრელ-ჭრელი ბამბაზის ხალათები ეცვათ. ისინი საკუთარი „ტაბურეტებით“ გამოდიოდნენ, გამოიტანდნენ ხელსაქმეს, ან ლობიოს ამტვრევდნენ თუ არჩევდნენ, ან შელგს თუ ხაჭიჭორას, ან – საწანდილე ხორბალს...

ჭალიდან ჯერ პატარ-პატარა ცხვრის ფარები ბრუნდებოდნენ, უბნებში რომ გროვდებოდა და რიგ-რიგობით დაჰყავდათ პატრონებს საძოვარზე, მერე თივით თავმობ-მული ცხენის ორთვალეები თუ ხარებშებმული ურმები გამოჩნდებოდნენ. იმდენი ედოთ, მეურმეები ლამის აღარც კი ჩანდნენ. ზოგჯერ მათ ბოლოში გამობმული კვიცები თუ დეკეულ-მოხვერი მოჰყვებოდათ, სულაც ჭედილა ან ყოჩი, პატრონი საგანგებოდ რომ უვლიდა და ერჩივნა მუდამ თვალწინ ჰყოლოდა.

მეურმეებს არ ვიცნობდი, თუმცა, ისინი, თამაზის ყველა და ნაწილი, მეც მიცნობდა. ზოგი ისეთი სიყვარულით მომიკიდხავდა, გული მითბებოდა და ლამის ცრემლი მომეროდა ხოლმე.

– ვაა, გიავ, ჩამოხველ, კაცო? – როგორა ხარ ბიჭო, ე რამხელა გაზრდილხარ? – მეტყოდა ვიღაც, რომ მეგონა, პირველად ვხედავდი. მართალია, რამხელა გაზრდილხარო, მატყუებდნენ, რადგან კლასში ჩემზე პატარა ლამის არავინ მოიძებნებოდა და თამაზიც ჩემზე ერთიორად ტანიანი და ძლიერი გახლდათ, თუმცა სულ რვა თვით იყო უფროსი, მაგრამ ეს სიტყვები მაინც მამხნევებდა. მერე გააჩერებდა ურემს თუ ორთვალას და – მოდი, გამომართვი! – მეტყოდა. მეც თამამად მივირბენდი და მაიუსურს მიუშვებდი. ვიცოდი, რომ კახეთში ერთ თქმაზე მეტი საჭირო არ იყო და განაზებას არავინ დაგიფასებდა. მეურმეც მოძებნიდა თივით დაფარულ ვედროს, წინა ჭალზე რომ ჰქონდა მიბმული და ლოყაწითელი ვაშლებით და წითელ-ყვითელი ჭალის საადრეო ატმებით ავსებდა კალთას...

– ვინ იყო? – ვკითხავდი თამაზს, როცა ურემი გაგვცდებოდა და ხილს ჩაკებდით.

ბიძად გვერგება, „რუსკი მიშას“ ეძახიან. ანდა, გოგიაა ფილაური, მგონი, გიგა ძიას კლასელია. გიგა ძია მამაჩემია. მას ასე მხოლოდ დისშვილები, ძმისშვილები და ბიძაშვილისშვილები მიმართავენ. დედა, ანუ ბებიჩემი, და-ძმა, ბიძაშვილ-მამიდაშვილები, თავიანთი მეორე ნახ-

ვერებით, მას გიგუცას ეძახიან (მოგვიანებით, ბებიას წაბაკვით, ოტია იოსელიანიც ასე უხმობდა, მაგრამ ხშირად ეშლებოდა და გოგუცას ეძახდა, ისე, როგორც ნიახურას ციხეს – ოხრახუმას ციხეს, მაგრამ ამას სათვალავში არ შევალ) ქალაქელი მეზობლები, ბატონო გიორგიო, – მიმართავდნენ, ხოლო თანამშრომლები და ყველა დანარჩენი, – გოგი, გოგიო...

მოკლედ, გაიგეთ ესლა?!..

აქ კი, შარაზე, დაიწყებოდა ნახირის მოსვლა. კოლმეურნეობის ფერმები შორს იყო, ეს მხოლოდ მოსახლეობის კერძო პირუტყვი გახლდათ, სამი-ოთხი სული ყველას რომ ჰყავდა. დამძიმდებოდა ჩვენი შარაგზა, აგუგუნდებოდა, გვეკონება, უნდა ჩაინგრესო.

რა თქმა უნდა, ასფალტი არ ჰყოფნიდათ და აქეთ თუ ხევისპირი აკავებდათ, იქით, ღობემდე არაფერი იჭერდათ და მთელ სივრცეს ავსებდნენ. შავოსნები თუ ღობეებს ეკვროდნენ, ქალ-რძალი ხელს სტაცებდა თავიანთ „ტაბურეტებს“ და ისე ცდილობდნენ თავების გადარჩენას.

ბუნებით მშვიდ და თვინიერ ფურებს ახლა შინ ეჩქარებოდათ, მშვიერ ხბოებთან და ცოტა არ იყოს, ტაქტს და ზრდილობას ღალატობდნენ. შარის მთელ სიგრძეზე გამოეფინებოდა ხალხი, ნახირიდან თავიანთი საქონლის გამოსარჩევად. მართალია, ძროხებმაც იცოდნენ გზა, მაგრამ წესი იყო, რომ პატრონს მწყემსისგან თავად უნდა ჩაებარებინა საქონელი და როცა სოფლის ამ სურათს ბინდი ფარდა უნდა ჩამოფარებოდა, ანდა, თუ დილა თავის საათებს ჩამოილევადა, ან ზევიდან, ან ქვევიდან მამაჩემიც გამოჩნდებოდა. გავენთებოდით მე და თამაზი მისკენ, ბარგს ჩამოვართმევდით და ჩვენგან საინფორმაციო – თავდაცვითი ომი იწყებოდა, რასაც მამაჩემი საგამოძიებო – გამოსატყუპროცედურებს ახვედრებდა. რა თქმა უნდა, ყოველივე ამას უძღოდა ფრთხილი დიპლომატიური წიაღსვლები, ნერვების ომსაც რომ ეძახიან და ვინც პირველი გადაუარსებოდა თუმაზე, დიდი ალბათობით რომ მარცხდება კიდევ.

– აბა, როგორა ხართ, ბიჭებო, ხომ არავინ გააბრაზეთ, ან თქვენ ხომ არავინ გაგაბრაზათ? გვკითხავდა მამაჩემი, იგივე გიგა ძია. ეს შეკითხვა, ვითომდა ორად გაყოფილი, მაშინდელ კომუნისტურ ეპოქაში, ერთსა და იმავე პასუხს თხოულობდა და პლურალიზმის ერთადერთ გამოხატულებად ითვლებოდა საბჭოთა დიპლომატიურ არსენალში. ისიც კი გამიგია, ამ გენიალური შეკითხვის უკამ თვით დიდი ბელადი იდგა და მისი ასეთი წარმატება ამითაც იყო განპიროვნებული. ეს გულითადი შეკითხვა ენას უხსნის ადამიანს სატლიკინოდ და მთავრდება ყველა იმ შედეგით, რისი იმედიც შემკითხველს აქვს.

– არა, გიგა ძია, ვინ უნდა გაგაბრაზოთ?... ეს რა კარგი „საროჩკა“ გიყიდა, ძალიან გიხდება. – ხელით ეხება თამაზი მამაჩემის პერანგს, რაც თავი მახსოვს რომ აცვია. ერთი კია, რომ მართლაც უხდება ეს კუბოკრული,



მუქმინდისფერში გადაწყვეტილი პერანგი.

– ჰო, ხვალ თქვენც უნდა გიყიდოთ პერანგები, თუ არაფერი გააფუჭეთ და საყვედურები არ მითხრეს. თუ კარგად იქცეოდით, პერანგებზე უკეთესი საჩუქარიც მაქვს. – აუციმციმდა თვალები და იმავე წუთში ბარგის შეთვალეურება დაიწყო, ეს საჩუქარი რომ მეპოვა, ან ამომეცნო, სად იმალებოდა.

– არა, კაცო, რა ცუდად ვიქცეოდით. ობოს რო კრამიტი გაუტყდა, ვილაცამ კიდე ღობეზე გადმოსული გოგრები გაუკრიფა და ჩვენ გვაბრალებს, აბა იქამდე ქვას მიუწევდით, ანდა ქორფა გოგრა ვის უნდა, ეტყობა, საქონელმა თუ გაუძოვა...

– არც კიდე, არჩილას ხომარდული დაგვიკრეფია. – ხმა ამოვიღე მეც. – ხომარდული თუ გვინდა, ციცის არ უდგა, როდის იყო, უარი ეთქვა?

– ჰო, ასეა, გიგა ძიავ. ჯერ სიმინდსაც არა აქვს გული, არც მოსახარმად ვარგა და არც შესაწველად და ლადოს ბოსტანში რა გადაგვიყვანდა?

– სხვას ხომ არაფერს გაბრალებენ? – ეღიმება მამაჩემს და ვატყობ, დიპლომატიამ, მთლიანობაში, ცალკეული ხარვეზების მიუხედავად, იმუშავა.

– სხვა, აბა, რა ვიცით, იმათ თუ რაიმე მოიგონეს, თორემ ჩვენ არაფერი დაგვიმაჯობია. ის კი არა, ერთი წიგნი კიდეც წაგიკითხეთ, ბიბო!

– ჰო, მაშინ კარგი ბიჭები ყოფილხართ და საჩუქარი მართლაც გეკუთვნით! – გვითხრა მამამ და შევატყვევო, ამ ერთი წიგნის გამო, ისეთ ხასიათზე დადგა, რომ ვერავინ გაუბედავდა მის წახდენას. საჩუქარი კი ფოლადაურის პიონერთა ბანაკის საგზურები გამოდგა.

– ფოლადაური მდინარეს ჰქვია, ბოლნისის რაიონში და ბანაკიც მის ხეობაშია, ზედ მდინარის პირას. – აგვიხსნა მამამ. – ერთად იქნებით და თქვენც დაისვენებთ და ეს ამხელა სოფელიც.

მართალია, აქაც კარგად ვისვენებდით, უფრო ზუსტად, კარგად ვილღებოდით, რასაც უფროსები, რატომღაც დასვენებას ეძახდნენ, მაგრამ მაინც ძალიან გავიხარეთ.

რაც შეეხება სოფლის დასვენებას, ეს მე მგონი გადაჭარბებული შეფასება იყო, უბანი მაინც ეთქვა.

ბანაკში არასოდეს ვყოფილვართ და მისი მხოლოდ ქება გვსმენოდა.

დაპირებული პერანგების გარდა, საცვლები და წინდა-სანდლებიც გვიყიდეს, საპონი, კბილის პასტა და ჯაგრისი. ეს ყველაფერი, სხვა საჭირო ნივთებთან ერთად, სულ პატარა ჩემოდნებშიც იოლად ჩაგტიეთ და ორშაბათ დილას თბილისში ჩავედით.

ვერის ავტოსადგურთან ყვითელი „პაზიკი“ გველოდა. მამამ ვილაც ნაცნობს ჩააბარა ჩვენი თავი, რომელსაც, ასევე შვილი მიჰყავდა ბანაკში, დაგვსხა სკამებზე და ფოლადაურში გაგვამგზავრა.

\* \* \*

მალე მივეჩვიეთ ბანაკის ცხოვრებას, – პიონერულ ხაზს, დაფლაფლებს, დროშის აღმართვას, რუსულ სამწყობრო სიმღერას, რომელიც გვაუწყებდა, რომ ჩვენ მუშების შვილები ვიყავით და ნათელი ცხოვრების წლები გვიახლოვდებოდა. პიონერის ფიცის კი მუდამ მზადყოფნა იყო. მართალია, ჩვენი მზადყოფნის ერთხმად დადასტურება ქართულადც დღეში რამოდენიმეჯერ გვიწვედა, მაგრამ ეს დღემდე ვერ გავარკვიე, კონკრეტულად, რისთვის უნდა ვყოფილიყავით მზად. იქნებ, იმ ცხოვრებისთვის რაც წინ გველოდა. გავსწავლეს, აგრეთვე, რუსული საყოფაცხოვრებო სიმღერა გვირილაზე, რომ ის თეთრია, ნაზი ფურცლები აქვს და ჩემი საყვარელი ყვავილია.

ბანაკში ორი ასაკობრივი ჯგუფი იყო. მესამე-მეოთხე და მეხუთე-მეექვსე კლასელები, კომკავშირელებამდე. სამი-ოთხი კომკავშირელი კი პიონერხელმძღვანელებად გვყავდა.

დილის ხაზზე ყველა ერთად გამოვიდოდით, მერე კი ჩვენ-ჩვენი დღის რეჟიმით ვცხოვრობდით, რომელიც საძინებელი პალატის ლურჯადმღებელი კარზე გამოეკრათ და იმდენად დახვეწილი იყო, რომ შევიდოდა დღეს შეუცვლელად სწვდებოდა და შემდეგაც უპრობლემოდ მუშაობდა.

ადგომა, პირის დაბანა, საუზმე, გასეირნება, მკვდარი საათი, სადილი და ასე შემდეგ, წუთობრივად ზუსტად გეკარნახობდა საბანაკო ცხოვრების წესს, რომლის შეჩვევა სულაც არ იყო ძნელი.

როცა პირველი დილის ხაზი გაიმართა და უმცროსი ასაკის გოგო-ბიჭები ერთმანეთის პირისპირ დავედქით, მარიანამ მაშინვე მიიქცია ჩემი ყურადღება. იგი მაღალი იყო. გამხდარი, ოდნავ მოგრძო, ხორბლისფერი სახე ჰქონდა და მხრებს ჩამოცდენილი თხელი, ქერა თმა, შუბლზე ჩამოშლილი პატარა კულულოთ, რომელსაც, დროგამომშვებით, ხან ერთი და ხან მეორე მხრიდან, იმისდა მიხედვით, საით ჩამოემლებოდა, ოსტატურად აჰბერავდა ხოლმე ტუჩების მარჯვე მოძრაობით.

მარიანას და კიდევ რამოდენიმე გოგონას, რეიტუზის შარვლები ეცვათ, მუხლებამდე აკაპიწებული, ფეხზე კი თეთრი წინდები და ჩინური, მოკლეყელიანი კედები.

მართალია, იგი თანატოლ გოგონებში სიმაღლით მესამე იყო, ხოლო მე, ბიჭებში – ბოლოდან მესამე, მაგრამ დანახვისთანავე სწორედ ის მომეწონა და სხვებისთვის კარგა ხანს თვალის არ გადამივლვებია.

რა თქმა უნდა, ეს არავისთვის მითქვამს და მე და თამაზიც, მარიანას სილამაზეში, გვიან გამოვუტყდით ერთმანეთს, მაგრამ, მალევე მივხვდი, რომ მარიანა არათუ ჩვენ, ყველას მოეწონა და, სიმართლე გითხრათ, ძალიანაც გავიხარეთ ჩვენი დახვეწილი გემოვნების გამო.

გარეგნობას რომ თავი დავანებოთ, იგი, მეტად კეთილი

და გულუბრყვილო გოგონა აღმოჩნდა. სულ კარგ ხასიათზე იყო და იდიმოდა. თაფლისფერი თვალები მუდამ უბრწყინავდა და სიცოცხლეს ასხივებდა. როცა იცინოდა, მაშინ კი, ლოყა ისე კონტად ეჩხვლიტებოდა, მისი ცქერა ერთ რამედ ღირდა.

მარტო შარვალი კი არა, ყველაფერი უხდებოდა, რაც არ უნდა ჩაეცვა. მაშინ ტანსაცმლის გაცვლა, გოგონებში მოლაში იყო და მასაც ხშირად უწევდა სხვისი შემოსაცმელით, ანდა პერანგით სიარული, მაგრამ რასაც ჩაიცმევდა, მაშინვე ეღებოდა ფასი.

ყველას გულითადად ექცეოდა, ყურადღებას არავისთვის იმუშრებდა და ბიჭებსაც და გოგონებსაც, უმცროსებსაც და უფროსებსაც თანაბრად იმეგობრებდა, თუკი თავად შეძლებდი და დაელაპარაკებოდი, რასაც მე ვერასოდეს მოვახერხებდი.

გამორჩეული ბიჭიც გვყავდა, გიგა იანვარაშვილი. ასევე ჩვენში უფროსი და თამაზიხეც ტანიანი და ძლიერი. რალაცნაირი, კუთხოვანი ნაკეთები ჰქონდა, ჭროლა თვალები, სიცილისას მთლად რომ ეჭუტებოდა, ოდნავ ჭორფლიანი პირისახე და მსხვილი კისერი, პერანგის ბოლო დილს შეკვრის საშუალებას რომ არ აძლევდა. ღერძზე დაუსრულებლად შეეძლო აწევა და სხვადასხვა ილეუბსაც მარჯვედ აკეთებდა. ჩვენც დაგვიკიდებდა და გვაჯარჯიშებდა. მე კი, დაწოლილი, ხელეებზე დამიყენებდა და გაჭირვებით, მაგრამ რამოდენიმეჯერ მწევდა.

მოკლედ, ყველა მოელოდა, რომ სწორედ ის და მარიანა მეტად დაუახლოვდებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ ასე არ მოხდა. ანუ, მტკიცე და მრავალჯერ გამოცდილი საბჭოთა პიონერული სტრუქტურა, მთელი თავისი რაზმეულის საბჭოებითა და თავმჯდომარეობით დაწყებული და პიონერხელმძღვანელებითა და ადმინისტრაციით დამთავრებული, დიდი საბჭოთა ქვეყნის ამ პატარა ბანაკში, რალაცნაირად მოიხრდა და მოიშალა. უცხო თვალისთვის ეს ძნელი შესამჩნევი იყო, რადგან ყველა აუცილებელი ფორმლობა ზედმიწევნით სრულდებოდა, დილის ხაზიდან საღამოს ხაზამდე, – „იყავი მზად!“ „მზად ვარ!“ – დამთავრებული. მაგრამ ამ დროსაც კი, შეფარვით, ყველა მარიანას უყურებდა, თითქოს სწორედ მისი ბრძანების შესასრულებლად უნდა ვყოფილიყავით მზად, მისი ერთგულებისათვის და ამ სიტყვებსაც, სწორედ რომ რალაც მინაარსი მიეცა და ყოველდღე უფრო და უფრო რიხიანად ვამბობდით.

რაც შეეხება პიონერხელმძღვანელებს, ისინიც კარგები იყვნენ, ძირითადად ერთმანეთში კურკურებდნენ და მათი სახელები რომ არ მახსოვს, ნათელია, კარგად შეასრულეს მოვალეობა.

ისინი უმაღლ მიხვდნენ, რომ ჩვენი რეალური ხელმძღვანელი მარიანა იყო და ამ ვითარებით მათაც ისარგებლეს.

დავდიოდით ტყეში, მინდორში, ვბანაობდით მდინარეზე, კკრეფდით მინდვრის ყვავილებს და გულში, ყოველ თაი-

გულს მარიანასთვის ვკრავდით, თუმცა ბევრი მის მირთმევას ვერ ვებედავდით და სხვებს ვჩუქნიდით.

ასეთი ჩემთვის ნინო გამოდგა, კაფანდარა, საყვარელი გოგონა, ღიმილით რომ შემომყურებდა ხოლმე და მუდამ მზად იყო ჩემი სისულელეების საყურებლად და მოსასმენად. ნინოც, გოგონების ხაზში, ჩემსავით ბოლოდან მესამედ იდგა, მაგრამ ყურადღება უფრო მაშინ მივაქციე, როცა ერთხელაც, ფოლადურას მყუდრო ყურეში მობანავემ, წყალში მისი აჩრდილი შევნიშნე, გაუნძრევლად რომ იდგა ჩემს მალლა და მელოდა. დიახ, დღევანდელი გადასახედიდან, ეს სამოთხესთან ყველაზე უფრო მიახლოებული დღეები იყო ჩვენთვის, მაგრამ გული მაშინვე მიგრძნობდა, რომ ასე დიდხანს არ გაგრძელდებოდა. ვცდილობდი გამომეცნო საიდან დაგვატყდებოდა უსიამოვნება თავს, მაგრამ მაშინ ბავშვი ვიყავი და ეტყობა ამიტომაც ეს ვერ შევძელი. არადა, თურმე სწორ კვალზე კი ვმდგარვარ, როცა დღის რეჟიმის დახეობების შემდეგ, ჯიუტად ვცდილობდი დამის რეჟიმის პოვნას, რათა მთლიანად შევსებულიყო პიონერული ცხოვრების განაწესი. სამწუხაროდ, ეს არ გამოიძვიდა. წესით იგივე ფურცლის მეორე მხარეს უნდა წერილიყო, მაგრამ როცა ქვედა ჭიკარტი მოვაძრე და შევხედე, ცარიელი დამხვდა. არადა, ჯიუტად არ მჯეროდა, რომ საღამოს ცხრა საათის შემდეგ, დილის რვა საათამდე, ბანაკში ყველაფერი კვდებოდა და დამის ცხოვრებას საბჭოთა რეჟიმი არ აკონტროლებდა და დროის ამხელა სივრცე უპატრონოდ ეგდო.

\*\*\*

ჩემმა ალლომ, რომ ცხოვრება დამითაც ჩვეულებრივ გრძელდებოდა და თანაც, რალაც უხილავ რეჟიმსაც ემოხილებოდა, რასაც პიონერებს ჯიუტად გვიმალავდნენ, არც ამჯერად მიმტყუნა, როცა, ერთ დღითაც, ჩვენი ჯგუფის ბიჭებმა გაპასტულებმა გავიღვიძეთ.

მე გადავრჩი, სულ ცოტა მეცხო, ეტყობა, ზრდილობისათვის. თუმცა, ერთი ცარიელი ფლაკონი ჩემს ლოგინში ეგდო და თუ მოვინდომებდი, კიდევ გამოვწურავდი და ადამიანურად გავიპასტავდი თავს, რაც ასე დაეხარა წუხელ მომხდურს, მაგრამ ეს არ მიქნია.

ბიჭები დიდხანს იბანდნენ თავპირს, აწესრიგებდნენ ლოგინებს. და ჩუმად იმუქრებოდნენ სამაგიეროს გადახდას, რადგან გიგამ გვთხოვა, ეს ამბავი არ გაგვეხმაურებინა, გოგონები, ვისხედაც მაშინვე მივითანეთ ვჭვი, რომ არ დაესაჯათ. თანაც კარგად უნდა გაგვერკვია, ვინ იყო დამნაშავე. შესაძლოა, სულაც უფროსი ჯგუფების ხელი ერია ამ საქმეში და ჩვენ კი სხვაზე გვეძია შური

– თუ ისე მოვიქცევით, ვითომც არაფერი მომხდარა, ისინი ვერ შეიკავებენ თავს და როცა იქნება სიმართლე გამჟღავნდება და მერე გადაუხადოთ სამაგიერო. – გვითხრა გიგამ და ჩვენც მოგვეწონა ეს აზრი.

გიგას ძალიან დაუუახლოვდა. ის კინო „საქართველოს-თან“ ცხოვრობდა და ერთ უბნელებად ვთვლიდით თავს. თუმცა ღრმადელეში ვცხოვრობდი, მაგრამ ახლადგახსნილ კინოთეატრში, მე და ჩემი ბიძაშვილები, კვირაში სამ-ოთხ-ჯერ მაინც ვესწრობოდით დილის სეანსებს. ორივესთვის ახლობელი იყო სამი ნომერი ტრამვაიც, რომლის ხაზიც, ასევე ახალი გახსნილი განლდათ და ამ ტრამვაიმ მთელი ოქტომბრის ქუჩა გააერთიანა.

რა თქმა უნდა, გოგონები იმავე დღეს გამოტყდნენ, რომ მათ გაგვპასტეს და სამაგიეროსაც იმავე ღამით ელოდნენ, რითაც ბანაკის რეჟიმის ჩემი თეორია მთლიანად გამართლდა, მაგრამ, გიგამ, ამჯერადაც წინდახედულება გამოიჩინა და იმ ღამეს ფეხი არ მოგვაცვლევინა.

– დაე, გველოდონ, ჩვენთვის უკეთესია. ამალამ და ხვალღამ, ამ ღოდინით დაიღლებიან და ზეგ ისე ჩაეძინებათ, ფეხსაც არ გაიქნევენ.

გიგა ამჯერადაც მართალი აღმოჩნდა. როცა მესამე ღამეს ბიჭები გასაპასტად შევიდნენ, ყველას, თურმე, ღრმა ძილით ეძინა.

მეორე დღეს, დიდი გნიასი და წივილ-კივილი ატყდა. გოგონებს თითქოს თავადვე უხაროდათ, რომ გაიპასტნენ, თუმცა, ვითომდა ჩვენზე გაბრაზებულები იყვნენ.

თითქოს ყველაფერი მშვიდობიანად უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ ასე არ მოხდა და რამოდენიმე გოგონამ, პიონერხელმძღვანელამდე, მან კი – დირექტორამდე მიიტანა ამბავი.

ამ გოგონებს თურმე ის სწყენიათ, ბიჭებს ყველა რომ გაუპასტავთ, მარიანას გარდა...

როგორც გავიგეთ, მათ, მარიანასთვის, ლამის სასამართლო მოუწყვიათ, საყვედურები უთქვამთ და გაპასტვაში ბიჭებთან თანამონაწილეობაშიც დაუდვიათ ბრალი.

– მარიანას ძალიან ეჩხუბნენ, – მიაბობნდა თვალცრემლიანი ნინო. – ალბათ, შენც მათთან ერთად გვპასტავდიო. მათი თანდასწრებით არა, მაგრამ, მერე მარიანამ იტირა კიდევ. გვითხრა, რომ გაპასტვაზე არც მაშინ იცოდა არაფერი, როცა თავად ამ გოგონებმა გაპასტეს ბიჭები და მითუფრო, არც მერე, როცა ბიჭებმა გოგონები გაპასტეს და მარიანას კი არ შეეხნენ.

– მეც არავის გავუპასტივარ, მაგრამ ამის მოსმენა არც ისურვეს, სულ მოღალატე ეძახეს... – ცრემლს ვერ იკავებდა ნინო.

რამოდენიმე მოზრდილი ბავშვი, ბიჭებიდანაც და გოგონებიდანაც, დირექციაში დაიბარეს. მათ შორის არც მარიანა იყო და არც გიგა, რომელიც არ მონაწილეობდა გაპასტვაში და არც არავინ უჩიოდა.

როგორც ჩანს საუბარი მეტად უსისმონო ყოფილა. თუმცა მალე ყველას ყველაფერი თითქოს დაავიწყდა, მაგრამ ბანაკი რომ ძალიან დაშორდა სამოთხის კარს, ეს აშკარად ჩანდა.

მარიანა ცდილობდა, ძველებურად ხალისიანი ყოფილიყო, მაგრამ მას ეს აღარ გამოსდიოდა, რადგან რამოდენიმე გოგონა, დემონსტრაციულად გაებუტა და დროს იხელთებდნენ თუ არა, უსიამონო რეპლიკებსაც არ იშურებდნენ მისთვის.

ერთხელ გიგამ ხელი მომხვია სკმზე გვერდით დამისვა და და მითხრა:

– რასაც ახლა გეტყვი, არავის უთხრა. თუ შეგიძლია, დამეთანხმე, თუ არა, იცოდე, რომ არ მეწყინება და ისევ ძმებად დავრჩებით.

– რა მოხდა? – ცოტა არ იყოს, შევშინდი, თუ დავიბენი, თუმცა მასთან ძმობა, ძალიან მახარებდა.

– ამალამ, ყველა რომ დაიძინებს, „ფორტოჩკაში“ გადაგპვრენ და მარიანას გაპასტავ!

ძალიან გამაკვირვა და ცოტა შემაშფოთა ამ თხოვნამ, მაგრამ გიგამ ამიხსნა, ეს იმიტომ უნდა გავაკეთოთ, რომ გოგონებმა აითვალწუნეს და გაინაპირეს. მარიანა კი ძალიან გულნატკენია, სიმართლეს რომ ვერ ამტკიცებს...

– რა დამტკიცება უნდათ, – გავბრაზდი მე. – ძალიან კარგად იცინან, როგორც იყო ყველაფერი. მაგათ შურთ, რომ მარიანა ყველას სჯობია და მეტი არაფერი. ნინოც არ გაუპასტავთ იმ ღამეს, მაგრამ მას ვინმე საყვედურობს?

– ჰო და, მაგათ რომ გაპასტავ, და კიდევ ერთ-ორ ვიღაცას, ვინც უნდა იყოს, სალაპარაკო მოესპობათ.

გადმოყვანილთაც მე გადმოგიყვან, არაფერი დაგიშვდება.

რაც ეს ამბავი მოხდა, გოგონების პალატაში, პიონერხელმძღვანელები, ფანჯრებს საგულდაგულოდ კეტავდნენ. მხოლოდ „ფორტოჩკებს“ ტოვებდნენ ღიას და იქ გადაძრომა ჩემთვისაც კი შეუძლებელი იყო, ვინმე თუ არ მომეხმარებოდა. მართალია, თავისუფლად გავეტეოდი, მაგრამ თუ ვინმე არ ამწევდა და ფეხებს მუხლებამდე მაინც არ შემაყოფინებდა ამას მარტო ვერ მოვახერხებდი.

– არავის უთხრა ეს ამბავი. – მთხოვა გიგამ, როცა დავთანხმდი.

– თამაზს?

– თამაზს უთხარი. – თვალი ჩამიკრა გიგამ. – შუალამისას მოვალ, ყველას რომ ეძინება. პასტა მე მაქვს, დღეს ვიყიდე სოფლის მაღაზიაში. შხად იყავი და იფხიზლე. – მითხრა გიგამ და დავშორდი.

\*\*\*

აქამდე სულ მიკვირდა, რატომ მოგვიწოდებდნენ პიონერებს სიფხიზლისაკენ და ძალიან გავიხარე, ეს ამოცანა რომ ამოხსენი. ისიც ღრმად ვირწმუნე, ღამის რეჟიმის ერთი პუნქტი, – გაპასტვა რომ უთუოდ იყო და მრავალსხვა, ჯერაც დაფარულ პუნქტებზეც მიფიქრე ვჭვი, თუმცა ამჯერად, ამ თემაზე მსჯელობის გავრძელება ამბავს დიდად არ წაადგება და მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ძალიან ახლოს მივედი მთავარი ლოზუნგის გამიფერასთან,

– „იყავი მზად! და „მზად ვარ!“ – ს რომ უკავშირდება.

ღიახ, ყოველ დღით, პიონერული ხაზი ჩვენი მზადყოფნის თანხმობით მთავრდებოდა, ასე მჭკქარედ რომ გამოხატავდით და მერე, როცა არაფერ არავითარ საინტერესო დაუალებას აღარ გვაძლევდა, დაეიშლებოდით, მოეხსნიდით ყელსახვევებს და ამით მთავრდებოდა ყველაფერი.

ახლა კი დაუალება მიღებული მქონდა. კონკრეტული და ნათელი. თანაც მეგობრული და არა ძალდატანებითი. ისეთი დაუალება, თაყადაც რომ სიხარულით შევასრულებდი და არა მხოლოდ მე, ბანაკის ყოველი ბიჭი, ასე რომ განიცდიდა მარიანას ამბავს.

აკი, ნოდარმა თქვა, მარიანა მე უნდა გამეპასტა, მაგრამ ისეთი ლამაზი იყო, ვერ შევძელიო. იქნებ სწორედ მისი ეს სიტყვები მიიტანა ვინმემ გოგონებამდე. ნინომ ხომ მითხრა,

ზოგიერთი, შურისგან, მარიანასკენ სულ „შპილკებს“ ისვრის, მაგრამ ის ცდილობს ყურადღება არ მიაქციოს და ისე იქცევა, თითქოს ვერც ხვდებოდეს.

პიონერული სიფხინლე არ გამოძივდა, მაგრამ გიგამ როგორც კი ხელი შემახო, მაშინვე წამოვხტი, ჩავიცვი და გავყვი.

ეზოში გავედით და გიგა გოგონების პალატის იმ ფანჯრის რაფაზე აძვრა, ტყისკენ რომ იყურებოდა.

მთვარიანი ღამე იყო და ყველაფერს კარგად ვხედავდი. მოკლე და ვიწრო თხელი ფარდები ვერც ოთახის განათებას უშლიდა ხელს და როცა გიგამ მეც ფანჯრის რაფაზე ამიყვანა, მარიანას საწოლი ნათლად დავინახე.

გიგამ ფრთხილად ამწია. საკმაოდ მარჯვე ვიყავი ხეებზე ცოცვაში და არაფერი გამჭირვებია. ფეხები გადავყავი, ჩარჩოს ჩავებლაუჭე და შიდა რაფაზე გაცილებით რბილად დავეშვი, ვიდრე იური გაგარინი – დედამიწაზე.

გიგამ ახალთახალი კბილის პასტა გადმომაწოდა მარიანას საწოლისკენ კიდევ ერთხელ მიმითითა, რომლის ადგილმდებარეობა ისტორიაში პირველად ნოდარმა აღწერა და ისე ზუსტად, მისი მიგნება ყველა გულისყურიან და დაინტერესებულ მსმენელს შეეძლო.

\*\*\*

კბილის პასტის წარმოებაზე კარგი და სარფიანი პროექტი, ალბათ, ძნელია, მოიძებნოს საბჭოთა მსუბიქი მრეწველობის არსებობის ისტორიაში.

ჩემი დასკვნით, პიონერთა ბანაკების შექმნა, სწორედაც პასტების წარმოების გაფართოებასთან არის პირდაპირ კავშირის, რათა მის გამოყენებას გაცილებით ფართო და მრავალმხრივი დანიშნულება ჰქონოდა, ვიდრე ეს დამდღელი და მოსაწყენი კბილების ხევაა. განა რამდენი უნდა დახარჯო, კბილების ხეხვისას, ძალიანაც რომ მოინდომო? აი, კედლების გათეთრებას კი, ხარჯი გაცილებით მეტი აქვს, ხოლო, გაპასტვას – ასმაგი. როგორც ვფიქრობ, მთელს

საბჭოეთში, ზაფხულობით პასტის რაოდენობის წარმოება ისე ფართოვდებოდა, რომ მთელს მსუბიქ მრეწველობას აცოცხლებდა და მეც, ახლა რომ ცოტა არ იყოს შემინებული, საწოლებშუა გზას მივიკვლევდი, უთუოდ რაღაც სასიკეთოს, სახელმწიფოსათვისაც ვაკეთებდი.

კბილის პასტას თავი მოვხსენი. დავრწმუნდი, რომ დამცავი აბი მოცლილი ჰქონდა და ფეხაკრეფით გავემართე მარიანას საწოლისკენ, ვერცხლისფრად რომ იყო განათებული.

მარიანას მშვიდად ეძინა. ისეთი ლამაზი იყო და ისეთი სურნელი ვიგრძენი, ლამის მისვლის მიზეზი დამავიწყდა. გული გამალებით მიცემდა და დიდი საშიშროება იყო, სწორედ მის ხმაურზე გაღვიძებოდა ვინმეს. ამიტომ, ძალა მოვიკრიბე და პასტა სახესთან მივუტანე, თუმცა, ხელის მოჭერას ვერ ვბედავდი.

ასე ვიყავი გაშეშებული და არაფერ იცის, რა მოხდებოდა, მარიანას თვალი რომ არ გაეხილა. გული მთლად გადამიქანდა და გაქცევა დავაპირე, მაგრამ მან გამიღიმა, მერე თლილი თითებით ჩემი ხელი ხელში მოიქცია და ფრთხილად მოუჭირა. პასტა მშვიდად დაეშვა მის ცხვირ-პირზე და კარგა მოზრდილი წრე დახატა.

მარიანამ, რაღაცნაირად, რბილად გამიშვა ხელი.

ფრთხილად მოჭირაილდი, დამაბულობისგან სრულიად თავისუფალი. ნინოს საწოლი იოლად მოვებნე, რადგან მისგანვე ვიცოდი, სად იდგა. ლამაზად იყო გახვეული ზეწარში და ლოყაც გაბედულად გავულამაზე...

გათამამებულმა, კიდევ რამდენიმე გავპასტე, დანაშაულის იარაღი შემთხვევის ადგილზე, ანუ ვიღაცის ლოგინში დავტოვე და ფრთხილად ავძვერი იმ სარკმლის რაფაზე, გიგა რომ მელოდა.

\*\*\*

ამ ამბავმა სწრაფი შედეგი გამოიღო. მთავარი ის გახლდათ, რომ გაბრაზებული გოგონები, თუმცა ბოლომდე არ დამშვიდდნენ, მაგრამ მათი პრეტენზიების მომსმენიც აღარავინ იყო.

ისინი, ვინც იმ ღამეს, მარიანასთან ერთად გაიპასტნენ, გახარებულები უფრო ჩანდნენ, რადგან ვიღაცეებმა მარიანასთან ერთად გამოარჩიეს და გამპასტველთა ვინაობის გაგებას ცდილობდნენ. ეს კი მხოლოდ ნინომ მოახერხა, რამაც უზომოდ გაახარა და ჩვენი საიდუმლო ბოლომდე ღირსეულად დაიცვა.

კმაყოფილები იყვნენ ბიჭები, რადგან ბანაკის დირექციის პროტესტის მიუხედავად, გაპასტვის აკრძალვა არ შედგა,

გახარებული იყო გიგა, რადგან მიზანს მიაღწია და გახარებული იყო მარიანა, რომელმაც ყველაფერი სწორად გაიაზრა.

რა თქმა უნდა, მეც ძალიან მიხაროდა. , რადგან ბევ-

რი საიდუმლოებები ამოვხსენი, თუმცა, მათ ადგილზე გაცილებით უფრო ძნელი და უამრავი გამოცანა გაჩნდა. მთავარი ის იყო, რომ გიგას და მარიანას კეთილგანწყობას ვგრძნობდი და ეს ყველაზე უფრო მახარებდა. დღეები კი, მას მერე უფრო სწრაფად გადიოდა, რაც ასე დაუმეგობრდით. ეტყობა, სადღაც, პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, ამის დადგენილებაც იღო, რაზეც მაშინ ჩვენ ხელი არ მიგვიწვდებოდა.

\*\*\*

მარიანა ორი დღით ადრე წაიყვანეს მშობლებმა. გიგა – მარიანას წასვლიდან მეორე დღესვე თავად წავიდა.

როცა მამა ჩამოვიდა და წამოსასვლელად მოვემზადეთ, ნინომ პატარა ფურცელი მომცა, რომელზეც მისი მისამართი ეწერა. ფურცელი ჩემოდნის ჯიბეში ჩავდე და დავემშვიდობეთ ერთმანეთს.

\*\*\*

მოხდა ისე, რომ ეს ჩემოდანი აღარა დამჭირვებია. მამამ სპორტული ჩანთა მიყიდა და ყველგან ის დამქონდა. ჩემოდანს კი დიდი ხნის შემდეგ წავაწყდი, როცა უკვე თავად მყავდა იმხელა შვილები, რამხელაც მაშინ ვიყავი, როცა მამამ ეს ჩემოდანი მიყიდა. ბებოს შიგ ჩემი ბავშვობის-დროინდელი მაისურები და პერანგები შეენახა, რომელსაც გადასაყრელად და ჩერებად ვერ იმეტებდა და წელიწადში ერთხელ მაინც, რეცხავდა და აუთოვებდა. თრთოლვით ჩაყვავი თითები პატარა ჯიბეში და ფურცელი ვიპოვე, რომელზეც ლამაზი კალიგრაფიით ეწერა: თბილისი, გორკის ქუჩა 3, ნინო ჯაბადარი.

ვიდექი ცრემლმორეული და ვცდილობდი, ჩემი უნამუსობა პარტიისა და მთავრობის რომელიმე დადგენილები-სთვის დამებრალეებინა, მაგრამ ეს კი ვეღარ მოვახერხე...

## ნინეა სამხარაძე

\* \* \*

შენსავით წითელ ბროწეულებს  
მაწვდის გალია,  
დაბზარულ ბილიკს მიუყვება  
წვიმა დარამდის,  
მთელი თვე, სწორედ, ნაბიჯ-ნაბიჯ  
ასე გავლიე,  
შენ დადუმდი და მე ჩრდილივით  
დაუპატარავდი.

ოქტომბერია, აღარც მზეა,  
არ დამდის თქორი,  
წარმოიდგინე ჩიტებით რომ  
იკვებებოდნენ  
პურის მარცვლები,  
ცას კეცაუნენ ქარი და ქორი,  
ფანჯრები ღუმან, ისე ღუმან,  
სიტყვებს ასცდები.

წარმოიდგინე, ჩემს მაგივრად,  
სარკმელთან კვლები,  
ელოდებოდე მტრედებს, წითელ  
ნაფეხურებით,  
შენ ოქტაგიდან ოქტაგამდე,  
დამაბნევ კლემით,  
გზაზე კი კენესით ჩამოიფლის  
ზამთრის ურემი.



ვილაპარაკოთ, თუ სიტყვები  
ჰგვანან ალერდებს,  
მეხვევიან და იარებზე  
კალათდებიან,  
სიჩუმე ისე მარტივია, სიტყვებს  
აუდრებ,  
შენ რომ უდიმი ის ჩრდილები  
შორი მთებია.

ვიდრე სიგიჟე, მზის ღიმილით,  
მიატანს ჭამდე,  
ძველი თუნგოვით ჩაიქცევა ზამთრის  
ზღვასავით,

პურის მარცვლები (წარმოიდგენ?)  
ჩიტებს რომ სჭამდნენ  
და იქნებოდა ეს ზამთარი ასე  
მთარსავი.

ჰოდა ასეა, როცა სდუმხარ,  
როცა სარკმელთან,  
ჩიტების ბოლო ამოკენის  
დაგრჩა ვალები,  
ჩანჩქერი თოშით დადუმდება,  
ცრემლს რომ აკმედა  
და უფრო ბოლოს აღარ რჩება  
არც ნაკვალევი.

შემოდგომური ფოთლისფერის  
და შენი ჩრდილის  
ფერები მიყვარს, მზის სხივებით  
ამომწვარები  
იქნებ გჭირდები, ახლა, ღამით,  
ან იქნებ – დილით,  
რომ უშენობით მეტკბობი და  
თან მეძწარები...

\* \* \*

ნუ გეშინია.  
ეს სიბნელე ღამეა მხოლოდ,  
ზამთარგამოვლილ ფოთლებივით  
დახვრეტილ ფარდებს გაწევს  
ვიღაც და  
დარწმუნდები რომ ლოგინის ქვეშ  
არავინ ცხოვრობს,  
რადგან ურჩხულებს ბინა მოსწონთ  
(ლოგინის ზემოთ) –  
ადამიანთან.

**შიმშილი**

ფანჯრის რაფაზე დღეს ჩიტები  
მშივრები დარჩნენ.  
შვილის წინსაფარზე დაცვენილი  
პურის მარცვლები დედამ შეჭამა.

\* \* \*

ავდარს გააჩნია,  
დარი არ მადარდებს,  
წვიმს და რა ხანია  
ვლებები ალერდებით,  
ხელებს გააჩნია,

თვლებს გააჩნია,  
მკლავებს გააჩნია  
ვისშიც დაბერდები.

**მახო**

ბოლოს როდის გიშველე ღმერთო.  
მებადურის ბადესავით  
დახვრეტილხელება ჩემო ღმერთო.  
საშველს ნუ ეძებ,  
ჩემთან შეველა არის უშვილო.  
მე გარდაცვლილი მათხოვარი  
მახოს ხელები  
ვნახე და მანდარინს მივამსგავსე  
იმ ღამეს მთვარე,  
ყველა თამბაქოს სუნს გრძნობდა  
მე კი ფორთოხლის,  
ჩემი ბავშობის სურნელი აქვს  
მის ბინძურ მკლავებს.  
ჯერ კიდევ გუშინ  
მოპარული ვაშლები მომცა  
შენ როგორც აძლევე წირვების დროს  
შენს წილ ხორცს, მისხალს  
და მრავლდებიან შენ წილ სისხლხორცად  
მამა ხარ მათი სისხლი და ხატი.  
ჩვენ კი რა გვექნა  
უმაძურად დარჩენილ ბავშვებს,  
მუხლებდამტვრეულს ქუჩის ბოლოს  
მე მყავდა მახო,  
სიმინდისფერი თითებით და  
უხეში წვერით,  
როცა ახალ წელს სხვა ბავშვები  
საჩუქრებს ჭამდნენ  
ჩემი ბედობა მახო იყო  
თამბაქოს სუნით  
გაჟღენთილი მანდარინებით.  
უკვე დიდობას ვაკითხავდი  
გზის ბოლოს ქვაზე  
თამბაქოთი და მიყურებდა  
როგორც დარგულ იმ ერთადერთ ხეს,  
ცხოვრებაში რომ უნდა დარგო  
და ისე მოკვდე.  
და ასე მოკვდა.  
მანდარინი მეგონა მთვარე,  
ჩემი სისხლი ყარს ფორთოხლის სუნად  
და ჩემში ახლა ნუ ეძებ საშველს,  
რადგან აქ შეველა არის უშვილო,  
ანუ ერთხელ და მერე მორჩა, როგორც სიკვდილი.

\* \* \*

გადაჭრილ ხეზე ვინც მჯდარა იცის  
რომ არაფერი არ გვარდება ერთხელ გადაჭრილი...  
მანამდე თუნდაც გაზომო ასჯერ.  
ლამით ყველაფერს ორმაგად ამჩნევ  
სხვენში მორბენალ ვირთხების ტანგოს,  
წვეთების კაკუნს ფანჯრის მინაზე,  
და მთავარია არავინ განახოს  
ჩაცმული როგორ წვეხარ დიუნთან.  
იესოს ლოცვებს ფსკვნილის ნაცვლად  
მარგალიტის მძივზე ითვლი და  
რა საჭიროა ველარ ხედები ამდენი გარჯა.  
აქ არ დადიან მატარებლები,  
რელსებზე ძაღლებს სძინავთ  
ყინვაში უნდა ინატრო,  
რომ დაგიფაროს ყინვამ.  
ერთხელ გადაჭრილ ხიდან მიათრევს  
ასჯერ გაზომილ ბუდეს ფრინველი  
და თითქოს სჯერა რომ მიატანს გაზაფხულამდე.  
სამყარო მინდა გაუზომავ-უკაცრიელი

საკუთარ ლოკვამ ტკივილები რომ დამიამოს.  
ხის თეთრ რაფაზე შემომიწყო კვერცხები ჩიტმა,  
და სანამ ჩაი ორთქლად იქცა დამდნარ ქურაზე  
მეზობლის ბაუშვის ტირის თოფის უმიზნო რისხვამ  
შემოაწირა დედა ჩიტი დამპალ ლულას და  
ჩემი ცხოვრებაც თვალებს ზუსტად ისე ლულავდა  
ჩემი ცხოვრება ზამთრის ერთი დიდი სიმკაცრე  
ჩემი ცხოვრება ჩემ წინ იწვა და  
მე ვიწვოდი მის წინაშე.

\* \* \*

ღმერთის ნარჩენებს გემო კი...  
აქვს, გემო ნეკერჩხლის,  
გემო სხეულზე ჩამომდნარი  
წვიმის და თოვლის,  
დღეს ისე ვუცდი ცივ ხელებზე  
სველ და ნაზ ფიფქებს  
ვით უნაყოფო ქალი ელის  
თბილ ახალშობილს...

## მარიანა პარნასელი

### არ მეშინია გარდაცვალების

„შემოქმედება ბეწვის ხილია,  
ახალგაზრდობა ცეცხლთან თამაში.“  
„სიბერე, ვწყველი, ვწყველი შენს მომგონს.“  
გრიგოლ აბაშიძე

ირხევა ატმის გაწვდილი ტოტი,  
მე კი ვეხები საკრავს სიმიანს...  
ვკრთი, როცა ვხედავ, სიბერე მოდის,  
თუმცა სიკვდილის არ მეშინია!  
ხეცას მივაპყარ რა წამს თვალები,  
ადგილს გაუხედე ვარსკვლავთწილიანს...  
არ მეშინია გარდაცვალების,  
მაგრამ სიბერის კი მეშინია...  
რაც დრო მერგუნა, თუ შევიფერე?  
მივდექ „ბეწვის ხილს“ მუხა-ჟინიანს...  
მე მეშინია მძიმე სიბერის,  
სულის ამოხდის არ მეშინია!  
და დაფიქრდები რა წუთს და როგორც  
კი, „ცეცხლთან თამაშს“ ვნატრობ მაშინვე  
(„სიბერე, ვწყველი, ვწყველი შენს მომგონს“)  
და ვარდებს ვუხმობ გულგადაშლილებს...



### განრდები განრდემს განრდებზე ქარგავს

ამ სიბერეში მეწვია იგი,  
ვისაც ველოდი წლების მანძილზე,  
კუთილ განცდაში პირველი რიგით  
და ღიმილები გავინაწილეთ.  
დავხარეთ თავი,

მოგვაწვა ცრემლი,  
 ხოლო ღუმიღმა ბევრი რამ ბრძანა,  
 რომ „გაგვიუქმდა“ მრავალი წელი,  
 სულს დაგჩნევია უდიდეს ბზარად.  
 ჩვენ ერთმანეთი მაშინდა ვპოვეთ,  
 როცა ასაკმა თმები შევევცხლა,  
 გავცდით ვეება და მდიდარ მოლებს  
 და ბაღში ვუხმეთ გულთუთრა მერცხალს.  
 განცდები განცდებს განცდებზე ქარგავს,  
 რის გამოც გული ღელავს და დნება,  
 ერთიმეორეს ჩვენ შევხვდით ალბათ  
 ჭაღარა თმების გადასათვლელად...

**გფარავდეს ღმერთი  
 (ქართულ ებრაელებს)**

მე შეგაჩერებ სინაგოგასთან,  
 მზერას დაგიფენ თვალთაგან ფერხითთ,  
 მაგრამ დიდი ხნით კი არ მოგაცდენ,  
 ერთს გეტყვი მხოლოდ:  
 – გფარავდეს ღმერთი!  
 ეს ორიათასექვსასი წელი  
 ჩვენი ძმობაა იმ დღიდან დღემდის  
 და სიყვარულის ცრემლებით სველი,  
 გულწრფელად გლოცავ:  
 – გფარავდეს ღმერთი!  
 ვინც კი ასრულებს ფიცსა და აღთქმას  
 და მიდის სვედანარევი ღიმით,

გზას დაულოცავ (შენ ხომ ჯერ აქ ხარ),  
 – გფარავდეს ღმერთი!  
 მდუმარედ ვყვირი!  
 ვინც აქ დარჩება, მადლობა ყველას  
 და ერთგულების ცრემლის ღვარამდე  
 ვიდგებით ერთად, ვითარცა ძველად  
 და ვიზრჩულვით:  
 – ღმერთი გფარავდეს!  
 ჩვენი გულები ერთურთს ენდობა,  
 წმინდა სანთლებით, ბნელს რომ ანათებს,  
 ალავერდს წამო, ალავერდობას,  
 რომ იქაც გითხრა:  
 – ღმერთი გფარავდეს!  
 მივაყურადებ ხის ფოთლის შრიალს...  
 მსურს, გოლგოთასაც აუყვებ(თ) ფეხით,  
 თქვენ რომ ჩვენთან ხართ ჭირშიც, ლხინიშიაც,  
 მე თქვენ გისურვებთ:  
 – გფარავდეთ ღმერთი!  
 არ ვარ უაზროდ „ჭიკჭიკა“ მაცნე,  
 სათქმელს ყოველთვის „მინი-მინ“ ვფენდი,  
 არ გეგონოს, რომ ორ სიტყვას გავცდი,  
 გეტყვი მარტოდენ:  
 – გფარავდეს ღმერთი!  
 რომ შეგაჩერებ სინაგოგასთან,  
 აუღელვებლად და მაინც დეღვით,  
 მე შენ დიდი ხნით კი არ მოგაცდენ,  
 გეტყვი მხოლოდ ერთს:  
 – გფარავდეს ღმერთი!



**ნინო ქალაგიძე**

**წერილი ღვთისმშობელს**

გამარჯობა, ბროწლისფერო ღვთისმშობელო. წერილს გიგზავნი ჩიტისგულისხელა საქართველოდან. აბა, მე ლოცვის შნო ვინ მომცა, და ისევ ასე, წერილობით საუბარი ვარჩიე. წერილს ვატან ჩვენი ეზოს მტრედს, მარუსა ბაბოს სახლის სხვენზე რომ ღულუნებს ხოლმე. გეცოდინება, მარუსასაც მოუკლეს შვილი, ოღონდ ჯვარზე კი არა – აფხაზეთის ომში. შვილის დასაფლავებიდან მეორე მოცე დღეს ერთი თეთრი მტრედი მოფრინდა და მის სხვენზე დაბინავდა. დილდილობით მოაჯირზე ჩამოუსკუპდება ხოლმე და ის ხორბალს აჭმევს, იმ ჯამიდან მიცვალებულს რომ ედგა თავით, შემოუნახავს, საფლავეზე არ მოუპნევია,



თეთრ მტრედს უზოგავს. მტრედის მოსვლის შემდეგ მარუსა ბაბომაც გაიხადა შავი პერანგი, აღარა ვაარო ჭირის პატრონი, თეთრი ხილაბანდი წაიკრა და ასე დადის.

ხვალ მარიამობაა, როგორც მარუსა ბაბო იძახის – მარიამულა. გამოაცხობს ახლა „ბურჟოკა“ ნამცხვარს, ბაზარში იყიდის ბრიალა მაყვალს, თითისხელა ყურძენს, გადამსკდარ ლელვებს, იქნება შინდსაც, ტარხუნის ლიმონათს, გაშლის სუფრას, აანთებს საკმეველსა და სანთელს, კედლიდან ჩამოხსნის თავისი შვილის სურათსა და შენს ხატს, აი, ძოწიფერი ქლამინდი რომ გახურავს მხრებზე. მეც დამიძახებს, თაყნაღუნული ვზივარ ხოლმე სუფრასთან, ფოტოზე მისი შვილის თვალებიდან თალხისფერ მზერას ვიჭერ, მაგრამ შენ თვალს ვერ გისწორებ. ასე მგონია ხოლმე, შენი დაღანა წითელი სამოსი ქრისტეს სისხლია, მხოლოდ ამ დღეს, ოცდარვა აგვისტოს ფეხშიშველა გადაივლი საღამოს ჩამავალ მზეზე და მზე გაწითლდება, ღრუბლებიცა და ამ სიწითლეს აირეკლავს მიწაზე – წყალი. ჰო, გადავლახე გამახსენდა, ღვთისმშობელო, აუცილებლად გექნებოდა გამობმული კაბის კალთაზე ჩემი ჩიტისგულისხელა საქართველო, ეტყობა ისევ ჩვენი ცოდვების ეკალ-ლიჭოზე წამოგედო კაბის კალთა და გამოიხა აფხაზეთი და სამაჩაბლო, იქეთაც ტაო, ცოტაც ჰერეთი... ჩვენ დედისმაგინებელთა, ჩვენ ჩვილების მუცელში მკვლელთა, ჩვენ გულღრძობთა, ჩვენ შურიანთა, ჩვენ ძმის მკვლელთა, ჩვენ სიგარუტის მწვეველთა, ჩვენ ნარკოტიკებში შვილების მხოცველთა... .. მაგრამ შიგადაშიგა ვნანობთ ხოლმე, როგორც შეგვიძლია. არ გვიწყინო პირისფერო, შეუწყველო, ტკბილო ღვთისდედავ, როგორც შეგვიძლია ისე გვიყვარხარ, განა არა?

მიძინებულო ღვთისმშობელო, ბევრს არ მოგაცდენ, დღეს კი არა გცალია, მაგრამ როცა მოიცლი, დაძინებდი საქართველო ამოიკმსე, განაახლე, შენი კაბის კალთაზევე გაამთლიანე. მე და მარუსა ბაბო გვიანობამდე ვისხდებით ახლა მაგიდასთან, ის გაიხსნებს თავისი შვილის ბავშვობის ამბებს, ალბათ მეასედ, მეც მეასედ მოუხსმენ რომ ჯიუტი იყო, კერპი... .. ჩაიწვება საკმეველის ნატეხივით დღევანდელი დღეც და შენს სულს, გაზაფხულზე ჯაგრცხილებიდან ამოპარული იის სუნი აუვა, საკმეველის კვამლივით აიწვევს ცაში.

ნახვამდის, ჩემო ბროწლისფერო ღვთისმშობელო. წერილს გიგზავნი ჩიტისგულისხელა საქართველოდან, აბა, მე ლოცვის შნო ვინ მომცა, და ისევ ასე, წერილობით საუბარი ვარჩიე. წერილს ვატან ჩვენი ეზოს მტრედს, მარუსა ბაბოს სახლის სხვენზე რომ დულუნებს ხოლმე. გეცოდინება...

სიყვარული

მისი ჩრჩილისგან შემოჭმული პიჯაკის უბეში რას არ ნახავდით: ხის გამხმარ ფოთოლს, ჭრელ კენჭს, პეპლის გაცრეცილ ფრთას, ძოწისფერი ლარნაკის ნატეხს, ინდაურის ან ბატის გაწკვიპილ ბუმბულს, ჩამომტვრეულ ოქროს კბილს, ქალაღის ნაგლეჯს, სადაც რაღაც ქწერა და არავის აკითხებდა, ჯერ არაო ... სულ მოხრილი, მხრების თრთოლვით დადიოდა, გეგონება ქვითინებსო. თავისივე მარცხენა ხელი ისე ჰქონდა მიკრული მკერდზე და მარჯვენა ხელითა ფარავდა, იტყოდი თოთო ბავშვი თუ ჰყავს გადწვენილი მკლავზეო. მერე წვერით გაბურბგინილ-გაჩეჩილ ლოყას თავისსავე ხელს მიადებდა და მიეფერებოდა: – შენი ჭირიმე, ჩემო გაუხარელოო, ჩემო საბრალოო... ამ სიტყვებსაც ისე ამბობდა გულის სისხლს ატანდა პირიდან.

რა დაგაქვსო, რომ ჰკითხავდით, სიყვარულიო, გიპასუხებდათ.

ერთი ნახვით შეჰყვარებია. ღრუბლის მხრებზე დგომას ჰგავდა მათი შეხვედრა. მთის მწვერვალზე გულის ავარდნას, აქანებას, აქოშინებას. თითქოს იყვნენ და არც იყვნენო... უყურებდა ბიჭი და ნაწვიმარი გუბებზევით ემღვრებოდა თვალები. უყურებდა გოგო და ნამაყვლარვით ახმებოდა ბიჭი ზედ პირსახეს. იდგენ ჩანაცრილები, ნადუმარები.

- რა შავწყალი გადაგესხათო?
- რა აუქარმა დაგქოლათო?
- რომელმა შეშლილმა ვარსკვლავმა შეგახვედრათო?
- არაო, იუარეს გოგოს მშობლებმა. უცხო საქმრო გამოუძებნეს, უცხო მიწისა, უცხო პაერისა. გადმოიღეს ჭრელი ნარმა, ჩიგორგალი, ზამბაკები-სადაფქარები...

წყალთალია, წყალთაღვარსა ცრემლობდნენ თურმე ორთავე. გადაწყვიტეს, ნიშნობის დღეს უნდა გაპარულიყვნენ.

გათენდა და თვალსერიის საყურებლად დადგა მზეც ცაზე.

მოირთო გოგო ჩალამბარაყვავილებით, ჩალამძივით, ჩალაყვავილით, დაიჭირა აბილილები. მოვიდა საქმრო ღირსაცნობი, ღირსახსენებელი, უცხო. რაღაცნაირად გამოიპარა გოგო სახლიდან, ჩავიდა მდინარესთან დათქმულ ადგილზე და სად არის ბიჭი? დადგა თავთხელთან, ფიქრობს, წყალს გაჰყვეს თუ იმ უცხო საქმროს?! გაიბზარა გოგო, ფხოჭნა მიწა და ბალახი. აილუფხა ცრემლი და სისხლი. ჩიტვაშლებმა თავი დაღუნეს. ადგა და გაჰყვა შორიდან მოსულ საქმროს შორს, სხვა რა გზა იყო.

გავიდა წლები. ამბობენ იმ გოგომ მაინც ვერ გაიხარა, მშობიარობას გადაჰყვაო. გაიგო ეს ამბავი თუ არა, იქცა ეს ბეჩავ-ტერელაიც ტინად, ქვაგრილად. აღარც გარეთ გამოდიოდა, აღარც ხმას სცემდა არავის. აღარც თავის თავს პატრონობდა, გახდა, ჩამოხმა, ჩამოტიალდა. მისი

ჩრჩილისგან შემოჭმული პიჯაკის უბეში რას არ ნახავდით: ხის გამხმარ ფოთოლს, ჭრელ კენჭს, პეპლის გაცრეცილ ფრთას, ძოწისფერი ლარნაკის ნატეხს, ინდაურის ან ბატის გაწკეპილ ბუმბულს, ჩამოძვრეულ ოქროს კბილს და როცა მკვდარი იპოვეს და პირქვედამხობილი გადმოაბრუნეს, ერთი მუჭა მიწაც გადმოიპნა გულის უბიდან. იმ დაკუჭულ ქაღალდზე კი ანდერძად ეწერა: – ერთი სურვილი შემისრულეთ და სიკვდილის შემდეგ, ჩემს საფლაზე მოაპნიეთ ეს ერთი მუჭა მიწა, რომელიც იმ გოგოს საფლავიდან წამოვიდე და წლებია გულით ვატარეო.

მიწასთან ერთად ყველაფერიც ჩაატანეს, ხის გამხმარი ფოთოლიცა და ჭრელი კენჭებიც... აი, სიყვარულს კი ალბათ თვითონ წაიღებდა თან.

**იადორე**

ხმელ-ხმელი იყო იადორე. იმ ალვის ხესავით აწოწილი და მოხუცი, რომლის ქვეშაც დგებოდა ხოლმე ნაშუადღევს. მხრიდან მძიმე-მძიმედ ჩამოიხსნიდა უშველებელ, შავ ჩანთას, გაშლიდა ასფალტზე ცელოფნის გადასაფარებელს და ჩამოაწიკწიკებდა წიგნებს, ჟურნალებს, მისალოც ბარათებს... ზოგი სქელი წიგნი იყო, ზოგი-თხელი, ზოგი ხელმეტად შელახული, გაცრეცილი ყდითა და ამოცვენილი ფურცლებით. იშვიათი გამოცემები, გამკვლელ – გამოძვლელელებზე ასაკით ბევრად ხნიერები, ჩამჭკნარ – ჩაბერებულები. იდგა იადორე წიგნების წინ, თან თავისივე გადახვეულ პაპიროხს აბოლებდა, თან ნატრობდა, იქნებ ერთი წიგნი მაინც გაიყიდოს, ერთი წიგნი ერთი პურისა და გზის ფულიაო. ხელის კანკალით დაიხრებოდა ხოლმე და წიგნებზე ჩაცვენილ გაყვითლებულ ფოთლებსა კრეფდა. მოხუცი ალვის ხეც, მის ქვეშ მდგარი გამხმარი იადორეცა და გაცრეცილი წიგნებიც, შემოდგომის ნაღვლიანი დღის პერსონაჟებს ჰკვდნენ რაღაცით.

სქელი წიგნი ბევრ ფიქრსა და ბევრ სიტყვას ატარებს ბევრი ფიქრიცა და სიტყვაც მძიმეა, იადორეზე ბევრად მძიმე, ისეთი მძიმე, რომ იადორეს გამხმარი მხარი გადაყვლეფილი აქვს წიგნებით სავსე შავი ჩანთის ტარებით. ზოგი თავისი პირადი ბიბლიოთეკიდან გამოიტანა, ზოგიც – უცხო ადამიანებისგან ჩაიბარა. ყველა წიგნი ხომ თავის საკუთარ ამბავს მოგვითხრობს, ავტორის მიერ შექმნილ-დაწერილს, მაგრამ ყველაზე მეტად ძველი წიგნის ყდის შიგნით წაწერილი სამახსოვრო წარწერა მიყვარს ხოლმე. საჩუქრად ამას და ამას, ბებიისგან, ამა და ამ წელს, დაბადების აღსანიშნავად, გაიზარდე ჭკვიანი და სასახელო, ეს წიგნი წაიკითხე შენ, შემდეგ შენმა შვილმა, შვილიშვილმა, შვილთაშ... .. და სადღაც გაწყდა უკვე ამბავიც. იადორეს ჩააბარეს გასასხვისებლად, სხ-

ვისი შვილიშვილებისთვის წასაკითხად. თან გაატანეს იმ დიდი ბებიის ნათითურები, ფურცლებზე რომ უხილავად ეტყო რამდენიმე წვეთი ცრემლი, წიგნის კითხვისას, რომ ჩამოუგორდა დიდ ბებიას და ერთიც მისალოცი ბარათი, რომელსაც სანიშნად ტოვებდა ხოლმე ბებია წიგნის ფურცლებს შორის. ბებია ცოცხალი ადარ იქნებოდა, მაგრამ სამაგიეროდ იადორე იყო ცოცხალი და გადაქერცილი მხრებით დაჰქონდა წიგნისა და ადამიანის სევდიანი ამბავი.

წიგნის ყდასავით გაცრეცილი შემოდგომის დღე რომ მიყუჩებას დააპირებდა, აინთებოდა ქალაქში ლამპიონები და გამუქდებოდა ჭყეტელა შუქნიშნების წითელი, ყვითელი და მწვანე ფერები, შორიხლოს დავდგებოდი ხოლმე და წარმოვიდგენდი მხრებში მოხრილი იადორე მიდიოდა წინ ცარიელი ჩანთით და უკან მიჰყვებოდნენ ხვნეშით სქელტანიანი, ხელჯოხიანი წიგნები, გამხდარი, მაგრამ ყდადასვრილი და ფურცლებფრიალა თხელი წიგნები ფარფატით, ქარი ააფრიალებდა აღმებოვით მისალოც ბარათებსაც შემოდგომის ნაცრისფერი საღამოს გასაფერადებლად, რომელ ბარათებზეც ზოგან ქალთა დღის აღსანიშნავად ყვავილების თაიგული ეხატა, ზოგან – ახალი წლის მისალოცი გირლიანდები. მიდიოდა იადორე შინ და ქარში გაურკვეველად იფანტებოდა: სახსოვრად... ..საჩუქრად... დაბადების... ..ანას... ნინოს... პაატას... გიორგის... ბებოსგან... დედასგან... ..მეგობრებისგან... რაც უფრო მცირდებოდა წიგნებიდან გადმოცვენილი ამბები, მით უფრო ჰქონდა ორი დღის ან სამი დღის ჩაისა და შაქრის ფული იადორეს. ხელებს ითბობდა ზამთრისპირულის საღამოებში ცხელი ჩაით იადორე. იმ აწოწილი ალვის ხის ქვეშ კი, სადაც ცელოფანი ეფინა, კარგა ხანს კიდევ მშრალი იყო ხოლმე ასფალტი. წამოეკრიფა იადორეს წიგნებიც, ამბებიც, წარწერებიც, ალვის ხის ფოთლებიცა და შემოდგომის ჟინფელიც. ყველაფერი ერთ შავ ჩანთაში გამოეკრა, თავისივე ბედივით მოწყენლსა და თალხში, მიიჩქაროდა მარტოხელა იადორე შინ მთელი ოთახისხელა მარტოობაში და უეჭველად ფიქრობდა, რომ წიგნი და ადამიანი რაღაცით ჰკვანან ერთმანეთს, რომ წიგნი და ადამიანი ორივე სევდიან კვალს ტოვებს ქალქში, რომ წიგნსა და ადამიანს, ყისმათი უნდა დაჰყვეს, რომ დაიბადება ამქვეყნისხელა მარტოობაში.

**სმითნაცირალი**

– როგორ იქნება სულ ზამთარი რო გედგას კარში, როდემდე უნდა ათრთიხლოს თეთრი თვალები, როდემდე უნდა აბაბანოს ყბა-ნიკაპი; როდემდე უნდა ფიფქოს თავისი ღრუბლის ხალთაგუდა ამ ისედაც დაშხრალ ხეხილზედაო;

ხო უნდა აიტანოს მოხრილი წელი, ხო უნდა გაშალოს ჩამოყრილი მხარი და მკლავი ხურმა-კარალიოკებმაო, ზღმარტლებმაო, ღობის ძირში, თოვლზე სისხლივით ამოწინწკლულმა კოწახურებმაო?! როდემდე უნდა სდიოდეს ლუში ჯანდი ჩემს ეზო-სახლსაო?! რაც ეს თვალმხარა რძალი ხელიდან გამომაცალა ამ ეშმაკის თესლმა სიკვდილმაო, მას შემდეგ დამიფაგლანა, აიკლო და ამიალაფა ოჯახიო. ეს ჩემი ბეჩავი შვილი აქეთ ამიჩალა დარდმაო, ბინდდამდგარზე შემოფა და დილაბნელზე გუაო, გული სახლში აღარ უდგება. დაღლილი რომ მობრუნდება სამუშაოდან, როგორც ტყვია ისე დაეცემა ხოლმე საწოლზედა, ჩარგავს თავს ბალიშში და ადგანდგარდება ცრემლებადო, მერე თან მალავს ამ ცრემლებსა, განა მაჩვენებს, მაგრამ ხო ვიცი რო ეს დარდი და ბაღლაში უიარავეებს გულგვამსაო. ეგლა მაელდებს, გულისბუხარში ჩახვეული ჯავრითაო, ამასაც არა დაემართოს რაო. მაშ, მე უნდა მეკავოს ხელში ბერბეხრეკ დედაბერსა ეს ოთლო-თოთლო, ეს თოთომა ყმაწვილიო. განა მე უნდა ვეკვრებოდე, ვუხახუნებდე ჩემი ჩაცვნილ ლოყებით ბაღლის ტკიცინა ლოყებსაო. როდემდე უნდა გადავატარო ფქვილისა და სიმინდის ფაფახმელაზედაო, ავაპმე, მე მხეხნელსაო... ავაპმე, მე დარისხულსაო... ხან რომ ვერაფრით დავაჩუმებ და ამისხავლდება ჩემს დამჭკნარ ძუძუს ჩავჩრი ხოლმე სალოლნადო, გულის გადასაყოლებლადო... მომეკვრება ეს უდედო და დაამდებო. ამას წინათ, ეგრე ტირილში გამათენებინა ღამეო, გამთენიას ძილ-ბურანში დავინახე, როგორ აწოვებდა თავის შროშანისფერ ძუძუს ღვთისკერძო დედაკაციო, ჩემდაუნებურად ავხედე ღვთისმშობლის ხატსა და მოალერსე იქ აღარ დამიხვდაო. შემკრთალმა მხერა დაუძაბე, მივაშტერდი ხატსა და ღვისმშობელი ისევ დავინახე ჩვენი კედლის ხატზედაო, დავხედე თოთოს და ჯერ ისევ რძე ეცხო ბაგეზედაო, იტკბარუნებდა პირსა და ღულუნებდაო. ერთი გაფიქრება გავიფიქრე, მამელანდა მე საცოდავსაო, მაგრამ რძის წვეთები დავინახე ჩემს ბეჩავ იატაკზედაცო. უსათუოდ ღვთისმშობელი იყო, მაღლობელი ვარ, ვენაცვალე იმის ბროლიან ძუძუ-მკერდასო.

**მზელავაძისა**

„—დოლ-დოლ ბაირამ, ბახჩატურას ჩაიბამ, თევზი მი-თელ-მოთელა, ყალიონის ქოთანა, ქოთანს ძირი გავარდა, მახუნი დაიღვარა...“ და სანამ ტყააჩ — დაიძახებდა ბებიაშენი, უნდა მოგესწრო და გამოგეძვრინა მისი თითებით შეკრული წრიდან ხელი, თორემ დაიჭვრდა შენს ხელს და არსადაც არ გაგიშვებდა. გეტყოდა: — ოოპ, შვილო, ჩვენი დამცხვარი შოთები თავ-პირზე საყრელად გვა-

ქვს, თუ არ დაეჭვრ და თონეში არ ჩავკიდე გასახმობად, დაგვიბდებდა, რაღად გინდა აკარაკი გიგოს ლავაშიო. თუ მოიგებდი, აღარც კითხავდი: — ჩაალაგებდი ოთხ ცალ კვერცხს ჯამში ან ნახევარ კილო ხორბალს დაიჩლიაგებდი იღლიაში და მიადგებოდი გიგოს ფურნას. მეფურნე გიგოს ზოგი აკარაკს ეძახდა, ზოგიც — ჭკვამხიარულას. ნაშუადღევს უნდა მიტუხულიყავი გიგოს ფურნესთან, თან გესმინა, თან გეწიწკნა თბილ-თბილი ლავაში, ცოტაც ბოთა ძაღლისთვის მიგეგლო და თან გეკრიჭინა.

— მოხვედი შე კუკუნუხის სატრფოვ, პაპაი ოქრო ვინ არი, შენა ხარ თუ ბებიაშენი? — გკითხავდა და თან გადაიხახჩახებდა მეფურნე გიგო . — ააანდე — თვალს მოიჩრდილავდა, — რაც ყარაიას თავზე ღრუბელი იცის, სუ ჩემია, გადავყოფ კავსა, მოვიწოდებ თიმთიმა ღრუბლებს, ჩავყრი ვარცლში, მოვაყრი ფქვილს, დავუმატებ საფუელს და თბილ-თბილ წყალს, ცოტა მარილსაც, მიფხილამ და მოფხილამ, მიფხილამ და მოფხილამ... ამოფუედეაა, ამოვა ცომი, გადაეკვრება ლამის მთელ სოფელს, მერე დავუძახებ ჩემს ენძიკოს, დააგუნდავებს ცომს, თან გამიმზადებს ჩასაკვრელად, გადავაფენ რაფათაზე და ტყააპ, მივაკრამ თონეში, მააშ! — მარილი საიდანა გაქვს გიგო პაპავ? — მარილ, ღამ-ღამობით ცხრა ზღვიდამ თევზები მიზიდამენ ზურგითა ... — წყალი გიგო პაპავ, წყალი? — წყალი ჩვენი მდინარისაა, გამთენიისას, თაფლიან ლუკმას დავუდებ ხოლმე ქვანე, უმძრახი და სანამ სახლში მობრუნდებოდე, დამხვდება ვარცლში დაუღალავი მდინარის წყალი. ვინც ამ მხელავაშს შესჭამს, მიწა გულს გადაუშლის და ფრინველთა ფრთებით მონაბერ ქარს მუჭაში მაიმწყვდევეს. — კიდე, კიდე გიგო პაპა? — კიდე ღვლიაპოვით ნუ დაიდინხართ, სული გაღარიბდებო... — კიდევო? — კიდევ მამა ღმერთი სუ ცაში კი არ იყო ადრე, მიწაზე დადიოდაო, ერთხელაც, ჩამაუვლია და უნახია მშიერი ბაღლი, ბაღლს პური უთხოვია, მამა ღმერთს ლავაში მიუცია, თბილ-თბილი, ჩვენებური მხელავაშისა, დედამისს ხელები გაუღვრიჭინებია ყმაწვილისთვის და ნაჭერი რო არაფერი ჰქონდა, ნახევარი ლავაშით შაუშმრალეზია, ნახევარიც უჭმევნია, ეს რო მამა ღმერთს დაუნახამს, გამწყვრალა, დაუკრია ფეხი და წასულა ცაში, იმის მემრე აღარავის უნახამს მიწაზეო. ბებიაშენმა ეგეთები არ იცისო — ისე დამაჯვრებლად გეტყვის და გაგიდიმებს, გეგონება მთელი თონის სივარვარე თვალეზიდან გადმოსდისო და უკან დაიხეე, არ დავიწვაო. ყურს თუ დაუგდე, ცოტა ხანში, უსათუოდ შემოგესმება ბებიაშენის ძახილი და შენც უნდა გასძახო : — მოვდივარ ბებიიი... .. თავპირისმტვრევით უნდა გაიქცე და სახლში ნახევარიც ვერ მიიტანო, მეფურნე გიგოს მხელავაშისა.

მხატვარი თენგიზ მირზაშვილი



### ანა არაბული

\* \* \*

**ცეკვა „ცდოს“ შემქმნელებსა და შემსრულებლებს,  
წარსულის, აწმოს და მომავლის ქართველებს.**

შენ დაჩოქილიც ვერ დაგაჩოქეს, ჩემო ქართველო,  
მღერი თუ როკავ, გული შენი მზეს ეტოლება,  
კაკასიონი ისევ ისე თოვლად სანთელობს,  
შუბლზე შმაგ ბედად აწერია „არ დამონება“.

შენ დაჩოქილიც ფოლად-ხმლისკენ აიწვართები,  
სისხლმდინარ ბელტებს მკერდს აუნთებ ყაყაჩობად,  
სვეტიცხოველში ასვენია გული-სანთელი  
და ოთხი მხრიდან შემორტყმია ავი დროება.

შენ დაჩოქილიც ტრიალ-ტრიალ ზეცად მიიწევ,  
შენი თვალები ელვისდარი შუქით ანთია,  
დაწვლულებული ჭრილობებში გრილ ბალახს იფენ,  
არაგვის ყეფით ეგებები მაინც განთიადს.

შენ დაჩოქილიც როკავ, როგორც როკავდი ძველად,  
ვარსკვლავებს ნისლად ეფინება შენი „ჩაკრულო“,  
გულდაკოდილი აწმოს ჰყავხარ თითქოსდა მძევლად,  
ჩემო ათასჯერ დაღწილო, კვლავ აღმართულო,  
შენ დაჩოქილიც ბუმბერაზი მთების ტოლა ხარ,  
შენი სისხლია რიფრაჟის ცას რომ აელვარებს,

არ დაიდარდო, ამირანო, მუხლი გამართე  
და კაკასიონს მიაპყარი გული მღელვარე...  
ჩემო ქართველო, დაჩოქილიც ვერ დაგაჩოქონ,  
არ დაწურვიათ ცვრიან ლაზებს ოქროს მტევნები,  
ეს შენი სისხლი შენს მიწაზე ელავს ყაყაჩოდ,  
მკვდრეთით აღმდგარი ძალას იკრებ და კვლავ ევნები.  
დაე, გააპოს გული მტრისგან ნასროლმა ტყვიამ,  
სამასი ხმალი კვლავ აენტოს კრწანისის ველზე,  
უნდა დააღტო სისხლით მიწა – „დედა“ რომ ჰქვია  
და აღემართო ისევ, რადგან სიცოცხლეს ეძებ...  
ჩემო ქართველო, ჩოქით მზესაც შემოუარე,  
სიმღერა შენი ემაგ სულის ანასხლეტია,  
აღემართე და მინდვრებს სიოდ გადაუარე,  
რადგანაც სული შენი მიწად ვერ დაეტია.  
ჩემო ქართველო, დაჩოქილიც ცეცხლის წვეთი ხარ,  
შავი ზღვის ტალღა, მტკვრის დუღუნი, ელდა ტაოსი,  
ცას შეასკდება შენი გული ჭექა-ქუხილად,  
როგორც წუხილი მარაბდელთა სასაფლაოსი.  
ჩემო ქართველო, არ დაბერდე, არ დაიდუმო,  
მზისკენ ამართე შენი სული, ასე რომ გვშვენის,  
რომ დაჩოქილის როკვა ჰგავდეს ერეკლეს ხმალს და  
სიკვდილ-სიცოცხლის რკენას ჰგავდეს სიმღერა შენი.

\* \* \*

მე უფსკრულში ვსახლობ,  
საღორესთან – გვერდით,  
ღრიჭოს პირთან სხივი  
გაყუჩდა და მვედრის,  
მე ყინულში ვცხოვრობ,  
სისხლი წვეთავს მზიდან,  
მხოლოდ ერთადერთხელ  
მტრედი შემოფრინდა...  
მე ჭაობში ვსახლობ,  
კოლოს გუნდი – ბექობს,  
მხოლოდ ერთადერთხელ  
მთებს აღმოხდათ ექო...  
მე ქალაქში ვცხოვრობ,  
ბაზრობაზე – თითქმის,  
ასფალტიდან ზოგჯერ  
თავს დამიკრავს იფქლი...  
უდაბნოში ვცხოვრობ,  
ქარი სახეს მიწვავს,  
ჩემი თვალის დირე  
მეჩვენება ხიწვად...  
...  
მე უფსკრულში ვსახლობ,  
მაგრამ ცაა ახლოს...

\* \* \*

„რა ვქნისა ციხე აუაგე,  
ჯაგური შევაბი კარადა...“

ამ სამზეოზე რამდენია ციხე „რა ვქნისა“,  
რამდენს შეაბეს ჯაგურის კარიბჭე,  
სიცოცხლე – სარკმლით მონაქროლი სხივი ნათლისა, –  
ხელს მომუჭავ და ფიქრობ – დაიჭერ...  
ამ სამზეოზე რამდენია სული ეული,  
რამდენს შეაშრა ცრემლი სახეზე  
და თუმცა ჰქვია აქაურ დროს „წუთისოფელი“,  
სასიხარულოდ მაინც გვაქეხებს...  
მაინც იმედად მიირწევა – ბეწვის ხიდივით,  
სიცოცხლე – ნისლი და ელვარება,  
მზისა და მიწის ცრემლები და მადლიერება  
რომ დაიტიონ ღია თვალებმა;  
რომ დაიტიონ წვიმის სევდა, თოვლის შრიალი  
და მთების შორი დღესასწაული,  
გაღმაღა მოსჩანს „რა ვქნის ციხე“ – ციხე ტიალი,  
კარს ვერ შევხსნით და უტყვად ჩაუვლით.

\* \* \*

ლამაზი კი ხარ სიცოცხლე,  
მაგრამ ნისლებიც მიდიან,  
ხანდახან მკვდარნიც დაობენ,  
ხანდახან ცასაც ჰყიდიან.  
მაინც ცეცხლი ხარ სიცოცხლე –  
მზით დანთებული წყვიდადი,  
როგორც შემკრთალი სანთელი,  
როგორც სურვილი დიადი.  
სულის ამოსვლის სწორი ხარ,  
მთების ვერცხლი ხარ – ჭადარა,  
გზები – შენს მკერდზე დაკრული  
კაცთაგან ვერვინ დაღალა!  
ნაკვერჩხალი ხარ წკვარამში,  
ელვის კრთომა ხარ ცაზედა,  
მაგრამ ნისლებიც მიდიან –  
დარჩენა ვერვინ გაბედა...

\* \* \*

მომანათე ფარანი, დიოგენე,  
მეც შენსავით ვეძებ ადამიანს,  
ოღონდ უფარნოდ დავიარები...  
მომანათე ამ დაღარულ შუბლს –

მჭმუნვარე ფიქრთა გზაშესაყარს,  
მომანათე ძირს დახრილ თვალებს –  
რომ არ სურთ საკუთარი სიშიშველ ზეცას აჩვენონ...  
მომანათე აცახცახებულ ხელებს –  
მოწყალეებას რომ იფედრებიან,  
მომანათე ზურგზე წამომჯდარ კუხს –  
ყოველგვარი სიბინძურის საკუჭნაოს...  
შემომხედე, დიოგენე, დამააკვირდი,  
განა ეს მზერა ცისკარს გაგონებს?!  
ანდა ამ კუშტი ციხესიმაგრის ბნელ ტალანებში  
ხედავ სულს – არიადნას ძაფივით დამოკლებულს?!  
მომანათე ეგ ფარანი, დიოგენე,  
იქნებ ვიხილო გულისგულში ადამიანი...

\* \* \*

ლამაზი კი ხარ სიცოცხლე,  
უფლის სუნთქვა და ჩქამი,  
ღმერთმა დალოცოს იმქვეყნად  
ჩვენი გარდასვლის ჟამი.  
თვალუწვდენელო მთიებო,  
ნაოცნებარო მდელი,  
გაუტეხელო ვაჟებო,  
სულ მზის ნათელით გეკლოთ.  
ქარდაქროლილო ყანებო,  
ტყის მობინადრე ჩრდილო,  
აღმასო ნაკადულებო,  
შემოღამებავ გრილო,  
მზევ – შუბის ტარზე ასულო,  
ვარსკვლავო – ობლის ცრემლო,  
სევდა-ღიმილა ქალებო,  
სულ კერიისკენ გეკლოთ.  
ნისლებო დაფანტულებო,  
წვიმაო – ვერცხლის ქნარო,  
ცავ – მეცხრე ცისკენ გაფრენავ,  
მიწავ – სისხლო და ჯვარო...  
დილაო – ამოცისკრებავ,  
მწუხრო – გულმძიმედ მდუმრო,  
მართლაც რა ბინდისფერია,  
როგორ ჟამიჟამ ესტუმრობთ?!  
საწუთროს – ელვებრ გამომკრთალს,  
დროის მდინარეს ტიალს  
და ჩვენი ფიცხი ნამღერი  
ტალღებს წარსულში მიაქვთ...  
გული კი ექოდ იშლება,  
სიო შემკრთალი წამით,  
უფალო ღმერთო, დალოცე  
ჩვენი გარდაცვლის ჟამი...

\* \* \*

„შენი ჭირიმე, სიკვდილო, სიცოცხლე ფასობს შენითა“

სიკვდილო თვალეზნაღვლიანო,  
 გამოვლე ბინდი და ჩერო,  
 სიკვდილო, სიცოცხლის ტრფიალო,  
 არ შედრკე, არ დაიჯერო,  
 რომ ზეცა მიწისგან შორსაა,  
 ცოდვა-მადლს ერთი აქვს ბოლო,  
 სიკვდილო – სულ მუდამ ჭკვიანო,  
 შენ – უფლის მორჩილო მხოლოდ!  
 გამოჰყევ მთებსა და გზაწვრილებს,  
 შემოდექ შუადღის ჩრდილად,  
**Memento mori!** – სულ გახსოვდეს,  
 გახსოვდეს, ვინც დაიგმინა...  
 ვინც მზერა აღმართა ზეცისკენ,  
 ვინც სუნთქვა მიანდო ნისლებს,  
 სიკვდილო – თვალეზნაღვლიანო,  
 ბუმბერაზ იმათ კვალს მიჰყევ.  
 გადავლე მდელი და გორაკი  
 და პეშეში მოქცეული ვერცხლით  
 ააუსე ღამე და წკვარამი,

დაანთე რიჟრაჟის ცეცხლი...  
 სიკვდილო – სიცოცხლის ტრფიალო,  
 კენტო და მდუმარე ჟამო,  
 სიკვდილო, არ დაიგვიანო –  
 უდაბნოს ყვაეილზე ნამო!

\* \* \*

ჩვენ ვართ გაჩენილი მზეში  
 და ზეცისთვის უნდა ვიმვათ,  
 როგორც მახვილს – გულისგულში,  
 ისე ვზიდავთ ქრისტეს ნიშანს.  
 ქრისტეს ნიშანს – ჯვარს და ტკივილს,  
 სული გოლგოთისკენ მიჰყავს,  
 მოვა ჟამი – მიწის შეილებს  
 ზეცის კარად გამოგვრიყავს...  
 მზე – ცხრა მზეზე უნათლესი,  
 ცეცხლი – ცეცხლზე უფრო მწველი,  
 სულო სისხლად იღვენთები,  
 რიჟრაჟის ჟამს ქრისტე გველის.  
 სულო, გაჩენილო მზეში,  
 სულო, დაისრულო ქართი,  
 ფრთა გაშალო უნდა ჯვარზე,  
 მკვდრეთით უნდა აღდგე ჯვართით!

# ანზორ სიფრაშვილი

## უცნაური სახელი

ავტომანქანების სახელოსნოსთან, ხის პატარა სკამზე მჯდარი კარლი ორაქველიძე აგერ უკვე ორი საათია თავისი კარგა გაცვეთილი „ფორდის“ შეკეთების დასრულებას ელოდა და დროის მოსაკლავად ჟურნალ „გზას“ ჩაპ-კირკიტებდა, რომელიც ვიღაცას დარჩენოდა. საინტერესო სტატიებს გულდასმით კითხულობდა, სხვა დანარჩენს კი მხოლოდ ზერეულად აყოლებდა თვალს.

სახელოსნო სხვადასხვა უცხოური თუ რუსული მანქანების ძველი, გამონაცვალი ნაწილებით იყო გამოტენილი, რომელთაც ზეთი და სხვა საპოხ-საცხები ნივთიერებანი ზედ შეხმობოდათ და მტკვერი და ჭუჭყი დასდებოდათ, რაც მნახველის თვალს დიდ ვერაფერ სიამოვნებას ანიჭებდა, სამაგიეროდ ხელოსნისთვის, ახალგაზრდა ბიჭისთვის, რომელსაც ლევანას ეძახდნენ და რომელსაც მარცხენა ლოყაზე წითელ ზოლად მოზრდილი ნაჭრილობები მოუჩან-



და, ეს ყველაფერი დიდ ფასეულობას შეადგენდა, რადგან თვითიველ ნაწილს გარკვეული მოგება მოჰქონდა: კლიენტებს დაზიანებული „ნაკანეჩნიკისა“ თუ „მარაგოის“ სანაცვლოდ სწორედ ამ გროვიდან გამოუძვრენდა ხოლმე გამოსადეგად ვარგის ნაწილს და სწრაფად შეუცვლიდა, თანაც ბევრსაც არ გამოართმევდა, რადგან იცოდა: ეს კლიენტი მეორედაც ისევ მას მოადგებოდა.

კარლი თავის მანქანასავით ძველი იყო, თუმცა მასავით გაცვეთამდე ჯერაც ბევრი უკლდა, ამიტომაც პეწი და სიამაყე ჯერაც შერჩენოდა: ჟურნალს უსათვალოდ კითხულობდა, არც მუხლები აწუხებდა და, თუ მთარულ ზმებს დაუუჯერებთ, ქალებშიც საკმაოდ მიღებული იყო.

– ყველაფერი გამიგია, ყველაფერი, მაგრამ ამგვარი სახელი ვინმეს რქმეოდეს – ამისთანა არაფერი მსმენია, – კარლიმ კიდევ ერთხელ ჩააყოლა თვალი სტრიქონებს და წამიძახა: – დიოქსორე! სახელია ახლა ეს, გამაგებინა ერთი!

ლევანამ მანქანის ძარის ქვემოდან გამოყო თავი და ხეთიანი ხელები ჩვრით შეიწმინდა:

– რა ხდება, კარლი ძია, რაზე ხარ გაბრაზებული?

– რაზე, ბიძია, და, როცა პოლიციაში ვმუშაობდი, აი როგორც ამას, – მიუთითა გადაშლილ ჟურნალზე, – ერთ ჩვენს ინსპექტორს სახელად ერქვა „ლესტამბერი“! რატომ ახლა, არ იკითხავ?

– ლესტამბერი? მასეთი სახელი ნამდვილად არა მსმენია.

– საიდან გაიგებდი, შენ რომ დეიბადე, მაშინ ამგვარ სახელს ვიღას არქმევდნენ! ჰოდა, რატომ, იცი?

ლევანამ მხრები აიჩეჩა – აბა რა ვიციო.

– ეს სახელი, შე კაცო, „ლენინ-სტალინ-ბერიას“ პირველი ასოებისგან არის შედგენილი და იმიტომ! მაშინ, 30-40-იან წლებში მამალი ბოლშევიკები ამ გზითაც უმტკიცებდნენ პარტიას ერთგულებას, აბა! ეს მაშინ, მარა ახლა? მეიცა, ჯერ წავიკითხოთ რა წერია ამ განცხადებაში: „ვარ მართოხელა სიმპათიური ქალბატონი, სათნო, თბილი, კარგი მეოჯახე. ოჯახის შექმნის მიზნით გამოემხაუროს 50-60 წლის მართოხელა მამაკაცი, სასურველია ბინით უზრუნველყოფილი. დამირეკეთ და არ ინანებთ. დიოქსორე(იგივე ნაზიკო)“. ეს ნაზიკო გასაგებია, მარა დიოქსორე როგორია?

– დიოქსორე არ ვიცი, მაგრამ ნაზიკო ჩემს ბიცოლასაც ჰქვია.

– კაი ერთი! – არ დაიჯერა კარლიმ და უკვე თავზე წამომდგარ ლევანას ცერად ახედა.

– კი, აგრეა. ბიძაჩემის ცოლსაც ჰქვია ეგ სახელი, ნაზიკო. მაგრამ დიოქსორე... – გაიმეორა ლევანამ, – თუნდაც ეგ ერქვას, მერე რაო, რითაა ცუდი?

– არა, ვინ ამბობს ცუდიაო, – თავი გაიქნია კარლიმ, – ალბათ იმ წლებშია დაბადებული, როცა ქვეყანას ისევ კომუნისტები მართავდნენ.

– ვითომ საიდან დაასკვენი ეგ ამბავი, კარლი ბიძია? – ლევანამ გადაყირავებული დაბალი სამფეხა სკამი ფეხით ამოატრიალა, გაასწორა და ჩამოჯდა.

– საიდან და, მეიწი აქეთ, ნახე ესეც როგორ იმიფრება: „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია“! პირველი ასოები აიღე, შეაერთე და ა, შენ, „დიოქსორე“!

– ჰოო! – გაიცინა ლევანამ, – როგორ გეტყობა. კარლი ძია, რომ გამოძიებლად ხარ ნამუშევარი! ერთი შენ ის მითხარი, როგორ იყო, პოლიციის უფროსმა ნათესავის დაკავებული მანქანის გამოსაყვანად რომ გაგგზავნა პატრულთან? რა უთხარი იმ პატრულს?

– აჰ, აღარც კი მახსოვს! ჰო, კი, იმან მიწერილობა მომთხოვა: რაიმე საბუთი არ გამოგატანა შენმა უფროსმაო? მე ვუთხარი, შე კაცო, ქაღალდს არ ვჯობივარ ეს ამხელა კაცი – მეთქი? მაშინ მაიორი ვიყავი.

ლევანას გაეცინა, კარლიმ კი განაგრძო:

– რად უნდა მაგ სიტყვის გაშიფრას გამოძიებლობა! ის შენი ბიცოლაც, თუ მართლა ეს სახელი ჰქვია, კი იქნება ორმოცდათხუთმეტი – სამოცის! ესეა, ხომ?

– ასაკი ზუსტად არ ვიცი, მაგრამ დაახლოებით მაგდენის უნდა იყოს!

– აგაშენა ღმერთმა! მართალი ვარ? ტელეფონიც ხომ არ იცი ბიცოლაშენის?

– ტელეფონი რად გინდა, კარლი ძია?

– რად მინდა და დაბადების დღე უნდა მივულოცო! კაცო, აგერ წერია ამ დიოქსორეს, იგივე ნაზიკოს, ტელეფონის ნომერი და შევადართო, ეს ხომ არ არის!

– სადღაც უნდა მქწეროს, – ლევანამ ჯიბიდან მობილური ამოიღო და ძეხნას შეუდგა. სახელოსნოში მკაფიოდ ისმოდა ღილაკების სიგნალი, რომელიც ძეხნისას ერთი ნომრიდან მეორეზე გადასვლის დროს ჟღერს ხოლმე, – მაგრამ რატომ დაწერდა მაგ განცხადებას ბიცოლაჩემი, ის ხომ მართოხელა არ არის?

– ქალებს რას გაუგებ, ჩემო ბიძია? რომ გგონია ჩემიაო, აგერ აღმოჩნდება რომ სულაც სხვისი ყოფილა, სხვას ეფლირტავება და წერს წერილებსა თუ რას ეძახიან? ჰო, მესიჯებს, აბა! ვერ იპოვე?

– კი, აგერაა. წავიკითხო?

– წიკითხავ, თორემ შენც გურამ საღარაძე მყევხარ აქანა! კაი, წიკითხე.

ლევანამ დაკვირვებით დახედა ცხრაციფრიან რიცხვს და დამარცვლით წაიკითხა, რათა მოსაუბრეს განცხადებაში მოყვანილი ნომრისთვის შეედარებინა.

– ა, რა გითხარი მე! – ნიშნისმოგებით შესძახა კარლიმ, – სწორედ ესაა! გამოდის, რომ ამ განცხადების ავტორი არის შენი ბიცოლა, რომელიც ამჟამად მართოხელა ბრძანდება და ნებაჲს გათხოვება! ასეა?

– კი, მაგრამ ახლა ეგ ქალი, რომლის სახელის დიოქსორეა თუ ნაზიკო, და ტელეფონიც მისია, – ბიძაჩემს ჰყავს ცოლად! ესე იგი, რა გამოდის, კარლი ძია?

– რა გამოდის? – კითხვა შეუტრიალა კარლიმ, – ის გამოდის, რომ ან ეს განცხადება შენს ბიცოლას არ დაუწერია, ან...

– ან – რა? – ჩაეკითხა ლევანა ჩაფიქრებულ მოსაუბრეს.

– ან წლების წინ არის დაწერილი, – დაასრულა ყოფილმა გამომძიებელმა და ჟურნალის ყდას დააკვირდა, – არა, ახალი ნომერია, – დაასვენა იმედგაცრუებულმა, მერე ახალგაზრდა ხელოსანს მიუბრუნდა:

- აბა ბიძაშენისა მითხარი რამე...
- რა გითხრა, კარლი ძია?
- რა და რამდენი წლის არის, სად ცხოვრობს, შვილი რამდენი ჰყავს... რა ვიცი, კაცო, ბიძა არ არი შენი?
- ბიძაჩემი უშვილოა, თბილისში ცხოვრობს, ვარკეთილში, ოთხოთახიან ბინაში, ასაკით იქნება შენზეც...
- ძალიან მოტყუილია?
- არც ისე, ჯეილად არის. თვითონ ატარებს მანქანას.
- „მერსედესს“?
- შენ საიდან იცი, კარლი ძია?
- შე კაცო, გუშინ გვერდიგვერდ არ ვიჯექით ქორწილში? ვივარაუდე, ბიძია. ეგ ქალი, ბიძაშენის ცოლი, როგორ მითხარი, იქნება ორმოცდაათის?
- დაახლოებით იქნება, კი.
- რა ქვია ბიძაშენს?
- ბიძაჩემს? გიორგი, გოგია.

კარლი ჩაფიქრდა. ერთ ხანს ლევანაც დუმდა და კარლის მოლოდინის თვალთ შეჰყურებდა.

– რომ იცოდე, ჩემო ლევან, ქვეყანაზე რა არ ხდება, – ფილოსოფიური ტონით დაიწყო ორაქველბიძემ, ოდნავ შემელოტებული თავი უკან გადასწია და წვრილ უღვაშებზე ხელი გადაისვა, – ადამიანის გულში ჯერ ვერავის ჩაუხვდია, რადგან თუ დედამიწის ზურგზე სადმე უღმესი ჭა მოიძებნება, ადამიანის გული იმაზე ღრმაა და ვერც ვერავინ ჩასწვლობია. ვერაფერს ვიტყვი, რატომ დაწერა შენმა ბიცოლამ ეს განცხადება, თუ მართლაც მისი დაწერილია, ყოველ შემთხვევაში, ჯერ არაფრის თქმა არ შემიძლია, მაგრამ რაღაც საეჭვოს კი ვგრძნობ მე ამ ამბავში, ან იქნებ სულაც რაიმე შეცდომასთან გვაქვს საქმე. ჩემი გამომძიებლობა კარგა ხნის წინ დამთავრდა, ჩემო ძმაო, პენსიაზე ვარ უკვე და აღარც სურვილი მაქვს საეჭვო გარემოებებს ჩავეძიო, თორემ ვინ იცის რაღაც ჩახლართულობა არ იმალებოდეს ჩვენს წინ. ჩემს პრაქტიკაში უამრავი დანაშაული გამიხსნია, ისეთი, ერთი შეხედვით უწყინარ ამბავს რომ ჰგავდა, მარა მერე აღმოჩენილა, რომ კაი გვარიანი მკვლელობა იყო ან ძარცვა, ან რა ვიცი მე რაღა აღარ. თუ აქაც რაიმე იმალება, ეს ალბათ იმათთან შედარებით ბავშვური თამაში იქნება.

- შენ ფიქრობ, კარლი ძია, რომ აქ რაღაც იმალება?
- მონადირეები სანადიროდ რომ მიდიან, რაღაცნაირად, მეექვსე თუ მეშვიდე გრძნობით ხვდებიან, რომ სადღაც ნადირია მიძალული. შენ რაც გნებავს ის დაარქვი, მე კი სწორედ იმნაირი სუნი მცემს ახლა, როგორც მონადირეს ნადირობის წინ, – თქვა კარლიმ და ცხვირის ნესტოები იმგვარად დაბერა, თითქოს მართლაც რაღაც გემი

აიღო, – ეგ კი არა, სისხლის სუნი მცემს, სისხლის! აბა წვედი ახლა მე, კარგად იყავი!

კარლი წამოდგა, წელს ხელი მიაშველა, „ვაი-ვაი, მოგიკვდა პატრონიო“, მიაწყველა თავის თავს და წასასვლელად შებრუნდა.

- რამდენი წლის ცოლ-ქმარნი არიანო, რა თქვი?
- ასე ექვსი თვის წინ შეირთო ბიძაჩემმა ის ქალი.
- ექვსი თვის, კაცო? აბა მგონია რაღაც მართლაც ტრიალებს ამ ამბავში. იმ ქალს თუ დაუდის ვინმე, ბიჭი თუ გოგო?
- მგონი არაფერს ჰყავს.
- ერთიც მითხარი შენ და დაგანებებ თავს: მანამდე თუ ყოფილა ის ქალი გათხოვილი?
- ეგ არ ვიცი, ვერ გეტყვი.
- კაი, ბიძია, კაი. ვიფიქრებ ამაზე და თუ რამე დავსკვენი, აგერ არა ხარ? მოვალ და გეტყვი.

კარლიმ მანქანა დაქოქა, ლევანას გამომშვიდობების ნიშნად ხელი აუწია, პატარა წაუსიგნალა კიდევ და მოასფალტებულ, მაგრამ ალაგ-ალაგ ორმოებიან ქუჩას ნელა გაუყვა.

ლევანამ თვალი გააყოლა, მერე იქვე დაგდებული ჟურნალი აიღო, წედანდელ წაკითხულ განცხადებას ერთხელ კიდევ გადაავლო თვალი, დახურა და თაროზე შემოღო.

გვიანი შემოდგომის მოკლე დღე იწურებოდა. სადაცაა ჩამობნელებოდა და ამიტომ გამვლელები კანტი-კუნტად მოჩანდნენ. ყველას პალტოს ან ქურთუკის საყელოში ჩაერგო თავი და ცდილობდა უკვე შესამჩნევ სიცივეს სწრაფად გასცლოდა.

ლევანამ რომელიღაც თაროზე მიყუდებულ ოთხკუთხა საათს შეჩედა, მერე სახელოსნოს რკინის ორივე კარი დახურა და ის იყო, ბოქლომით უნდა დაეკეტა, რომ ზურგს უკან მანქანა დამუხრუჭდა და მძლოლმა, ისე, რომ მოტორი არ გაუთიშია, გადმოსძახა:

- თუ არ დაგეზარება, შენი ბიძისა და ბიცოლას სურათები მომაწოდე როგორმე.
- რად გინდა, კარლი ძია?
- მინდა. თანაც ძალიან. ზვალვე, გესმის? არ მითხრა ახლა, საქმე მაქვს და არა მცალიაო. იქნებ შენც გქონდეს და მომიტანო.

და მანქანა უკუსვლით დაძრა.

როდესაც მორე დღეს ლევანამ ბიძის სურათი გადასცა კარლის, ვიდრე ბიცოლას გამოსახულებასაც მიაწვდიდა, მან დახედვისთანავე სათვალის ზემოდან გადმოხედა:

- ეს ის გოგია არ არის, ბოლოს სახანძროში რომ მუშაობდა, კომუნისტების დროს კი საწყობის გამგე რომ იყო? პირველი ცოლი ექვსი წლის წინ გარდაეცვალა, როგორც მახსოვს. ჰო, შვილებიც არ ჰყავდა.
- კი, ბიძაჩემმა სახანძროში მთელი შვიდი წელი გაატარა და პენსიაშიც იქიდან გავიდა. ეს კი ჩემი ძალოს



პირადობის ფოტოსურათია. დედაჩემს ჰქონია შენახული ორივე.

- ესე იგი, ბიცოლასი, ხომ?
- ჰო, ბიცოლას ჩვენში ხშირად ძალოს ეძახიან.
- ვიცი, შე კაცი, რაუ არ ვიცი! ჰოდა, ესაა შენი ბიცოლა, ბიძის ცოლი, ხომ?

ლევანას კარლის განმარტებებზე ღიმილი მოადგა პირზე, მაგრამ თავი შეიკავა – არ წყვინოსო.

- კარლი ძია, წუხელ მთელი დამე ვფიქრობდი შენს სიტყვებზე და ვერა და ვერ ვირწმუნე, რომ იმ ჩემს ბიცოლას რაიმე ცუდი განზრახვა აქვს გულში. შენ კი ამბობ, ალლო არ მატყუებსო, მაგრამ როგორც ვიცი, თქვენ, გამოძიებლები, მხოლოდ ალლოს არ ენდობით და უფრო ფაქტებსა და მტკიცებულებებს ექვით.

- მართალი ხარ, ჩემო ლევან, მართალი. წარმიდგინე ახლა, რომელიმე გამოძიებელმა რომ თქვას: მე ამა და ამ კაცს დამნაშავედ იმიტომ მივიჩნევ, რომ ამას ჩემი ალლო მკარნახობსო. ალლო, რაც არ უნდა ძლიერი იყოს, ბრალის დასადებად არ გამოდგება, მაგრამ ისიც უნდა გითხრა, ძამია, რომ ძალიან ხშირად ალლოს ნაკარნახევს ფაქტებიც ამტკიცებენ ხოლმე, მით უფრო მაშინ, როცა ეს ალლო ჩემისთანა ბებერ მგელს გაუჩნდება, რომელსაც გამოძიებაში ჭიპი აქვს მოჭრილი.

- კი, ეგ მესმის, მაგრამ მე ისიც გამიგია, რომ ალლო რაღაცამ თუ არ წარმოშვა, თავისით არ გაჩნდებაო. აბა ჩემი ძალოს შემთხვევაში ეგ ალლო რამ წარმოგიშვა?

- ალლო იმისი ალლოა, ჩემო ლევან, რომ ის, როგორც იტყვიან, სპონტანურად უჩნდება კაცს, ამ შემთხვევაში გამოძიებელს. რამდენი შემთხვევა ყოფილა, რომ ვიღაცას გემით ანდა თვითმფრინავით მგზავრობა არ სდომებია, თუმცა ბილეთი აღებული ჰქონია. აი, გული მიგრძნობსო, რომ ამბობენ, იმასაც გული რაღაცას უგრძნობდა და აღარ გამგზავრებულა. მერე აღმოჩენილა, რომ ის თვითმფრინავი ჩამოვარდნილა, ან გემი ჩაძირულა. გსმენია ამგვარი ამბები?

- კი, ძალიან ბევრი.
- ჰოდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, ამ შემთხვევაშიც ასეა. აბა დაფიქრდი: გათხოვილი, ქმრიანი ქალი განცხადებას აქვეყნებს, სადაც თავს გაუთხოვრად და უქმროდ წარმოგვიდგენს. ან რაღაცა მიზეზით მეუღლესთან გაცილებას აპირებს, ან კიდევ უარესი: ქვრივად გახდომას ფიქრობს. ფიქრობს და საქმროსაც წინასწარ ეძებს.

მცირე ხნის შემდეგ კარლიმ უკვე სერიოზულად ჩაფიქრებულ ხელოსანს კიდევ ერთი კითხვა დაუსვა:

- შენ გეცოდინება, ხშირად მოსდით თუ არა კამათი ბიძაშენსა და მის ცოლს, ამ დიოქსორეს, იგივე ნაზიკოს? ლევანამ უარყოფის ნიშნად თავი გააქანა:
- მე როგორც ვიცი, მათ არასოდეს უჩხუბიათ. ბიძაჩემი ძალიან მომთმენი კაცია, წყენის გულში ჩადება

არ იცის, და შეუძლია ყველას ყველაფერი დაუთმოს, მით უმეტეს ცოლს, რომელიც მასზე ბევრად ახალგაზრდაა.

- მაშინ ის მაინც გეცოდინება, სანამ ბიძაშენის ცოლი გახდებოდა, შენს ძალოს სხვა ქმარი თუ ჰყავდა? ბიძაშენმა ხომ ის უკვე ჭარმაგობაში შეირთო.

ლევანა დაფიქრდა, თავის გონებას მოუხმო და შეეცადა გაეხსენებინა თუ რაიმე სმენოდა ამ ამბავზე.

- ახლა მახსენდება, კარლი ძია, მგონი ის ქალი საგარეჯოში იყო გათხოვილი იქამდე, ვიდრე ბიძაჩემს გამოჰყვებოდა ცოლად.

- აი, ეგ რა კარგი რამე მითხარი! – აღტაცებით შესძახა ყოფილმა გამოძიებელმა, – მერე? გაცილდა იმ პირველ ქმარს თუ მოკვდა ის კაცი?

- მე მგონი, მოკვდა, – ყოყმანით მიუგო ლევანამ, – რაღაც ამდაგვარს მოკვარი ყური, როცა ერთხელ მათთან ვიყავი და მათ საუბარს შევესწარი.

- კიდევ რა გაიგე მაშინ? – კარლი აღტაცებისგან ვეღარ ისვენებდა, რადგან ხელოსნის ყოველი სიტყვა მის ვარაუდებს ემთხვეოდა, – არა, მოიცა, ეს მითხარი, ბიძაშენმა როგორ გაიცნო ის ქალი? ის ხომ საგარეჯოში ცხოვრობდა, ბიძაშენი – თბილისში... მაშინაც განცხადება ხომ არ გამოაქვეყნა იმ ქალმა?

და პასუხის მოლოდინში კარლი თითქოს ადგილზე აცმუტდა, თან მოსაუბრეს თვალს არ აშორებდა.

- ეგ კი ნამდვილად არ ვიცი, კარლი ძია. თუმცა ყველაფერი შესაძლებელია.

- დიახ, ყველაფერი შესაძლებელია, – დაეთანხმა კარლი, – ყველაფერი. მოკლედ, საინტერესო ამბები იკვეთება... არა, ძალიან დამაინტერესა, ჩემო ბატონო, ამ ამბავმა. უნდა ჩავეყვე ძირით-ძირობამდე.

- რას აპირებ, კარლი ძია?
- ჯერ არ ვიცი, რას დავაპირებ, მაგრამ რაღაცას კი გადაწყვეტ, – გაურკვეველად უპასუხა ყოფილმა გამოძიებელმა, – მართალია, დავბერდი და პენსიაზე გავდი, მაგრამ ეს ხომ მუშაობს?! – საფეთქელთან მიიღო ხელი კარლიმ, – ჰოდა, ვნახოთ რას მიბრძანებს და რა გზით წამიყვანს.

მცირე ხნის შემდეგ კი დასძინა:

- ყველაფერს სჯობს ის ქალი პირადად ვნახო. ბიძაშენის მისამართი მითხარი.

როცა ლევანამ ბიძის საცხოვრებელი სახლის მდებარეობა აუხსნა, კარლიმ კალამი და ბლოკნოტი ამოიღო, გულდასმით ჩაიწერა ქუჩისა და სახლის დასახელება თუ ნომერი და მას შემდეგ, რაც ის კალამიცა და ბლოკნოტიც სათუთად შეინახა სამსახურისდროინდელი ცისფერი პერანგის მარცხენა გულის ჯიბეში, ლევანას ძმაცაცურად ჩაუკრა თვალი:

- ახლა მე ვიცი და ჩემმა ბიჭობამ!
- რას აპირებ, კარლი ძია, თუ საიდუმლო არ არის?

რადგან სერიოზულად ჩაერთე ამ საქმეში, გამოდის რომ ბიძაჩემს რაღაც საფრთხე ემუქრება, ასეა? ჰოდა, თუ ასეა და არ ვცდები, მაშინ მეც შენს გვერდით მიგულებ, რათა ეს საფრთხე თავიდან ავიცილოთ.

– გეტანხმები მაგაში და ამიტომაც ყველაფერს გეუბნები, რასაც ვფიქრობ ანდა ვგეგმა, ჩემო ლევან. ჯერ, როგორც გითხარი, მინდა შენი ბიცოლა მოვინახულო.

– კარგი, მაგრამ რას ეტყვი, კარლი ძია, ვინა ვარ და რა მინდაო? იმას ხომ არ განუცხადებ, საეჭვო რაღაც ვიპაზრე და უნდა გადავამოწმო?

კარლის გაეცინა:

– ყოჩად შენ, ისე დასვი ეგ კითხვა, კაცს ეგონება სულ მცირე იურიდიული ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტი მაინც იქნებაო.

– ახლა უმაღლესში მხოლოდ ოთხი კურსია, მეხუთე აღარ არის, – განუმარტა ლევანამ, მაგრამ კარლისთვის ეს არაფერს ნიშნავდა.

– ჰო, გინდაც მეოთხე კურსის სტუდენტი. შენ ის მითხარი, შეგიძლია წამომყვე შენს ბიძასთან?

– აკი ბიცოლაშენის ნახვას ვაპირებო? – გაახსენა ახალგაზრდა ხელოსანმა, – ისე, მართალი რომ ვთქვათ, ხომ არ სჯობია იმ ქალმა ვერაფერი გაიგოს?

კარლის კიდევ ერთხელ მოეწონა მოსაუბრის კითხვა, ამიტომ, რათა უფრო მეტი ეთქმევიინებინა, ჩაეკითხა:

– დაუშვით გაიგო! მიხვდება ჩემით ვიღაცა არის დაინტერესებულიო და განაზრახს აღარ შეასრულებს, ბიძაშენი გადარჩება და ჩვენც ხომ ეს გვინდა! რას იტყვი? ლევანამ თავი გაიქნია:

– კაცს თუ რაიმე ბოროტება აქვს ჩაფიქრებული, მაინც თავისას მიაღწევს. მე მგონია ჯობს შორიდან შევისწავლოთ და დასკვნები მერე გავაკეთოთ.

– ახლა უკვე მართლაც რომ გამოძიებელივით მსჯელობ, – მოუწონა კარლიმ, – აფსუს, რომ უმაღლესში არ სწავლობ და ამ სახელოსნოში ქანჩების ტრიალში ჰკლავდროს!

– რა იცი, კარლი ძია, რომ არ ვსწავლობ და მხოლოდ მანქანებს ვარემონტებ?

– კარგი ერთი, ნუ დამაბნეი ეს ამხელა კაცი! ბიცოლაშენზე ვსაუბრობთ და თუ შენც საიდუმლოებებს მალავ, ამას კი ვეღარ წარმოვიდგენ ნამდვილად!

ახლა ლევანას ჯერი იყო და გაეცინა კიდევ, მაგრამ არჩია სიტყვა ძველ კალაპოტში გადაედო:

– კარლი ძია, რამდენი წლისა იქნები? კი ამბობდი, ჩემი ხნისა ყვავი აღარ დაფრინავს ცაზეო, მაგრამ არა მგონია მთლად გადაყრებული იყო! – და ცერად გადახედა ყოფილ გამოძიებელს, რას იტყვისო.

– გადაყრებული ბებიაშენია! – იუკადრისა კარლიმ, – წვერგაუპარსავი ვარ და იმიტომ ვგაუარ ბებერს, თორემ სამოცს ერთი წლით გადავცილდი მხოლოდ!

– მაშ პენსიას როგორ იღებ, კარლი ძია, თუ მხოლოდ სამოცდაერთისა ხარ? პენსიაში ხომ სამოცდახუთი წლისანი გადიან კაცები?

– ე, ჩემო ძმაო, შენ მართლა მანქანების შემკეთებელი ხელოსანი ჰყოფილხარ, მე კი მომავალი კრიმინალისტი მეგონე! როგორ, განა არ იცი, რომ ორგანოს თანამშრომლები უფრო ადრე გადიან პენსიაზე? მე ხომ მთელი ოცდაშვიდი წელი ვიმუშავე შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში!

– აა, გასაგებია! ძალიანაც კარგი! ჰოდა, ერთ რჩევას მოგცემ, თუ გინდა ბიცოლაჩემი გაიცნო და ესაუბრო, რათა, როგორც შენ ამბობ, „მისი თვალებიდან ამოიკითხო მისი შინაგანი სამყარო“!

– რჩევა? კაი, მითხარი რა რჩევაა, თუ მისაღებია – მივიღებ.

– აი რა, კარლი ძია: ბიცოლაჩემის ტელეფონი ჟურნალში სწერია და ნამდვილად იმისია. იმ ჟურნალში ის ქალი ვინმე ისეთის გაცნობის სურვილს გამოთქვამს, ვინც მას დაუახლოვდება და შესაძლოა მომავალში ოჯახიც შექმნას. ჰოდა, დაურეკე, გაეცანი, შეხვედრა სთხოვე და პაემანზეც შეუთანხმდი, ასაკიც ხელს გიწყობს და ისე შეხედულებითაც არა გიშავს.

კარლის ძლიერ მოეწონა ეს რჩევა: მართლაც შესაძლებელი იყო ისე გასცნობოდა, როგორც მომავალი საქმრო, ქალის ნდობა მოეპოვებინა და თავისი ჩანაფიქრი განეხორციელებინა.

– რომ დამიწუნოს? – შემპარავად უთხრა ორაქველიძემ ლევანას, – ვაი თუ ძალიან წუნიაა?

– კარლი ძია, ამხელა გამოცდილების კაცი ხარ და მე უნდა გასწავლო როგორ უნდა მოაწონო თავი ქალს?

კარლის კიდევ ერთხელ გაეცინა და მოსაუბრეს მხარზე ხელი დაჰკრა:

– მართალი ხარ, ხომ იცი შენ!

კარლის მიერ ლევანას მხრიდან ხელის აღება და სახელოსნოს რკინის კართან ყვითელი „ჟიგულის“ გაჩერება ერთი იყო. ამასთან მანქანამ ისე სწრაფად დაამუხრუჭა, რომ საბურავებმა აფაღტზე შავი კვალი დატოვეს.

– უკაცრავად ვარ თქვენთან, – დაიწყო მანქანიდან გადმოსულმა სათვალეებიანმა კაცმა, რომელსაც საკმაოდ უცნაურ შეხედულებას აძლევდა წვრილი და ბოლოებში აპრებილი ულვაშები, რაც მას კლდიაშვილის ზემომიერულ აზნაურს ამგვანებდა, აგრეთვე თეთრ საყელოზე მიმაგრებული „პეპელა“, რუსულის გავლენით ჩვენშიც რომ „ბაბოჩკას“ ეძახიან, რომელსაც ხელოვანი ადამიანები იკეთებენ ხოლმე: მომღერლები, მსახიობები, დირიჟორები, მუსიკოსები და სხვები, – გთხოვთ მაპატიოთ, რადგან მცირეოდენ დროს წაგართმევთ იმ კითხვაზე პასუხის გასაცემად, რაც გუნებაში წარმოემეშა.

კარლიმ ამ ძალზე თავაზიანი სიტყვების მოსმენის

შემდეგ პირი დაადლო გაკვირვებისგან, ხოლო ხელოსანმა ლევანამ თავით-ფეხამდე აათვალიერა მოსული.

მან კი უფრო თავაზიანად, და ცოტა არ იყოს, უცნაურად მიმართა ორივეს:

– გეთაყვა, არ შეგაწუხებდით და არც რასმე შეგეკითხებოდით, მაგრამ ჩემმა გონებამ მომაწოდა რამდენიმე ახსნა იმ კითხვაზე, რომელიც ეს-ესაა გამიჩნდა და რომელიც მხოლოდ თქვენთან მიმართებაში შეიძლება აიხსნას, რამეთუ არ არსებობს კითხვა, ასევე გაურკვეველი მდგომარეობა, რომელსაც არ მოეძებნებოდეს ახსნა, ვინაიდან ნათქვამია: „არა არს რამ დაფარული, რომელი არა გაცხადდესო“, ამიტომ... ..

კარლი კიდევ უფრო განცვიფრდა, როდესაც ეს უჩვეულო ნათქვამი მოისმინა, და ის იყო ლევანასთვის უნდა გადაეხედა, რათა ენიშნებინა: მე მგონი, ეს კაცი ცოტა აფრაკად არისო, მაგრამ როგორც ჩანს მოსულმა მისი განზრახვა გამოიცნო და დაასწრო:

– თქვენ, ბატონებო, გგონიათ, რომ მე უსაქმოდ დაეხეტები ქვეყანასა ზედა, მაგრამ თქვენი აზროვნება, ფიქრობს რა ამას და იქნებ დარწმუნებულიცაა, უცილობლივ შეცდომაშია შეყვანილი, ვინაიდან მე თქვენთან ფრიად საჭირბოროლო საკითხზე საუბრის სიამოვნებისთვის გამოვცხადდი.

კარლიმ, რომელმაც აღარ იცოდა, ყოველივე მოსმენილის შემდეგ ეცინა თუ ეტირა, უცნობს რაც შეიძლება მშვიდად და თავშეკავებით მიმართა:

– შე კაცო, გასაგებად გვითხარი, რა გნებაუს, რა საჭიროა ასეთი მაღალფარდოვნება? გისმენთ, აბა.

და რადგან მოსული კვლავ მრავალსიტყვაობას ეპირებოდა, კიდევ გაიმეორა:

– თქვი, შე კაცო!

კარლი თუ ასე გაკვირვებული ძლივს ახერხებდა ორიოდ სიტყვის ჩართვას უცნაური უცნობის მრავალფარდოვან ლაპარაკში, სამაგიეროდ ლევანა ერთგვარი დაკვირვებით უცქერდა მას და გონების დაძაბვას ცდილობდა, თითქოს რაღაცის გახსენება უნდა და ვერ გაუხსენებიაო.

ამასობაში მოსულმა კიდევ ერთი გრძელი სიტყვა წართქვა, რითაც კარლის მოლოდინი გაამართლა:

– თქვენს წინაშე მდგომი თქვენი მონა-მორჩილი, ესე იგი მე, ისურვებს მცირეოდენი დრო წაგართვათ, მიუხედავად იმისა, რომ „ჟამი მცირეა კაცისა“, ის ჟამი, რომელიც ღმერთს მიუცია ადამიანისთვის ანიდან ჰოემდე, ანუ შობითგან მიცვალებამდე, და მოკრძალებით გკითხოთ...

ის იყო, კარლის უნდა ეფიქრა: ეს კაცი დაგვცინისო, რომ ლევანამ გაიხსენა თუ ვინ იყო აგრე მჭევრმეტყველად მოსაუბრე და შესძახა:

– ძია ესქილ! შენ ესქილი არა ხარ, ჩემი ბიძა?

ამ სიტყვებზე უცნობმა მზერა ლევანაზე გადმოიტანა და ერთხანს დაკვირვებით უყურებდა, მერე კი თავი გააქნია:

– ჭეშმარიტებაა ის, რომ მე ესქილს მეძახიან, მაგრამ მცდარია ის, რომ, ჭაბუკო, მე შენ ბიძად გეკუთვნი, რამეთუ არ მაქვს ბედნიერება გიცნობდე შენ.

ლევანამ მისკენ გადადგა ნაბიჯი:

– შენ ალბათ არ გახსოვარ, რადგან როცა ბოლოს გნახე, მე ძალიან პატარა ვიყავი და არ გეხსომები, მას შემდეგ ხომ ბევრი წლები გავიდა, თუმცა ძალიან არ შეცვლილხარ.

– იცვლებიან გარეგნობანი, ხოლო სულიერებანი იგივენი რჩებიან, – ბრძნულად მიუგო იმ უცნაურად მოლაპარაკე კაცმა, ვისაც ესქილი უწოდეს, – რამეთუ დრონი იცვლებიან, ხოლო სამყარო უცვლელია დღიდან მისი წარმოშობისა.

კარლი უკვე მიხვედრილი იყო, რომ ამ კაცს, რომ იტყვიან, თავში ყველაფერი რიგზე ვერ ჰქონდა, თუმცა მის ნათქვამში ჯერ ისეთი არაფერი შეუნიშნავს, მის არაადექვატურობაზე რომ მიანიშნებდა: მართალია გრძელად და არაპირდაპირ, მაგრამ ესქილი მაინც სცემდა პასუხებს დასმულ კითხვებზე.

– შე კაცო, იქნებ გვითხრა ისეთი რა შეგემთხვა, რომ აგრე შეწუხებული ამბობ და ვერ კი გითქვია, – მიმართა მან ესქილს.

– მართალია გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმისო, ნათქვამია, მაგრამ მოკლედ თქმა ნიშნავს რომ არაფერი თქვა იმაზე, რაიც გაწუხებს, – მიუგო ესქილმა და დასძინა:

– მცირე ჟამთა წინარე, როგორც ახლა ვიგონებ, მე სწორედ აგერ იქ, იმ ადგილზე, – მიუთითა მას სახელოსნოს გვერდით კედელზე მოდგმულ გრძელ ფიცრის უზურგო სკამზე, – დამშთა ნიმუში პერიოდულის პრესისა, რომელს „გზად“ უხმ ობენ და რომელშიც ჩემთვის ფრიად საინტერესო რამ განცხადება იყო გამოქვეყნებული.

კარლიმ ლევანას მრავალმნიშვნელოვნად გადახედა, მაგრამ ლევანასგან როცა პასუხად მხრების აჩეჩვა მიიღო, დღემდე შემორჩენილი სამსახურისდროინდელი ყავისფერი საქაღალდე გახსნა და მის ბიძას, როგორც ეს თავად ლევანამ უწოდა, „გზის“ სწორედ ის ნომერი მიაწოდა, რომელმაც ასეთი ინტერესი გამოიწვია მასში.

– შე კაი კაცო, თავიდანვე ვერ თქვი? ეს ხომ არაა ის დასაწვავი, ასეთი დაჟინებით რომ ეძებ თურმე?

ესქილემ სწრაფად ჩამოართვა გამოწვდილი ჟურნალი, სწრაფად გადაფურცლა და როდესაც განცხადებების გვერდს მიაღდა, სადაც გასათხოვად-დასანიშნად გამზადებულნი ქალები და კაცები თავიანთ თავს წარუდგენენ საზოგადოებას, შვებით ამოისუნთქა:

– დიდად, დიდად დამავალეთ, პატოვცემულო მეგობარო, რამეთუ შეგინახიათ სწორედ ის ნომერი ამ მშვენიერი გამოცემისა, რომელიც დავკარგე და რომლის ძებნასაც აგერ რა ხანია გადავეყვი მე, თქვენი მონა-მორჩილი, სახეულად ესქილი.

კარლის ეჭვი გაუჩნდა, ამისი სიტყვებიც იმ განცხადებას ხომ არ უკავშირდება, რომელიც ლევანას ბიცოლამ გამოაქვეყნაო, მაგრამ როცა ჟურნალში თავჩარგულ ესქილის თვალს თვალი გააყოლა, მიხვდა რომ ცდებოდა, რადგან მას სულ სხვა გვერდზე ჰქონდა იგი გადაშლილი.

„თუ ეს კაცი მართლა ლევანას ბიძად ერგება, მაშინ იქნებ ლევანას ბიძის ცოლის შესახებაც იცოდეს რამეო“, – გაიფიქრა ყოფილმა გამომძიებელმა და თავისი ვარაუდის დასადასტურებლად კიდევ ერთი კითხვა დაუსვა:

– როგორც ვხედავ, ბატონო ესქილ, თქვენ ამ ჩემი ახალგაზრდა მეგობრის, – და ლევანაზე ანიშნა, – ბიძა ბრძანდებით?

– უნდა მოგახსენოთ, ჩემო ბატონო, რომ რასაც ვგეგმავი ბრძანებს, შეგვიძლია ნახევრად ჭეშმარიტება ვუწოდოთ და ნახევრად სიყალბე, მხოლოდ, რომელი რომელს გადაწონის, ეს უკვე მსჯელობის საგანია, აგრეთვე კამათისა, რადგან ვიცით რომ ჭეშმარიტება კამათში იბადება.

კარლიმ თავი და ბოლო ვედარ გაუგო მის ნათქვამს და ლევანას გადახედა: შენ მაინც მიშველე, გამარკვეე ამ აბურღულ სიტყვებშიო.

– კარლი ძია, ეს კაცი მე ბავშვობიდან მახსოვს, ასე ხუთი-ექვსი წლის რომ ვიყავი, მერე კი აღარსად მინახია, ხოლო მახსოვს როგორც დედაჩემის ძმა, რომელიც სადღაც კი ცხოვრობდა, მაგრამ სად – არც დედაჩემმა იცოდა და არც არავინ.

– მე ვერ ვიტყვი, ჭაბუკო, რომ ჩემი ღვიძლი და დედათქვენი ბრძანდებოდა, მაგრამ იმის თქმა კი შემიძლია, რომ მე ჩემი და – თუ ის სწორედ დედათქვენი გახლდათ – ოცი წელია მაინც აღარ მინახია, რამეთუ ნიჭის ჩემის გამოსაფლენად ავირჩიე მცირე ქალაქი იგი საგარეჯო და ამ ქალაქს დავდე პატივი ვყოფილიყავ მისი სამუსიკო სკოლის დირექტორი მთელი თხუთმეტი წლის განმავლობაში.

სახელი „საგარეჯო“ რომ შემოესმა, კარლი ერთ ხანს იმ მეძებარივით გაინაბა, ბუჩქებიდან მსხვერპლის სუნი რომ იყნოსა. გონებაში კარუსელივით ატრიალა რაღაც აზრი, მერე ღრმად ჩაახველა და წყნარად წამოდგა.

ესქილი ორივეს გამოემშვიდობა და ატომანქანას მიაშურა, ხოლო კარლიმ, როცა იგი უკვე საკმაოდ შორს დაიგულა, ლევანას ხმადაბლა გადაულაპარაკა:

– მე მგონია რომ ეს შერევილი კაცი რაღაცაში გამოგვადგება.

– რაში უნდა გამოგვადგეს, ძია კარლი? ვერა ხედავ, ბევრი წიგნის კითხვას როგორ აუბნევია გზა-კვალი? მახსოვს, როცა პატარა ვიყავი, დედაჩემი სულ ეჩხუბებოდა: დაანებე თავი ამდენ წიგნებს, ბევრმა კითხვამ ჭკუიდან შერყევა იცისო.

– დედაშენს მართალი უთქვამს. არ გახსოვს, ილიამ რომ თქვა: „არც მთლად უწიგნობა ვარა და არც

მხოლოდ წიგნებიდან გამოხედვაო?“ კი, თავისებური კაცია, რომ იტყვიან, ცოტა უქრის თავში, მარა ჩვენ მაინც გამოგვადგება.

– რას გულისხმობ, კარლი ძია? – გაიმეორა კითხვა ლევანამ, მაგრამ კარლიმ პასუხი აღარ გასცა და დასამშვიდობებლად ხელი გაუწოდა.

მთელი ერთი კვირა ყოფილი გამომძიებელი აღარ გამოჩენილა. ლევანა დილით ცხრა საათზე ჩვეულებრივ აღებდა თავის სახელოსნოს, მიაღაგ-მოაღაგებდა ქანჩებსა თუ ბრტყელტუჩებს, სახრახნისებსა თუ ჩაქუჩებს, დღეში ოთხ-ხუთ მანქანას შეაკეთებდა და თან სულ გზას გასცქეროდა, მაგრამ კარლი არა და არ ჩანდა. ორი-სამი დღე გაფაციცებით ელოდა, მაგრამ, როცა მქუთუე დღესაც ვერ მოჰკრა თვალი, ლევანამ გულიდან გადაიგდო უფროსი მეგობრის ნათქვამი თუ ვარაუდი. აღარც თავისი ბიცოლას ბოროტი ზრახვისა ეფიქრებოდა და სულაც ეს ყველაფერი ყოფილი გამომძიებლის ფანტაზიის ნაყოფად წარმოიდგინა, მაგრამ აი ზუსტად ერთი კვირის თავზე კარლი გამოჩნდა და როგორც წინათ, ახლაც სახელოსნოს დიდ რკინის კართან პატარა სამფეხა სკამზე ჩამოჯდა.

– რომ იტყვიან, კარგ შარში გამხვია იმ შენმა ბიცოლამ, – ამოიხვნეშა მან და მისი ხმის კილოს მიხედვით კაცი იფიქრებდა, რომ ეს კაცი ძალზე ნანობდა იმას, რა საქმესაც დაადგა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით, რადგან კარლის თავდადება იმასაც მოწმობდა, რომ ის სიამოვნებით შეეჭიდა ისეთ საქმეს, როგორც ლევანის ბიცოლასთან იყო დაკავშირებული, – ერთ ხანს ვიფიქრე, მე არ მქება ეს ამბავი და სჯობს თავი დავანებოც – მეთქი, მაგრამ შემდეგ... შემდეგ რამ გაიღვიძა ჩემში, თუ იცი? – მოულოდნელად დასვა კითხვა მან და ახალგაზრდა ავტომშემკეთებელს შეაჩერდა.

– რამ, კარლი ძია?  
– რამ და პროფესიონალურმა თავმოყვარეობამ!  
– ნახე, კარლი ძია, ბიცოლაჩემი?

– დაუურეკე. დაუურეკე, მაგრამ ცივი უარი მტკიცია: მე არაფერი გამომიქვეყნებია, ვიღაცამ დაწერა და მე მახსენაო, თუმცა მე მისი სიტყვები ვერ დავიჯერე. კაცო, ათასი საქმე გამიხსნია, გორდიას კვანძით რომ იყო ჩახლართული, არ ყოფილა დანაშაული, რომელიც ხელში ჩამვარდნოდა და დამნაშავე არ გამომეაშკარავებინა, ზოგი პატარა იყო და ადვილი გასასხნელი, ზოგი – ძალზე რთული და ძნელი. რამდენიმე უცნაურიც იყო, ბევრი სახალისოც ყოფილა. არც ეს არის მაინცდამაინც შეუძლებელი, აინშტაინის ტვინი აქ არ არაა საჭირო...

– გამომძიების საქმეებშიც არის ხოლმე სახალისო ამბები? – შეაწყვეტინა ლევანამ, რაკი შეატყო რომ მისი უფროსი მეგობარი, წლებითა და გამოცდილებით დატვირთული, ახლა ლაპარაკის ხასიათზე იყო, რაც ალბათ იმით იყო გამოწვეული, რომ მან რაღაც წარმატებას მიაღწია

ლევანას ბიცოლას საქმეში, – მე კი მეგონა...

– შენ გეგონა ყველა გამოძიებული იღრინება და იკბინება, არც იცინიან და არც ხალისობენო?

– არა, მეგონა გამოძიებულთა მაგიდაზე სახალისო და გასართობი ამბები არ ხვდება – მეთქი.

– და რაც ხვდება, ყველა მკვლელობას, ქურდობას, ძარცვასა და გაუპატიურებას ეხებაო? ვიდრე იმას გეტყოდე, რა გავაკეთე ბიცოლაშენის საქმეში, ერთ ამბავს გავიხსენებ.

კარლიმ ფეხი ფეხზე გადაიღო, კეპიანი ქუდი მოიხადა, ისევ დაიხურა და დაიწყო:

– ათი წელი იქნება, რაც მცხეთის საგამომძიებლო ორგანოდან წამოვედი. მთელი ოთხი წელი ვიმუშავე იქ და კარგა ბევრი რამეც გადამხდა. მე მგონია მოგესხენება, როცა ორი კაცი ედავება ერთმანეთს, სჯობს ჯერ კიდევ გამოძიებაშივე მოარიგო ერთმანეთს და საქმე დაამთავრო, ანუ წარმოება შეწყვიტო.

ჰოდა, გესმის, ერთხელაც, აი, ასეთი ამბავი მოხდა: ვიღაც კაცმა მეორეს სახლი მიჰყიდა. მაშინ მცხეთა ჯერ კიდევ არ იყო ჩაკეტილი ქალაქი და არც რაიმე შეზღუდვები იყო დაწესებული. ჰოდა, იმ ვიღაცა სახლის მფლობელმა კარგა ბლომა ფულად დაუთმო ის სახლი ახლობელს. მივიდნენ სანოტარო ბიუროში, – მაშინ რეესტრი არ იყო, – გადაიხადეს ბაჟი, ყიდვა-გაყიდვის აქტს ხელი მოაწერეს და ბინას ახალი მფლობელი დაეპატრონა, ორ – სამ დღეში ავეჯიც გადაიტანა და შენი მოწონებული, დაიწყო ბედნიერი ცხოვრება.

მისმინე ახლა, რა მოხდა შემდეგ: სწორედ ერთი კვირის თავზე გამყიდველს მოაგონდა, რომ იმ სახლში მას საიდუმლო ადგილას დედის დანატოვარი საკმარად ბევრი ოქროულობა ჰქონდა შენახული: ბაჯაღლო ბეჭდები, ბრილიანტის საყურეები, სამაჯურები, ყელსაბამები... მოაგონდა და მივიდველს მიადგა, სთხოვა დამიბრუნეო, მაგრამ ის გიჟი იყო დაებრუნებინა? არაო, უთხრა, მე ეს სახლი ვიყიდე და ფულიც სრულად გადაგიხადე, ამიტომ ამისი ყველაფერი: იატაკი, სახურავი, ჭერი, კარ-ფანჯარა და კედლები ჩემია და რაც მათში არის, ისიც მე მეკუთვნისო.

გაიმართა ჩხუბი და კამათი ისეთი, ჯერ რომ არავის უნახია! აჰა! ერთიც ამტკიცებს და ყვირის, რომ ეს დედამისმა დაუტოვა და მეორეც, რომ სახლი მისი საკუთრებაა და ყოველივეს ახლა მისია.

გამყიდველმა საჩივარი შემოიტანა პოლიციაში და ის საქმე ქე დამაწერეს მე.

მეც გავცანი ყველაფერს და დავიბარე ორივე, აბა რა იყო და როგორ იყო, მოყვით-მეთქი. დაიწყეს, ერთმანეთს აღარ აცლიან, ყვირიან, ყელი ჩაიხლიჩეს იმხელა ხმაზე ბღავიან.

– წესით, მივიდველი მართალია, – ჩაურთო ლევანამ, – მან სახლი იყიდა და თუ რამე იყო მასში, მისი კუთვ-

ნილებაა.

– კი, ჩემო ძმაო, მაგრამ მეორე არ ჩერდება, თუ არ მომცემ, მთელ სახლს გადაგიწვავო. მართლაც, ისეთი კაცი ჩანდა, აიღებდა თავზე ხელს და დაუწვავდა ყველაფერს.

რა ვიგუძანე, იცი?

გამყიდველი ამტკიცებდა, ეგ დედაჩემის დანატოვარია, როცა კვდებოდა, დამიბარა, ჩემი შვილიშვილი რომ გაიხრდება, შხითვეში გაატანეო.

ეს გასაგებია.

მივიდველი კი კმაყოფილებას ვერ მაღავდა: ჩემი ბიჭი დასანიშნია და ამ ოქროულობას მის ცოლს დაეხვედრებო.

ჰოდა, რომ ვერ მორიგდნენ, ერთხელ კიდევ დავიბარე ორივე და გამოვუცხადე: თუგინდათ ერთიც კმაყოფილი დარჩეთ და მეორეც, მივიდველის ვაჟმა გამყიდველის გოგო ცოლად შეირთოს და ორივეს სურვილი აგისრულდებათ – მეთქი! ა, როგორია?

– მერე, მორიგდნენ?

– მორიგდნენ, აბა, არ მორიგდნენ? იმათ შვილების ქორწილში მე გახლდი თამადა, და სამი ბაღიცი დაუდით, ახლა ალბათ მეოთხეც შეემატათ. აი ასე.

– ახლა, ვაჟო, ბიცოლაშენის ამბავს, თუ მკითხავ?

– ვიდრე იმის მოყოლას დავიწყებდე რა მოვიმოქმედე, რათა ბიცოლაშენის ვინაობა და პიროვნება დამეგინა და ისიც, დღემდე სად უცხოვრია და რა ჩაუდენია, კიდევ ერთ ამბავს მოგიყვები, რომელიც ბავშვობაში წამიკითხია და რომელიც დღემდე მახსოვს, – დაიწყო კარლიმ, – მაშინ ზღაპრების კითხვა მიყვარდა და თუკი სადმე წავაწყდებოდი, გინდ ქართულად და გინდ რუსულად, წაუკითხავს არ ვტოვებდი. ჰოდა, იმდენ ზღაპრებში ერთი იტალიური ზღაპარი დამამახსოვრდა, რომელსაც ასე ერქვა: „ფული თუ იღბალი“ და მისი შინაარსი ასეთია: ორი მეგობარი, რომელთაგან ერთი პოეტი იყო, მეორე კი მომღერალი, ერთ დღეს შეკამათდნენ: ადამიანის ბედნიერად ცხოვრება რაზეა დამოკიდებული – ფულსა თუ იღბალზეო. პოეტი ამტკიცებდა: მე რომ მდიდარი ნათესავი არ გამომჩენოდა, რომელმაც ლექსების წიგნის დაბეჭდვის საფასური გადამიხადა, ჩემზე არავის არაფერი ეცოდინებოდა, ახლა კი ყველამ გაიგო ჩემი ნიჭის შესახებ და დაბეჭვდაზე უარს აღარავინ მეუბნებო; ხოლო მომღერალი ამბობდა: ვის უნდოდა ჩემი მოსმენა, მაგრამ აი ერთხელ, როცა მე მარტოსული, მდინარის პირას ვმღეროდი, ერთმა გრაფმა ნავით გამოისეირნა და ჩემი ხმა რომ მოისმინა, აღრფთოვანებული დარჩა და სასახლეში მიმიწვიაო.

იკამათეს, იჩხუბეს და გადაწყვიტეს ვინმეზე გამოეცადათ თავიანთი შეხედულება, გესმის? ნახეს ერთი ლატაკი ბიჭი და აი პოეტი ეუბნება: – აჰა შენ ასი სკუდო, ივაჭრე, ფულს ფული ამოვინინე და გამდიდრდიო.

იმ ბიჭმა, როგორც მაშინ წესად ჰქონდათ, ის ფული ქუდში ჩაიღო და ქალაქისკენ გაუდგა გზას, მაგრამ უცებ

ქე მოფრინდა ყვაევი, ამ ბიჭს ქუდი მოსტაცა და გაფრინდა! ფაფუ, სადღაა შენი ფული!

ახლა უკვე მომღერლის ჯერი იყო. მან კი ჯიბიდან უბრალო, მოგრებილი, პატარა, წვრილი ლურსმანი ამოიღო და ბიჭს უთხრა: – აჰა ეს შენ და თუ იღბალი გაქვს, ამითაც გამდიდრდებიო.

ბიჭმა ამ ლურსმნისგან ანკესი გააკეთა, მდინარეზე თევზი დაიჭირა, ბაზარში გაყიდა, მერე კიდევ ითევზა და ნელ-ნელა ფული დააგროვა, ხოლო ერთხელ, ქალაქში თევზი რომ მიჰქონდა, ერთი მუხის ქვეშ გავლისას აიხედა და ფულუროში თავისი ქუდი არ დაინახა? ფულიც იქვე დახვდა!

ახლა, მეიცა და გეიგებ, რას მოვაყოლე ეს ამბავი: გურამიშვილი ხომ გახსოვს, აი, ლეკებმა რომ დაატყვევეს და მაინც რომ გაიქცა. ჰოდა, გურამიშვილი წერს: „თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელიო“! მე კი დავრწმუნდი, რომ წუთისოფელი გასტანჯავს მას, ვისაც ბედი-იღბალი, არა აქვს! დიახ, სწორედ რომ აგრეა!

ლევანა ერთ ხანს კიდევ ელოდა რას იტყვისო, რადგან მან კარგად იცოდა, რომ ყოფილ გამომძიებელში დეტექტივის სული ჯერაც ცოცხლობდა და ამ სულის პატრონს ბევრ კარგ თვისებასთან ერთად ერთი ნაკლიც გააჩნდა: ლაპარაკი უყვარდა, მაგრამ არა თავის სამსახურობრივ წარსულზე. ლევანას ისიც კი გაუკვირდა, კარლიმ თავისი მოღვაწეობის ერთი ეპიზოდი რომ გაიხსენა, ხოლო ახლა რომ კიდევ გააგრძელებდა საუბარს – ხელოსანი ამაში დარწმუნებული იყო.

არც შემცდარა.

– ჰოდა, იმას ვამბობდი, კაცს იღბალი უნდა ჰქონდეს მეთქი. არ მახსოვს, რომელი პოეტი ამბობდა თურმე: „კაცს თუ ბედი არა სწყალობს, ყველაფერი წაუხდება, რკინის ჯაჭვებით დაბმული პეპელაც კი გაექცევაო“. ამ-იტომ მე ღმერთს სულ ამას ვევედრები: ყველა საქმეში იღბალი მიბოძე – მეთქი.

– მერე, კარლი ძია, ამ საქმეში თუ გიბოძა ღმერთმა იღბალი? – ლევანამ სცადა სახეზე ღიმილი არ ასახოდა, თუმცა კარლიმ ქილიკი მაინც იგრძნო და წარბი შეიკრა:

– შენ ხუმრობ, ბიბია, და მე მთელი სერიოზულობით ვამბობ ამას! იღბალი არაა, სწორედ მაშინ რომ დაკარგა შენმა დედის ძმამ ჟურნალი, რომელიც ჩვენ ვიპოვეთ? იღბალი არაა, რომ როცა ეჭვი ავიღეთ, – კარლის უნდა ეთქვა „გეში ავიღეთო“, მაგრამ უხეშ გამოთქმას მოერიდა, – ის შენი დედის ძმა, – რა ერქვა? ჰო, ესქილი... კაცო, ვინ დაარქვა ეს ძველი ბერძნული სახელი, ესქილე ხომ ტრაგედიების წერით იყო განთქმული! ჰო, ის კაცი, ესქილი, დაბარებულივით გამოგვეცხადა და გვამცნო: საგარეჯოს სამუსიკო სკოლის დირექტორი ვარო! ამ შენს ბიცოლასაც ხომ რამდენიმე წლის წინ საგარეჯოში უცხოვრია, ვიდრე ბიძაშენის ცოლი გახდებოდა!

– ისე ვატყობ, კარლი ძია, შენი იღბლიანობა მხოლოდ აქ არ თავდება, მგონია რომ კიდევ რაღაც შეგემთხვა ისეთი, შენს ქულ-ბედიანობას რომ დაადასტურებს. ასეა?

კარლის გაეღიმა და ეს სიამოვნების ღიმილი იყო.

– საქმეც მაგაშია სწორედ, რომ არ ცდები, ჩემო ლევან! – კარლიმ ოდნავ ჩაახველა და განაგრძო: – საქმე იმაშია, რომ როცა რაიმე საქმეს დაადგები, თუ რაიმე გამოცდილება გაგაჩნია, ის აუცილებლად გკარნახობს როგორ წარიმართება ყოველივე. ტყუილად კი არ არის ნათქვამი, შედეგის დედა გამოცდილებააო. ნახავ რაიმეს, გაიხედ-გამოიხედავ, დაფიქრდები, გაიხსენებ, გააანალიზებ და უკვე ხვდები, რა იქნება ბოლოს.

აი, შენი ბიცოლას ამბავში მე უკვე ვიცი რა მოხდება და რით დამთავრდება ყველაფერი. თვითუფლ დღეს და თვითუფლ ჩემს ნაბიჯს მხოლოდ ამისი მტკიცებულება მოაქვს. ახლა არ გაინტერესებს, რა მტკიცებულებანია ეს?

რამდენიმე დღის წინ სწორედ იქ გავემგზავრე, სადაც შენს ბიცოლას უცხოვრია, ვიდრე ბიძაშენის ცოლი გახდებოდა. შენ კარგად იცი, მე ძველი და ბებერი მგელი ვარ და ჩემებრ ბებერ მგლებს ძალიან ბევრს ვიცნობ. ჯერ ერთი წელი რომ იმსახურო იმ სისტემაში, რასაც შინაგანი სამსახური ჰქვია – რამდენ ვინმეს გაიცნობ, ახლა ათი და ოცი წლის მანძილზე ხომ კაცი არ დარჩება, ვისაც შენ არ შეხვდები და სხვა არ შეგხვდება. მეც ამისი იმედი მქონდა, ჩავედი საგარეჯოში და ჩემს ერთ ძველ მეგობარს შევეხმიანე. გაუხარდა და რა გაუხარდა, კინაღამ სიხარულით ცეკვა დაიწყო, მაშინვე, როგორც ეს ჩვენი, ქართველების წესია, რესტორნისკენ მომიხლომა წაყვანა, მაგრამ მე ვთხოვე:

– შე კაცო, რესტორნების მეტი რაა ქვეყანაზე, მოვაგვარო ჩემი საქმე და მერე თუნდაც დედამიწის შუაგულში წაგყვებიც – მეთქი.

დაწყნარდა, როგორც იქნა, და მეც ჩემი საქმე დავიწყე, უფრო სწორად, ბიცოლაშენისა, მაგრამ ყველა კარტი არ გამიხსნია, რადგან ბევრი რამ მე თავადაც არ ვიცი.

ვაჩვენე ბიცოლაშენის პირადობის ასლი და ვთხოვე თუ ამ ქალზე რამე გსმენია, არ დამიმალო-მეთქი.

დახედა თუ არა, იცნო: ეს ხომ აქა და აქ მუშაობდა, რამდენიმე წლის წინ ქმარი მოუკვდა, სახლი გაყიდა და ჩვენს ქალაქში აღარ გამოჩენილაო.

ახლა არ იკითხავ, თურმე სად მუშაობდა ეგ შენი ბიცოლა, ვიდრე დაქვრივდებოდა და მერე ბიძაშენი შეირთავდა?

ახალგაზრდა ხელოსანმა მხრები აიჩეჩა, ვერა ვხვდებითო.

– სადა და იმ შენს მეორე ბიძასთან, ამ რამდენიმე დღის წინ რომ გაგვაბრუა თავისი მჭევრმეტყველებით!

– ესქილესთან?

– აბა! იმ ჩემმა ძმაცაცმა რომ მიხსენა, ჯერ საავადმყოფოს ლაბორატორიაში მუშაობდა, როგორც ქიმიკოსი,

მერე კი სამუსიკო სკოლის ბუღალტერი იყო, მყის ის გამახსენდა, ესქილე! შენ კი ამბობ, იღბალი არ არსებობსო! გავვარდი ესქილესთან – ჩემმა მეგობარმა ამიხსნა, სადაც მდებარეობდა ეს სასწავლებელი, მინდა მისგან უფრო დაწვრილებით გავიგო ყველაფერი, ვიცი რომ გააბამს ახლა ჭრიჭინასავით გრძელ-გრძელ და გაუგებარ სიტყვებს, მაგრამ მაგას ვილა დაეძებს!

ჰოდა, ისეთი ამბავი გავიგე, შენც კი მადლობას მეტყვი ამდენი გარჯისთვის! იცი, რა მიაბო ესქილემ? ვერ წარმოიდგენ!

კარლიმ მცირე ხანს შეისვენა, თან ელოდა მოსაუბრე რას იტყვის, ან რა კითხვას დამისვამსო და მანაც არ დააყოვნა:

– ეტყობა მეტად მნიშვნელოვანი ამბავი გაიგე, ხომ, ძია კარლი? შენი გამოცდილების კაცი რომ უეჭველად ნახავდა რაიმე ხელჩასაჭიდს, ეს ხომ ცხადია!

– ესქილემ მაშინვე მიცნო, გაიხსენა ჩვენი შეხვედრის ამბავი, ჟურნალი რომ დაუბრუნეთ, მერე კი წინადადება მომცა ის სახლი ეჩვენებინა, სადაც ბიცოლაშენი წლების წინ ქმართან ერთად ცხოვრობდა. სხვათა შორის, ჩემმა მეგობარმა გამოძიებულმაც და შენმა ბიძამაც სწორედ ამ უცნაური სახელის გამო გაიხსენეს ეგ ქალი – ამგვარად ხომ მთელ საქართველოში ალბათ არავის ეძახდნენ!

– ნახეთ ის სახლი? – შეახსენა ლევანამ.

– ვნახეთ, აბა არა? კაი გემრიელი შენობა იყო, ორ სართულიანი, ლამაზი აივნით, ხვეული კიბით, მაღალი ღობით... მოკლედ, სახლი კი არა, სასახლე! ან რატომაც არ ექნებოდა მის პატრონს, რომელიც თავის დროზე მაგარი საქმოსანი ყოფილა, „დელაიკს“ რომ ეძახდნენ და ფული თავზე საყრელად ჰქონია! მაგრამ ჯერ სადა ხარ, ისეთ რამეს გეტყვი, თვალები შუბლზე ავივა!

– ჰოდა, თქვი, კარლი ძია, ხომ იცი როგორ მაინტერესებს!

– გაინტერესებს და ა, ბატონო! აბა თუ მეტყვი, რა მოუვიდა იმ კაცს?

– ვის „იმ კაცს“? – ჩაეკითხა ლევანა, თუმცა კი მიხვდა, ვის გულისხმობდა ძველი გამოძიებელი.

– ვისა და აწ უკვე შენი ბიცოლას ქმარს საგარეჯოში.  
– მოკვდა ალბათ?

– გული გაუსკდა, გული! ყველამ იფიქრა, სამსახურის გამო გაუსკდა გულიო, რადგან სწორედ იმ ხანებში მის „ცეხს“ რევიზია დააწყდა და იმდენი რამე აღმოუჩინეს, კაცი ვერ დათვლიდა! ეს ამბავი ყველამ გაიგო, რადგან საგარეჯო პატარა ქალაქია და დილით თავს რომ კუდი გადაუბრუნდეს, სადამოს უკვე დიდმა და პატარამ იცის!

– ჰო, კარლი ძია, ეგ ხდება ხოლმე. რამდენი მასეთი ამბავი ვიცი, რამდენს დამართვია გულის შეტევები...

– მაგრამ საქმე ისაა, რომ ის კაცი სინამდვილეში სულ სხვა მიზეზით მოკვდა და არა გულის გახეთქვით!

– სხვა რა უნდა ყოფილიყო?

– მოწამლეს! ძალიან ჭკვიანურად იმოქმედა, ვინც ის მოწამლა, რადგან ყველამ დაიჯერა, რომ სამსახურის გამო გარდაიცვალა, სინამდვილეში კი...

– ვის უნდა მოწამლა, ვის სჭირდებოდა მისი სიკვდილი?

– საერთოდ, ჩემო ბიძია, პრაქტიკაში ასეა: ვინც მოგება და ხეირი ნახა, ის არის ხოლმე დაინტერესებული ამგვარი ამბით. მიხვდი?

ახალგაზრდა ხელოსანმა მხრები აიჩჩია:

– ვინ უნდა ყოფილიყო მერე ამით დაინტერესებული?

– ის, ვინც შემდეგში შენი ბიცოლა გახდა, აი ვინ! სწორედ მან „ჩაუშვა“ სამინისტროში თავისი ქმარი, ამას და ამას სჩადისო, რადგან ქმარი მას არაფერს უმაღავდა, ფულებით ყელამდე ავსებდა, ხოლო როცა შემოწმება დაიწყო, ადგა და თავიდან მოიცილა.

– მოიცა, კარლი ძია, აქ რაღაც ვერ გამოდის! თუ ქალი ხედავდა, რომ მისი ქმარი ამდენს შოულობდა და სახლი ფულით ჰქონდა გამოტყენილი, რასაც ის თავის ნებაზე განკარგავდა, რაში აწყობდა მისი სიკვდილი და თავიდან მოცილება?

– თითქოს სწორად მსჯელობ, ჩემო ლევან, და მართლაც მართალი იქნებოდი, რომ არა ერთი გარემოება: იმ ქალს, ანუ ბიცოლაშენს, შვილი ჰყავდა და ახლაც ჰყავს, ეს კი არც შენ იცი, არც ბიძაშენმა და არც იმ ქმარმა იცოდა, რომელიც, სხვათა შორის, სულაც არ ყოფილა პირველი ქმარი!

კარლი შეჩერდა და მოსაუბრეს შეხედა: ჩემი ნათქვამი რა შთაბეჭდილებას მოახდენსო. მართლაც ლევანამ გაცემებისგან პირი დაალო:

– ბიცოლაჩემს შვილი ჰყავს?

– მაშ! პირველი ქმრისგან! აი, ის კი მართლაც პირველი იყო შენი ბიცოლასთვის!

ლევანა ახლა კი მთლად დაიბნა. მის თავში ეს საქმე ისე აიბურდა, თავი და ბოლო ვეღარ გაეგო.

მაგრამ მალევე მოვიდა გონს:

– კარგი და განა ქმარი რომ ცოცხალი ჰყოლოდა, იმ ქალს უფრო მეტი სარგებელი არ ექნებოდა? – ლევანამ უკვე ვეღარ შეძლო „ჩემი ბიცოლაო“ ეთქვა და „იმ ქალად“ მოიხსენია.

– საქმე იმაშია, რომ „იმ ქალის“ შვილი, – კარლიმაც ასევე უწოდა ლევანას ბიცოლას, – კაზინოში თამაშს არის გადაყოლილი, მაშინაც დიდძალი თანხა წაეგო და დედამისმა გადაწყვიტა თავისი შვილი ეხსნა გადაუხდელობის სირცხვილისგან, გადაწყვიტა და რაც მოგიყვები, ის სცენა გაითამაშა. მას შემდეგ თითქოს ის ბიჭი გონს მოეგო, აღარ თამაშობდა, დედამისიც კმაყოფილი იყო, მაგრამ ეს რამდენიმე თვეა, კვლავ შეუხსნია კაზინოს კარი. ახლა გასაგებია ყველაფერი?

ლევან კარგა ხანს ჩუმად იყო, ხან შორს მთებს გაჰყურებდა, ხან კედლებს ათვალიერებდა, ბოლოს კი თითქმის თავისთვის წარმოთქვა:

– გასაგებია.

\*\*\*

ერთი კვირის შემდეგ კარლი მეტად აფორიაქებული მიადგა თავის ახალგაზრდა მეგობარს და სთხოვა, ყურადღებით მომისმინეო.

– გადავწყვიტე შენი ბიძა ვინახულო და მომავალ საფრთხეზე რამდენიმე სიტყვა ვუთხრა, – აუწყა მან ლევანას, – რადგან საქმე სულ უფრო იძაბება და შესაძლოა საკვალლო შედეგი უფრო ადრე მოჰყვეს, ვიდრე მე ვვარაუდობდი. ამიტომ შენი დახმარება დამჭირდება, რადგან მე ბიძაშენისთვის უცხო ადამიანი ვარ და ერთის მხრივ, რომ შესაძლოა არ მომისმინოს, მეორე მხრივ ჩემს გაფრთხილებას არ დაიჯერებს. – როდის შეგიძლია ბიძაშენს შემახვედრო?

– რაღაც უნდა მოვიმიზეზო, კარლი ძია, რომ როგორმე სახლიდან გამოვიყვანო. ბოლო ხანს ავადმყოფობს და თუ არა მნიშვნელოვანი მიზეზი, სახლიდან გარეთ არ გადის, – მიუგო ლევანამ.

კარლიმ ლევანას ბიძის ავადმყოფობაც მნიშვნელოვან ამბად და თავისი ვერსიის დასტურად მიიჩნია:

– ადრე როგორი ჯანმრთელობა ჰქონდა შენს ბიძას? – ჰკითხა მან.

– როდის ადრე, კარლი ძია?

– ადრე, აი მანამდე, ვიდრე ცოლს შეირთამდა.

– ამ ხუთი-ექვსი წლის წინ ძალიან ჯანმრთელი იყო, თამაობა უყვარდა და ღვინოს ხარივით სვამდა, შექმლო ერთი ვედროც კი დაელია ქორწილში.

– მართლა? და ახლა ისეა დაჩაჩანაკებული, რომ სახლიდან ვეღარ გამოდის, არა?

– დაჩაჩანაკებული მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ სიარული უჭირს, ღვინოსაც ხომ ერთ წვეთსაც აღარ სვამს.

– კარგი, მაშინ, სხვა რამ უნდა მოვიფიქროთ, – და კარლი რაღაცის გათვლასა და გაანგარიშებას შეუდგა, მცირე ხნის შემდეგ კი მეგობარს მიუბრუნდა: – ალბათ შენი ბიძა და ბიცოლა ხელმოწერილები არიან, არა?

– კი, სამი თვის წინ მოაწერეს ხელი ქორწინების სახელში.

– მით უკეთესი, – კარლის კმაყოფილება სახეზე გამოეხატა, – დანარჩენი მე ვიცი. მხოლოდ შენ ხვალ არსად წახვიდე, და როდესაც ტელეფონზე დაგირეკავ, იქ მოდი, სადაც გეტყვი.

– კეთილი, კარლი ძია, აგრე იყოს. ხვალ გორში უნდა წავსულიყავი, მაგრამ რაკი აგრე გსურს...

– საქმე ჩემს სურვილს კი არა, შენი ბიძის სიკვდილ-სიცოცხლეს ეხება, გესმის? – შემოუტრიალდა ყოფილი გამოძიებელი თავის უმცროს მეგობარს, – ყველაფერი გათვლილი მაქვს და თუ ჩემს გეგმას მიფეხვებით, ბიძაშენი სიცოცხლეს შეინარჩუნებს, ის ქალი კი განსასჯელის სკამზე აღმოჩნდება, მაგრამ მთავარია რასაც გეტყვით, ის შეასრულოთ, შენცა და ბიძაშენმაც.

– კარლი ძია, ვხედავ რომ საქმე სერიოზულადაა...

– და თანაც ძალზე სერიოზულად, – ჩაურთო ყოფილმა გამოძიებელმა.

– ამიტომ მითხარი, რა მკვალება და რა უნდა გავაკეთოთ, – უთხრა ლევანამ, – თუ ბიძაჩემის გაფრთხილებაა საჭირო, მაგასაც გავაკეთებ.

– ახლა უპირველესად ისინი უნდა გამოვიტყუოთ სახლიდან, ჩემო ლევან. როდესაც ამას შევძლებთ, მერე ისე უნდა მოვახერხო, რომ იმ ქალის თვითუღი ნაბიჯი ვიცოდე, თორემ შესაძლოა დაგვასწროს და მერე თითზე კბენანი აღარაფერს გვიშველის: შენი ბიძაც იმ ქალის პირველ და მეორე ქმარს მიჰყვება. თუ ეს არ გინდა მოხდეს... მითხარი, შე კაცო, გინდა ასე მოხდეს?

– რაღა საჭიროა პასუხი, კარლი ძია, მგონი იცი ჩემი აზრი.

– ჰოდა, რომ ვიცი, ხვალ შენს ბიძასა და ბიცოლას სადმე გამოვამახებინებ, შენ კი დილით უნდა ესტუმრო და რაიმე საბაბით მათ სახელში დარჩე, რათა ჩვენს ხალხს კარი გაუღო.

ლევან დარწმუნდა, რომ „ძველი გვარდია“ მოწოდების სიმალღეზე მოქმედებდა, ამიტომ უთხრა, ყველაფერზე ყაბულსა ვარო.

მეორე დღეს კარლიმ დილის ცხრაზე დაურეკა ლევანას და წინა დღის შეთანხმება შეახსენა, თავად კი ქორწინების სახლისკენ გაემშურა, მოიცადა, ვიდრე გააღებდნენ, და როდესაც მაღალ, ძველებურ, იისფრად შეღებილ, ჩუქურთმებიან კარს მაღალ-მაღალი, შუახნის სადად ჩაცმული ქალი მიუახლოვდა, კარლი მიესალმა და სთხოვა ორიოდ წუთი დამითმოეო.

– მობრძანდით, ბატონო, – თავდაბლად უთხრა ქორწინების სახლის გამგემ და ზღურბლს გადააბიჯა, თერთრი, კვადრატული ფილებით მოკებული მისაღები გაიარა, მარჯვნივ შეუხვია, კაბინეტის კარი მსუბუქი მოძრაობით გახსნა და სტუმარი შეიპატიჟა, – მობრძანდით.

ოთახში იასამნების სურნელება იდგა, თვით ყვაილები მზრუნველ ხელს მინის ვაზაში ჩაწყო და კედელთან მიმდგარ პატარა მაგიდაზე დაედგა. იქვე ფაქიზად ელაგა თაბახის ფურცლები, რამდენიმე კალამი, კომპიუტერი, პრინტერი და ხუთი თუ ექვსი წიგნი.

„საოჯახო კოდექსი იქნება რომელიმეო,“ წიგნების



დანახვისას გაუელვა თავში კარლის და ის იყო, მასპინძლისთვის დაჯდომის ნებართვა უნდა ეთხოვა, რომ მან დაასწრო:

– დაბრძანდით და გვითხარით, რით შეგვიძლია გემსახუროთ.

კარლიმ ჯერ კიდევ გუშინ ჩაიღო ჯიბეში ადრინდელი, ძველი საბუთი, რაც მის გამოძიებლად მუშაობას ადასტურებდა. მართალია, მას კარგა ხნის წინ გაუვიდა ვადა, მაგრამ მის პატრონს იგი ზოგჯერ მაინც გამოადგებოდა ხოლმე, რადგან შიგ მისი მოქმედების ვადა მითითებული არ იყო. ყოფილმა გამოძიებელმა სწორედ ეს საბუთი ამოიღო ჯიბიდან და როგორც წესი იყო, გადაშლილი სახით დაანახა მასპინძელს, რომელმაც ცალი თვალი გადაჰკრა და მოლოდინის მხერით კვლავ კარლის შეხედა. ჩანდა კარგად ერკვეოდა ამგვარ საბუთებშიც და სიტუაციებშიც.

– გისმენთ, ბატონო, – წყნარი ხმით უთხრა მან, სავარძელში ჩაჯდა და მოსაუბრესაც კვლავ ანიშნა, დაბრძანდით.

– ქალბატონო ნელი, ახლა, როდესაც უკვე იცით ჩემი ვინაობა, მინდა გულახდილად გთხოვოთ დახმარება, რადგან თქვენზე უკეთეს დამხმარეს მე ვერ ვინატრებდი, – თავაზიანად უთხრა კარლიმ, – მოგეხსენებათ, ჩვენი საქმიანობს მიზანი ადამიანთა დაცვა და მოსალოდნელი საფრთხისაგან ხსნა გახლავთ, ამასთან არც შედმეტი კითხვების დასმის უფლებას ვაძლევთ ვინმეს. იმედია გამოიგებთ, – დასძინა ბოლოს.

ქორწინების სახლის გამგეს მართლაც ყველაფერი მშვენივრად ესმოდა, ამიტომ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

– ამ სამი თუ ოთხი თვის წინ თქვენთან ხელი მოაწერა საკმაოდ ასაკიანმა, სიმპათიურმა წყვილმა, – დაიწყო კარლიმ, – იქნებ დაგამახსოვრდათ.

– ბატონო, ჩვენთან ყოველდღე რამდენიმე წყვილი მოდის ხელმოსაწერად, შეუძლებელია რომ ყველა მათგანი დამამახსოვრდეს.

– მაგრამ ისინი ხანდაზმულები არიან და ვიფიქრე სწორედ ამიტომ შეგეძლოთ რომ გაგეხსენებინათ.

– არც ხანდაზმულები გვაკლია, – იუარა ქორწინების სახლის გამგემ, – ახლა ასაკიანებიც ხშირად უდლებიან, ეგ კი არა, ჯვარსაც კი იწერენ.

– არა, ჯვრისწერა არ მაინტერესებს, – კარლიმ ტყავის საქალაქედან ჯერ ერთი ფურცელი ამოიღო, მერე მეორე და მოსაუბრეს მიაწოდა, – აი მათი პირადობების ასლები. აბა დააკვირდით, ვერც ახლა გაიხსენეთ?

ნელიმ სათვალე მორიგო და დაკვირვებით დახედა ქალისა და კაცის გამოსახულებებს, რომლებიც პირადობებზე

მკაფიოდ ჩანდა, ერთხანს უცქირა, მხერა ერთიდან მეორეზე გადაჰქონდა, ბოლოს კი თავი გააქნია და ქალაქლები კარლის დაუბრუნა.

– არა, როგორც მოგახსენეთ, ვერც ერთ მათგანს ვერ ვიხსენებ.

– მაგას არცა აქვს არსებითი მნიშვნელობა, – სტუმარმა პირადობების ასლები მაგიდაზე დააწყო და მასპინძელს მიუბრუნდა, – ჩვენთვის ახლა ერთი რამაა მთავარი: რაიმე მიზეზით ორივე უნდა გამოიძახოთ და რაც შეიძლება დიდხანს დააყოვნოთ.

– კეთილი, მაგრამ რა მიზეზით? – შეეკითხა ქორწინების სახლის გამგე.

– ეგ თავად უნდა მოიფიქროთ, მაგრამ ისე კი, რომ ორივე სახლიდან გამოვიდეს და აქ გამოცხადდეს.

ნელი დაფიქრდა.

– თქვენ ხომ იცით, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ვინმე ვაიძულოთ ჩვენთან მოვიდეს.

– დიახ, სამაგიეროდ შეგიძლიათ რაიმეთი შეაშფოთოთ.

– კერძოდ, რითი?

– ეტყვი, რომ მათი ხელმოწერა ხარვეზით ჩატარდა, რომ დოკუმენტების შევსება არასწორად მოხდა...

– მე კი ვეტყვი მაგას, მაგრამ ისინი დაიჯერებენ?

– დაიჯერებენ. ყოველ შემთხვევაში, ქალი დაიჯერებს.

– რატომ ხართ დარწმუნებული, რომ ქალი უეჭველად დაიჯერებს?

– იმიტომ, რომ ეს მას სჭირდება.

– რა სჭირდება?

– რა და ისეთი საბუთის ქონა, რომელიც მათ ხელმოწერას, ანუ ქორწინებას უეჭველად დაადასტურებს.

– საიდან ხართ დარწმუნებული? – არ სჯეროდა ქორწინების სახლის გამგეს.

– დარწმუნებული ვარ, – მტკიცედ თქვა კარლიმ და გაიღიმა.

ქალბატონ ნელის სხვა აღარაფერი დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ დათანხმებულიყო.

– რომელ საათისთვის გამოვიძახო? – ჰკითხა მან ბოლოს სტუმარს, როცა ის უკვე კარს აღებდა.

– ეს გამოძახება არ იქნება, ქალბატონო ნელი, რადგან, როგორც თქვით, ამის უფლება არ გაქვთ, – რბილად უთხრა კარლიმ, – დაურეკეთ და გააცანით ის ვითარება, რაც მე გითხარით.

– კარგი. ვეცდები ყველაფერი ისე გაუაკუთო, როგორც შევთანხმდით. მაგრამ თქვენ არ გითქვამთ რომელ საათზე ვთხოვო მათ მოსვლა, – შეახსენა ქალმა.

– საათი? ჰო, პირველი საათი სჯობს. კი, პირველი საათი. ნახვამდის. – და კარლიმ კარი გაიხურა.

როდესაც მეორე დღეს პირველი საათი შესრულდა,

კარლი კიდევ ორ ახალგაზრდა კაცთან ერთად, რომელთაც პატარა ჩანთები ეკავათ, დიდ რკინის კარს მიუახლოვდა და ზარის ღილაკს თითი დააჭირა.

კარი მალევე გაიღო და იქიდან ლევანამ გამოყო თავი.

– აა, კარლი ძია, თქვენა ხართ? შემოდით, ოღონდ ფრთხილად: ეზოში ავი ძაღლია.

– ეზოში რა გვინდა, შე კაცო, – კარლიმ თანამგზავრებს ანიშნა, ჯერ თქვენ შედითო, – მოაგვარე ყველაფერი? გაისტუმრე ბიძა და ბიცოლა?

– აბა რას ვიზამდი, – ლევანა კოჭლობით გაუძღვავთ წინ, – ერთი საათია რაც წავიდნენ.

– შენი ფეხათრევით სიარული კი რას მივაწეროთ?

– კიბიდან დაგვორდი, კარლი ძია, და ისე ცუდად დავეცი, რომ კინაღამ მუხლი გავიტეხე.

კარლის სახეზე წუხილი გამოეხატა:

– მართლა, შე კაცო? აუჰ, ეგ რა მოგსვლია! რატომ ქირურგს არ გაესინჯე? თუ გინდა, ახლავე დაუურეკავ და წავიდეთ, – კარლიმ ჯიბიდან მობილური ტელეფონი ამოიღო და დასარეკად მოეშადა. ლევანამ შეამჩნია, რომ ეს სხვა ტელეფონი იყო ყოფილი გამომძიებლის ხელში, არა ის, რომელიც ადრე ჰქონდა: ის უბრალო „ნოკია“ იყო, სადაც კლავიშებზე უნდა დაგეჭირა თითი, ეს კი ფართოკრანიანი „სამსუნგი“ გახლდათ, მრავალზე მრავალი ფუნქციით.

– ბიძაჩემმაცა და ბიცოლაჩემმაც ეგ მითხრეს, მაგრამ მე უარი ვუთხარი.

– რატომ, კაცო, რატომ? რომ გაგიერთულდეს, სად მიდიხარ?

– აბა რა მექნა, კარლი ძია, თქვენ ხომ უნდა მოსულიყავით? ჰოდა, მე რომ ექიმთან წავეყვანე, კარს ვინდა გაგიღებდათ? თანაც, არც ძლიერ მტკენია – და ლევანამ თვალი ჩაუკრა უფროს მეგობარს.

– კარგი აფერისტი ხარ, ხომ იცი შენ! – გაედიმა კარლის, – სხვა ოთახები ღიაა ალბათ?

– კი, ყველა ღიაა.

კარლი მასთან ერთად მოსულ ორ კაცს მიუბრუნდა:

– აბა ჰე, ვიჩქაროთ ახლა. ერთ საათში ყველაფერს უნდა მოვრჩეთ, გასაგებია?

მათ თავი დაუქნიეს და ჯერ ოთახების თვალიერებას მოჰყვნენ, მერე კი ჩანთები გახსნეს, სხვადასხვა რამ ამოალაგეს და მუშაობას შეუდგნენ, ხოლო ლევანა და კარლი აივანზე ისხდნენ და მასლაათს განაგრძობდნენ.

ორმოცი წუთი იქნებოდა გასული, რომ შემდეგ ჯერ ერთი თანამშრომელი დაბრუნდა კარლისთან, მერე მეორე, ტელეფონი გამოართვეს და რაღაცის სინჯვა და თვალიერება დაიწყეს, ხოლო როცა დაუბრუნეს, კმაყოფილება უთხრეს:

– ყველაფერი რიგზეა.

კარლი წამოდგა, ოთახები ფრთხილად შემოიარა, რათა რაიმე კვალი არ დაეტოვებინა, ხოლო როცა ლევანასთან მივიდა, თავდაც კმაყოფილებით გაიმეორა:

– ყველაფერი რიგზეა.

ლევანა ვერ მიხვდა, რა იყო რიგზე, მაგრამ რადგან ის ყოველნაირად ენდობოდა უფროს მეგობარს, არც აღარაფერი უკითხავს, ისე გამოაცილა სამივენი, თვითონ კი მისაღებ ოთახში დაბრუნდა და დივანზე მიწვა. იგი გრძობდა, რომ წრე ნელ-ნელა იკვებოდა და რომ მალე საბოლოო შედეგი დადგებოდა. თავად მიმდობსა და უბოროტოს, ყველა თავისნაირი ალალი და პატიოსანი ეგონა, თუმცა იმასაც ხვდებოდა, რომ მრავლად არიან ისეთებიც, რომლებიც თავიანთ ბედნიერებას სხვის ხარჯზე აგებენ. ის, რომ მისი საყვარელი ბიძის ცოლი გულში ქმრის მიმართ ავს რასმე იზრახავდა, ლევანას სჯეროდა და არც სჯეროდა კიდევ, რადგან ის ქალი შესახედავად სასიამოვნო იყო და მის მზერაში რაიმე სიბოროტეს ვერაფერ აღმოაჩენდა. მეორეს მხრივ, ისეთი გამოცდილი ადამიანის მიერ წარმოდგენილმა ამბებმა იგი თითქმის საპირისპიროში დაარწმუნა: ის, რომ ლევანას ბიცოლას უკვე ორი ქმარი მოჰკვდომოდა, თანაც ორივე ერთნაირად და ორივეს დიდი სიმდიდრე დარჩენოდა, რომელიც საბოლოოდ სწორედ მის ბიცოლას ჩაუვარდა ხელში – ნამდვილად ეჭვს ბადებდა და ლევანაც ამიტომ დაჰყვა ყოფილი გამომძიებლის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, რასაც, როგორც იგი ამბობდა, ლევანას ბიძის სიცოცხლე უნდა ეხსნა.

თავად ლევანა ვერ ხვდებოდა, რა უნდა გაეკეთებინა, თუმცა რაკი ისეთი გამოცდილი ადამიანი ზრუნავდა მის ბიძაზე, როგორც კარლი იყო, კარლი, რომელსაც თითქმის მთელი ოცდაათი წელი გამომძიებლად ემუშავა და არაერთი ჩახლართული საქმე გაეხსნა – მათ შესახებ იგი იშვიათად, მაგრამ მაინც უყვებოდა ხოლმე, – ამიტომ ლევანას გადაწყვეტილი ჰქონდა კარლის ყველა დაფლება – თუ იგი ასეთს მისცემდა – აუცილებლად შეესრულებინა.

სამი დღეც არ იქნებოდა გასული, რომ კარლიმ თავისი მანქანა ისევ ლევანას სახელოსნოსთან გააჩერა.

– ხომ არ მოიწყინე, შე კაცო, – შეეხმიანა იგი და ულვაშებზე ხელი ისე ჩამოისვა, თითქოს რაღაც სიცელქე აქვს ჩაფიქრებულიო, – ალბათ ფიქრობ, რას გადამეკიდა ეს კაციო? ა, ასეა ხომ?

– არა, კარლი ძია, როგორ გეკადრება, – მიუგო ლევანამ და დაბალი სკამი დაუდგა, დაჯექიო.

– აჰ, დასაჯდომად არ მცალია მე, – იუარა მან და შეთქმულივით ჩასწურწულა: – ის საქმე, ხომ იცი, რომელსაც გეუბნები, ჰო ის, ნელ-ნელა დასასრულისკენ მიდის, აბა! თანაც ისე, რაფერაც მე ვვარაუდობდი.

– შენ როგორ ვარაუდობდი, კარლი ძია?  
 – მაგას ვერ გეტყვი ჯერ, – კარლი ახლა კი ჩამოჯდა სკამზე, – შენ ის მითხარი, ზევ შენი ბიძის დაბადეს დღე ხომ არაა?

ლევანამ მხრები აიჩეჩა:

– აი მაგისი ნამდვილად არაფერი ვიცი, კარლი ძია. ბიძაჩემს მგონი არც არასდროს გადაუხდია დაბადების დღე.

– არ გადაუხდია, მარა ახლა გადგიხდის, – და მალევე დააზუსტა, – ცოლი გადაუხდის.

– ჰოო, რა მოგახსენო... მაგრამ რითაა ცუდი მერე ეგ ამბავი?

– ცუდი რატომაა, შე კაცო, დაბადების დღეს რა სჯობია, აი, მე მალე სამოცდაათი წელი შემისრულდება! ხომ მომილოცავ, ჩემო ლევან?

– რატომაც არა, კარლი ძია! საჩუქარსაც მოგართმევ, თუ დამპატივებ! – ცოტა არ იყოს, გაეჭილიკა ლევანა.

– საჩუქარი შენს ბიძას მიართვი! კი, აბა, ხელცარიელი ხომ არ მიხვალ! ახლა არ თქვა, არა მცალიაო!

– არ ვიცი, კარლი ძია, მე არავის მიუწვევია და ისე რომ მივადგე, დაუპატივებლად, უხერხული არ იქნება?

– რატომ, შე კაცო, რატომ იქნება უხერხული! საკუთარ ბიძასთან მიდიხარ მისალოცად, სხვასთან ხომ არა!

– ჰო, რა ვიცი, მე კი მგონია, რომ...

– არაფერიც არ გგონია! მიხვალ, მიულოცავ და როდესაც შენი ბიცოლა რაიმე კერძის შემოსატანად გავა, ან სასმელის დასამატებლად, მაშინ აუწყებ შენს ბიძას ერთ სასიხარულო ამბავს!

– რა ამბავს, კარლი ძია?

– მიყურე ახლა მე შენ, – კარლი ისე გადაიხარა ლევანასკენ, თითქოს საიდუმლო უნდა გაანდოსო: – ბიძაშენი მეტად გამოჩენილი ადამიანი ყოფილა თავის დროზე, ღირსეული, პატიოსანი... ხომ ასეა?

– კი, ეგ მართლა აგრე იყო, ყველა ასე იხსენიებს ჩემს ბიძას!

– კი, ვიცი ეგ მეც. ჰოდა, რაიონის ხელმძღვანელობას ჯილდოზე წარუდგენია შენი ბიძა და მთავრობასაც ორდენით დაუჯილდოებია! ახლახანს შევიტყე გამგეობაში და პირდაპირ შენსკენ გამოვეშურე!

– უჰ, ეგ რა კარი ამბავი მითხარი, კარლი ძია! ეგ მართლა გაუხარდება ბიძაჩემს!

– გაუხარდება, აბა რა! ჰოდა, მომიხმინე: ამას რომ იტყვი, ხარი მომეცი და გამგეობიდან წარმომადგენლები შემოვლენ, ისე რომ პირდაპირ დაბადების დღეზე გადასცემენ ორდენს! ა, როგორი იქნება? ხომ იქნება საჩუქარი?

– მართლაც, შესანიშნავი საჩუქარი იქნება!

– სიურპრიზი პირდაპირ!

– კი, ნამდვილად! მერე შენ სადღა იქნები, კარლი ძია?  
 – მეც შემოვალ, შე კაცო! რავა, გამომაგდებს ბიძაშენი?  
 – არა, რას ამბობ, კარლი ძია! პირიქით, ძალიან გაუხარდება ასეთი სასიამოვნო სტუმრებს რომ იხილავს!

და ცოტა ხნის შემდეგ გაახსენდა:

– კი მაგრამ, რაღა მაინც და მაინც მაშინ გინდა რომ შემოხვიდეთ, როცა ბიცოლაჩემი ოთახიდან გავა?

– იმიტომ, რომ როცა დაბრუნდება, თავის ქმრის მკერდზე პირდაპირ ორდენს დაინახავს! მეტი სიხარული რაღა იქნება!

– კარგი და თუ არ გავიდა?

– გავა, გავა! – ისე დანამდვილებით მიუგო კარლიმ, რომ ეტყობოდა ათასი პროცენტით იყო დარწმუნებული ყველაფერი ისე მოხდება, როგორც მე ვამბობო.

ჯერ შუადღე კარგად არ გადასულიყო, რომ საჩუქრით ხელდამშვენებული ლევანა ბიძის სახლს მიადგა, და რადგან კარი ღია იყო, გაბედულად შეაბიჯა სახლში.

სასტუმრო ოთახიდან ხმაური და ხორხოცი ისმოდა, რაც იმის დასტური იყო, რომ სტუმრები უკვე შენარხოშებულიყვნენ და შეხვედრის მორიდებულობა უკვე დაეძლიათ.

მაგიდასთან რვა-ცხრა კაცი და ხუთი-ექვსი ქალი იჯდა, თავში ტრადიციისამებრ თამადას დაეკავებინა ადგილი და როდესაც ლევანა დაინახა, ხელით ანიშნა აგერ თავისუფალ სკამზე მოთავსდიო, თავად კი მინის სურიდან ღვინო მაღალფეხიან, მუცლიან ბოკალში დაასხა და მორიგი სადღეგრძელოს სათქმელად მოემზადა.

მეორე ოთახიდან ბიცოლამ გამოიხედა და როდესაც ლევანა იცნო, ხელი დაუქნია:

– რა კარგია, რომ ბიძაშენის დაბადების დღე გახსოვს, ლევან! – ოდნავ საყვედურის კილოთი გამოსძახა და დასძინა: – დაჯექი და კარგად მოილხინე, შეხედე, როგორი კმაყოფილია ბიძაშენი!

ბიძა კი მართლაც კმაყოფილი ჩანდა: ლურჯხაზებიანი თეთრი პერანგი მცირედ გაეღელა, მაჯებიც გადაეკეცა და ოდნავ შესამშნევი მუცელიც უფრო გადმოჰკიდებოდა ქამარზე, თვალებიც უციმციმებდა და ღიმილს ვერ იკავებდა:

– ძმისწულს ვენაცვალე, – გადააკოცნა და ანიშნა დაჯექიო, – ვიცოდი რომ არ დაგავიწყდებოდი. ესენი ჩემი მეგობრები არიან, – ხელით ანიშნა სუფრასთან მსხდომებზე, – ხომ იცი, შინაურებში დროსტარებას არაფერი სჯობია. გული მტკივა, რომ მამაშენი ვერ მოესწრო ამ დღეს, თორემ ისიც ხომ აქ იქნებოდა...

– ძალიან კარგი კაცი იყო მამაშენი, – გამოეხმაურა ჭაღარა კაცი, რომლის პირდაპირაც აღმოჩნდა ლევანა, – კარგად ვიცნობდი. უპატიოსნესი კაცი იყო.

– ვისზე ამბობთ მაგას? გამაცანით ეს ახალგაზრდა, – შემობრუნდა ოდნავ გამხდარი, სათვლიანი კაცი, ლევანას

მარცხნივ რომ იჯდა და მანამდე გვერდით ქერა ქალს ესაუბრებოდა, – თქვენი სახელი?

– ლევანი, ბატონო, – თავაზიანად უპასუხა მანაც და ბიძას მიმართა, რომელიც არც თუ ისე შორს იჯდა: – გილოცავ, ბიძაჩემო, გულით მიხარია რომ ძველებურად ჯანმრთელი ხარ და დროსტარება შეგიძლია.

– ეჰ, სადღაა ჯანმრთელობა, ძმისწული, – ამოიოხრა ბიძამ, – ჩემს ასაკში გულიც აწუხებს კაცს, ღვიძლიც, ფილტვებიც... მოკლედ ყველაფერი, თუ კი რამ გააჩნია ადამიანს.

– არა, შენი ძმისწული მართალს ამბობს, – ახლა მას მიმართა სათვალეებიანმა კაცმა, – მშვენიერად გამოიყურები, მშვენიერად. შენზე ვერაუინ იტყვის სამოცდაათისააო.

– ის, რომ ჩვენი მასპინძელი ასე კარგად არის, პირველ რიგში, მისი ცოლის დამსახურებაა, – შეესიტყვა ჭადარით მოსილი კაცი, – მე მათი ხშირი სტუმარი ვარ და კარგად ვიცი, ქალბატონი ნაზიკო ყველა სურვილს უსრულებს თავის ქმარს. ასე არ არის, გოგია?

– კი, მართალს ამბობ, – დაეთანხმა მასპინძელი, ხოლო მის გვერდით მჯდარმა კარგად ჩასუქებულმა ქალმა, ორივე ხელზე რომ მსხვილი ოქროს სამაჯურები ეკეთა, სცადა კაცების საუბარში კორექტივები შეეტანა:

– ეს იმიტომ, რომ თავად ბატონი გოგი არის იდეალური ქმარი. დიახ, იდეალური!

შესაძლოა კამათი კიდევ გაგრძელებულიყო, რომ დიასახლისი მოგვძო სინით კარგად დაბრაწული გოჭი არ შემოეტანა და თამაღისთვის არ მიერთმია:

– მიირთვით, ბატონო ვახტანგ, მშვენივრადაა შემწვარი, – და თავად ქმრის გვერდით ცარიელ სკამზე დაიკავა ადგილი.

თამაღამ ჩამოართვა, მაგრამ რადგანაც კარგა ხანია სადღეგრძელოს თქმას აპირებდა, სინი იქვე დაღო და სასმელით საესე ჭიქა შემართა:

– ნება მიბოძეთ, მეგობრებო, შევსვა ჩვენი მასპინძლის მეუღლის, ოჯახის დიასახლისის, ქალბატონ ნაზიკოს სადღეგრძელო...

ამ დროს ლევანამ იგრძნო, რომ ჯიბეში მობილური ტელეფონი აწკრიალდა და რათა მისი საუბარი არავის გაეგო, ტელეფონი მჭიდროდ მიიტანა ყურთან, ხოლო პირზე კი ხელი მიიფარა.

– ყურადღებით იყავი, ლევან! – ჩაესმა ნაცნობი ხმა, – რაც გითხარი, არ დაგავიწყდეს! მე რაიმე საეჭვოს რომ შევამჩნევ, ზარს მოგცემ, შენ კი ყურადღებით ადევნე თვალი ყველაფერს და დაუყოვნებლოდ დამირეკე!

ლევანამ ტელეფონი გათიშა და ყურადღება ისევ თამაღას მიაპყრო. ის უკვე მიხვდა რას ნიშნავდა კარლის სიტყვები: საეჭვოს რომ შევამჩნევო. ამიტომ კიდევ უფრო დაიძაბა, მაგრამ იმისთვის, რომ მისი დაძაბულობა

არავის ეგრძნო, ჭიქაში ლიმონათი დაისხა, ერთბაშად გადაჰკრა და ყურადღება თამაღას მიაპყრო, მაგრამ მას უკვე მოეთავებინა სადღეგრძელო და დიასახლისის ახლა სათვალეებიანი კაცი მიმართავდა.

სადღეგრძელო რომ შემოთავდა, დიასახლისმა სტუმრებს მიმართა: ყავას ხომ არ ინებებთო, და რაკი ყველამ თანხმობა განაცხადა, წამოდგომა დააპირა. იქ მყოფმა ქალებმა დახმარება შესთავაზეს, მაგრამ მან არ ინდომა, თან კი ხმამაღლა წარმოთქვა:

– როგორც ყოველთვის, მე მინდა ჩემს მეუღლეს ჩემი ხელით მოვუდულო ყავა, მით უფრო, რომ ის დღეს იუბილარი ბრძანდება! თანაც მას ხომ ცივი ყავა უყვარს!

და სიყვარულით საესე თვალებით გადახედა მას.

ყველამ კმაყოფილებით შესძახა: დიასახლისიც ასეთი უნდაო, მხოლოდ ლევანას ვერ მოეცილებინა დაძაბულობა, ის კი არა, მოეჩვენა, რომ ქალის თვალეებში ცეცხლმა გაკვესა.

მანდილოსნები წამოიშალნენ და ყავის მოლოდინში მოშორებით მდგარ დივანზე მოთავსდნენ, მამაკაცებმა კი კერძო საუბრები გააბეს და თან შემწვარი გოჭის დაჭრასა და დაგემოვნებას მიჰყვეს ხელი. იუბილარი თამაღას ესაუბრებოდა, ლევანას გვერდით მჯდარი ერთი კაცი რაღაცას ხმადაბლა უხსნიდა მეორეს, ხოლო თავად ლევანა კარლის ზარს გასუსული ელოდა, თან გუნებაში ბიძისთვის სათქმელ სიტყვებს უყრიდა თავს, რათა მისთვის სახელმწიფო ჯილდოს მინიჭების ამბავი ეცნობებინა.

სწორედ ამ დროს მის ჯიბეში ტელეფონმა მცირედ გაიწკრიალა. ლევანი წამოდგა, შევსებული სასმისი ასწია და თამაღას ყურადღება სთხოვა.

– ბრძანეთ, ახალგაზრდავ, ბრძანეთ, – გადმოსძახა თამაღამ, – დღეს თქვენი ბიძის დღეა და ყველას გემართებს საუკეთესო სურვილები შევაგებოთ.

– ძვირფასო სუფრის წვერებო, – დაიწყო ლევანამ და რაკი მიხვდა ცოტა ხმა მიკანკალებსო, ყელის ჩაწმენდით სცადა თავი გაემხნეებინა, – მოგეხსენებათ რა დღეა ბიძაჩემის ღვაწლი ჩვენი საზოგადოების კეთილდღეობის მიღწევაში.

– მოგეხსენება, აბა რაა... – ლევანის წამქეზებლურად და გასათამაშებლად შემოაწიეს აქეთ-იქიდან.

– ... იგი მთელი ათწლეულები მუშაობდა ღირსეულად, თავდადებით, პატიოსნად, ერთგულად...

– სწორეა! მართალია!

– ამიტომაც რაიონის ხელმძღვანელობას გადაუწყვიტია ღირსეულად აღენიშნა მისი დამსახურება და ჯილდოზე წარუდგენია...

– ბიჭოს! აი ეს მესმის! კარგია!

– ... იგი დააჯილდოვეს ორდენით და რამდენიმე წამში ამ ჯილდოს გადასაცემად ხელისუფლების წარმომადგენლები აქ მობრძანდებიან...

ლევანამ ამ სიტყვებზე ჯიბეში ხელი ჩაიყო, დარეკვის დილაკი მოძებნა (თუმცა რა მოძებნა უნდოდაც – ტელეფონი ხუთი თითოვით იცოდა) და როგორც მერე იხსენებდა, მთელი ძალით დააჭირა.

– ვაშა! ძალიან, ძალიან კარგი! მოგვილოცავს, მოგვილოცავს!

ამასობასი ოთახში სამი კაცი შემოვიდა. პირველს, კოსტუმსა და ჰალსტუხში გამოწყობილს, ხელში გადაშლილი მოწმობა ეკავა, რომელიც ქვეყნის პრეზიდენტის მიერ მასპინძლისთვის ორდენის მინიჭებას ადასტურებდა, ხოლო მეორის ხელში სახურავახდილი კოლოფიდან ორდენი ბრჭყვიალებდა.

– მე დამავალეს ეს დამსახურებული ჯილდო გადაცემა იუბილარს, ბატონ გიორგის! – წარმოთქვა იმ კაცმა და მასპინძლისკენ გაემართა, რომელიც ბედნიერი სახით, გაღიმებული წამომდგარიყო და შუა ოთახში იყო გამოსული.

ლევანამ სტუმარი ვერ იცნო, ვერც მის მერე შემოსული, სამაგიეროდ მათს უკან მომავალს რომ შეხედა, მყის მიხვდა რომ ეს სცენა საკმაოდ მაღალ დონეზე იყო დადგმული და მისი რეჟისორი აი ეს მესამე კაცი გახლდათ, ყოფილი გამომძიებელი, რომელიც კარგი მსახიობივით ღიმილით შესცქეროდა სცენის მონაწილეებს. მაგრამ განსხვავება ის იყო, რომ თუ შემოსულებმა და მათთან ერთად ლევანამაც კარგად იცოდა, რომ ეს ყოველივე სპექტაკლი იყო, რომლის ფინალიც მათთვის უკვე ცნობილი იყო, სამაგიეროდ არც მაგიდის წვერებმა და არც თვით იუბილარმა არ იცოდა რა ხდებოდა და მის თავს რა საშინელება ტრიალებდა.

– მადლობა, ჩემო მეგობრებო, თქვენც და იმათაც, ვინც ასე დააფასეს ჩემი მოკრძალებული მოღვაწეობა! – წარმოთქვა გიორგიმ და ორდენს, რომელიც უკვე მის მკერდზე ციალებდა, ხელი გადაუსვა.

ამ დროს დიასახლისიც გამოჩნდა, რომელსაც ორივე ხელში ვერცხლის სინი ეკავა, სინზე კი ლამაზი ფაიფურის ერთადერთი ფინჯანი იდგა, რომელშიც ოდნავ ქაფმოკიდებული ყავა მოჩანდა.

ნაზიკომ გაკვირვებით შეხედა უცხო სტუმრებს, მერე ქმრის მკერდზე აციალებულ ორდენს, მაგრამ შეცბუნება არ შეიმჩნია, მისალმების ნიშნად თავი ნაზად, სულ ოდნავ შესამჩნევად დახარა და ქმრისკენ გაემართა.

– მიირთვი, ჩემო ძვირფასო, – ვიდრე მიუახლოვდებოდა, წარმოთქვა მან.

მოულოდნელად კარლი წინ გაიჭრა და სინიდან ფინჯანი აიტაცა, ხოლო ორმა სტუმარმა ელვის სისწრაფით ქალს გაწვილ ხელებზე ბორკილები დაადო.

ყველა გაქვავდა, თვალები შუბლზე აუვიდათ და სტუმრებსაც და ერთმანეთსაც განცვიფრებულნი შეჰყურებდნენ. ხმას ვერაფერ იღებდა, ის კი არა, განძრევასაც კი ვერ

ბედავდნენ და ლამის იყო სუნთქვა ისე შეკვროდათ, რომ გაგულულიყვნენ კიდევ. სრულ სიჩუმეში კარგად ისმოდა როგორ შრიალებდნენ ფინჯანის შორიახლოს მდგარი ტანმალალი ალვის ხის ფოთლები ნიავის მსუბუქ დაქროლვაზე.

კარლიმ ცივი, ქაფიანი ყავით საუსე ფინჯანი ზემოთ ასწია და დაბალი, მაგრამ თითქმის ოფიციალური ხმით ხელებზე ბორკილდადებულ დიასახლისს მიმართა:

– ქალბატონო დიოქსორე პაპიაშვილო, თქვენ ბრალი გედებათ შხამიანი ნივთიერებით მეუღლის მოწამვლის მცდელობაში, რაც სისხლის სამართლის კოდექსის მუხლის ნაწილით ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ... დანაშაულის სიმძიმიდან გამომდინარე, თქვენ დაპატიმრებული ხართ.

– ვინ... ვინ დაპატიმრებს... რისთვის... ეს რას ნიშნავს?

– ამოღერდა გაფითრებულმა ქალმა და სასოწარკვეთილმა საშველად თავის ქმარს გადახედა, მაგრამ ის იქით იყო მოსასულიერებელი, და გაშტერებული, უაზროდ იყურებოდა.

მაგიდასთან მსხდომნი გონს მოეგნენ და ნელ-ნელა ახმაურდნენ, მაგრამ გაოგნება იმდენად დიდი იყო, რომ გამოკვეთილად ვერაფერ ვერაფერს ამბობდა.

ისევე დიასახლისმა მოიკრიბა ღონე და ბორკილდადებული ხელები გაასავსავა:

– თქვენ ისეთ საშინელ ბრალსა მდებთ, რაც მე არასოდეს მომსვლია აზრად, მგონია რაღაც ძალზე ცუდი ხუმრობაა...

– არასოდეს მოგსვლიათ აზრად? ახლავე ვნახავთ, მოგსვლიათ თუ არა, – გაიმეორა კარლიმ და ერთ-ერთ მაგიდასთან მჯდომ ქალს მიმართა: – ძალიან გთხოვთ მოძებნოთ და მომიტანოთ ჩაის საწური, ძალზე წვრილი თვლებით, ან სამედიცნო დოლბანდი და მე გაჩვენებთ, როგორ სურდა ამ ქალბატონს თავისი მეუღლის მოწამვლა.

ის ქალი, ვისაც მიმართეს, თავისდაუნებურად დაემორჩილა ამ თხოვნას, რომელიც ამ სიტუაციაში ბრძანების ტოლფასი იყო და მაგიდიდან წამოდგა, ხოლო დანარჩენები ისევე გაჩუმდნენ და კარლის მიაჩერდნენ.

დიასახლისი ახლა კი უღონოდ ჩაიკეცა იმ სკამზე, რომელიც კარლისთან ერთად შემოსულმა ერთ-ერთმა სტუმარმა დროულად მოუძარჯვა. გიორგი მხოლოდ ახლა მოვიდა გონს და მიხვდა, რა ამბავიც ტრიალებდა მის თავს:

– ნაზიკო, ნუთუ ეს მართალია?

ქალი ხმას არ იღებდა და გაყინული თვალებით ერთ ადგილს იყო მიშტერებული.

ამ დროს სამზარეულოში წელან გასული ქალიც დაბრუნდა და უუხანგავი მავთულის წვრილი ბადე, ჩაის გადასაწურად რომ იხმარება, კარლის გაუწოდა.

– აი ახლა ჩვენ ყავას ამ ბადეში გავატარებთ, – თქვა მან, – და თქვენ დაინახავთ ძალიან, ძალიან პატარა კაფსულას, რომელშიც სწორედ ის საწამლაგია მოთავსებული,

ამ ქალბატონს თავისი მეუღლისთვის რომ უნდა დაეღე- ვინებიანა.

მან ბადე ცარიელი, მოზრდილი ჭიქის თავზე დაიკავა და მასპინძლისთვის მისართმევედ გამზადებული სითხე შიგ ფრთხილად ჩაასხა.

მართლაც, ნახევარი წუთის შემდეგ მთელმა ყავამ შიგ გაიარა და მავთულბადის ზედაპირზე პაწია თეთრი ბურ- თულა დარჩა.

– აი, ეს გახლავთ ის კაფსულა, რომელშიც მომწამ- ვლელი ნივთიერებაა მოთავსებული, – თითქმის სახეიმო კილოთი წარმოთქვა კარლიმ, – ეს რომ ჩვენს იუბილარს გადაეყლაპა, იმ წამს ვერაფერს გაიგებდა, რადგან ამას არც გემო აქვს და არც სუნი, ვერც იგრძნობდა, ათი სა- თის შემდეგ კი საშინელი ტკივილი დაეწყებოდა, ხოლო ორი დღის შემდეგ სულს დაღევდა, თანაც ისე, რომ ვერ- ავინ მიხვდებოდა რამ გამოიწვია სიკვდილი. ახლა რაღას იტყვით, ქალბატონო ნაზიკო, აღიარებთ დანაშაულს? მე კი იმას დავამატებ, ჩემო მეგობრებო, რომ ჩვენს დიასახ- ლისს კიდევ ერთი ასეთი კაფსულა აქვს შენახული თავის სამზარეულოში. თუ არ გეჩქარებათ და მცირედით დაყოფ- ნებით, მე შემიძლია ის მეორე კაფსულაც წარმოგიდგინოთ. სიცოცხლის გამოსალმების ამგვარი საშუალებები დღეს არც თუ ძნელი საშოვნელია, მთავარია ხელი მიგიწვდე-

ბოდეს ისეთ ვინმესთან, ვინც ამგვარ რამეებს განაგებს. რუსულად მას „ნოვიჩოკს“ ეძახიან, რადგან კალიუმის ციანიდისა და სხვა შხამებთან შედარებით ეს შედარებით ახალია და ორგანიზმის შემოწმებისას მას ლეტექტორები ვერ აღიქვამენ.

– საიდან შეეძლო ქალბატონ ნაზიკოს მისი შონა, ის ხომ ალბათ ძალზე საიდუმლო ვითარებაში ინახება? – დაინტერესდა სათვალთან კაცი.

კარლის გაელიმა:

– ის, რომ „ნოვიჩოკები“ ძალზე საიდუმლო იარაღია ამა თუ იმ სახელმწიფოს ხელში – ეს მართალია, ხოლო თუ საიდან შეეძლო ქალბატონმა ნაზიკომ მისი მოპოვება – ეს მას უნდა ჰკითხოთ. ალბათ სასამართლო გაარკვევს, თუ დაინტერესდება.

ორმა სტუმარმა მხოლოდ ახლა წარმოადგინეს შინა- გან საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემული მოწმობები, რომლებიც მათ პოლიციაში მუშაობას ადასტურებდა და ხელეშეკრული დიასახლისის გაიყვანეს, ხოლო კარლი გავიდა, მეორე კაფსულა გამოიტანა, მერე ჯიბიდან პლას- ტმასის პატარა, გამჭვირვალე კოლოფი ამოიღო, ორივე შიგ ფრთხილად მოათავსა და იქ მყოფთ თვალი მოავლო:

– ყველაფერი რიგზეა!

### შოთა ჯიჯია

\* \* \*

რა სევდიანად ღამდება დღესაც,  
როგორც ოქტომბრის რიცხვებს შეშვენის,  
მთვარე შავ ღრუბლებს საბნებად კეცავს,  
შენ ალბათ ადგამ ჩაის ჟენშენის.

ყურსასმენებში უსმენ „scorpions“-ს  
შორს კი უკრავენ ბახს და ვივალდის,  
აქ ჩვენს ცხოვრებას უნდა სქოლიო  
სამარადისო ბოლო ძილამდი.

ვგავართ გადამფრენ ცაზე ფრინველებს  
(თავის საქმეებს მაინც იხამს დრო),  
შენი ფრთების ქვეშ ჩემი სისველით  
უნდა შემოვძვრე, გამოვიზამთრო.



სანამ შენს თვალთა სიღრმეში ვცურავ,  
სანამ ქალღმერთის ხატად მეშლები,  
მთვარე შავ საბნებს ღრუბლებად წურავს  
და შენც აღუღებ ჩაის ჟენშენის.

ომის სევდა

\* \* \*

თუ დავბრუნდები ომიდან მარტო,  
დანაღმულ ველებს გამოუყვები,  
გავიხდი ჩექმებს, რიგითის პალტოს  
და შვილებს ომზე არ მოუყვები.

გრძნობები არასდროს იცვლებიან,  
სახლები იცვლიან სახურავეს,  
თარსი და უგვანო რიცხვებია,  
დღეებს უშენობით ვახურდავებ.

არ მოუყვები, როგორ ვიყიდეთ  
სისხლით მშვიდობა. ვხვრეტლით ჩახმახებს,  
ზურგზე ცხედრები გადავიკიდეთ  
და ოცნებებთან ერთად დაემარხეთ.

ბოლო დროს მოვგაგარ კაპელდინერს,  
სიმშვიდეს ამყარებს შენი სახე,  
ადგილებს ვერაფრით გავერიდე,  
სადაც გიპოვე და შეგინახე?

არ გავიხსენებ სანგრებს, პალატებს,  
სადაც სიცოცხლე ორჯერ გვაჩუქეს  
და როცა სევდა გვალაპარაკებს,  
ისევ იგოვე სევდა გვაჩუმებს.

მშვიდი კაფეები, თეატრები,  
უწინ ჩემს ლექსებზე განათხოვარს  
როგორ დავიჯერო გენატრები,  
როგორ დავიჯერო არ გახსოვარ...

ისევ იგოვე სიზმრები გვაკრთობს,  
ისევ იგოვე ტყვიებს გვესვრიან,  
ჩვენთან ჭურვები ფეთქდება ახლოს,  
შორს კი გმინავენ, შორს კი კვნესიან.

ახლა ამ ლექსებში ნაშიშველები  
გრძნობა უნდა იყოს ანტილოტი.  
როგორ ვიფიქრებდი გამიშვებდი,  
როგორ ვიფიქრებდი წახვიდოდი...

ან რა ფასი აქვს ჩინსა და მედლებს  
თუკი ზედ ძმათა სისხლი აცხია?!  
შეხედე ტაძრის გაძარცვულ კედლებს.  
ყველა შედეგი ომში მარცხია.

\* \* \*

\* \* \*

ღამე-თბილისი-ენკენისთვე-წვიმა-ქაოსი,  
ეფემ ას შვიდზე სიყრუეა... თიშავ რადიოს.  
წესით ღიაა კარი ყველა სასაფლაოსი,  
მაგრამ ჩვენ ლექსში დაგვამრხავენ სამარადისოდ.

ჩემი ქვეყანა მგლებმა დაგლიჯეს,  
არაფერს ვამბობ მგლისფერ ტურაზე,  
ჯერ ხომ სახეზე გადაგვაბიჯეს,  
მერე და-ძმები გაყვეს შუაზე.

სანამ გადის დრო ვემსგავსებით ჭკუის კოლოფებს,  
გამოგვეკეტავენ გაზეთებში მცირე ტირაჟით.  
მკითხველი იქაც გვეყოლება ნულის ტოლობის,  
გამოვალთ ასე თვეში ოთხჯერ, ერთხელ კვირაში.

ვიბრძოდით ქვეყნის ოთხივე კიდეც,  
ვნახეთ ომები, ვნახეთ ტყვიები,  
ნუთუ, აქამდე ტყუილად ვზიდეთ  
ნამეჩეთარი ეკლესიები?!

ვინ რაში გაგვცვლის, ღმერთმა იცის, ჩვენში რა ყრია.  
ყრია კუთხესთან „კონვერსები“ სამაგიეროდ,  
ჩემი კალამიც დაწერს ერთხელ რამე აზრიანს,  
გადაეჩვენა ჩემი სახეც გავდეს პიეროს.

სადაც მერცხლები სახლობდნენ ადრე,  
ახლა ყვაუების სამოსახლოა,  
აქ იუდეები გმირები გახდნენ  
და გარე მტერიც უფრო ახლოა.

ღამე-თბილისი-ენკენისთვე-წვიმა-ქაოსი,  
ეფემ ას შვიდზე სიყრუეა... თიშავ რადიოს.  
წესით ღიაა კარი ყველა სასაფლაოსი,  
მაგრამ ჩვენ ლექსში დაგვამრხავენ სამარადისოდ.

სახლ-კარს კედლები დაგვიზიანდა,  
სახნაუ-სათესზე ვხედავ ხვიარებს,  
სიცოცხლე მოდის როგორ გვიან და  
სიკვდილი როგორ არ იგვიანებს.



### მარიამ ტოხიშვილი

#### საფლევრძელო

ღვთისმშობლის წილხვედრს დაულოცავ,  
 ქართულ მიწას და წყალს!  
 მტრისაგან ბევრჯერ დანგრეულს,  
 მაინც ამაყად მდგარს!  
 ქართულ ვენახს და ველ-მინდვრებს,  
 მშობელ მთასა და ბარს  
 და მთიდან შირაქს ჩამოსულ  
 ამ ჩვენს ქედების ხალხს!  
 გმირთა საფლავებს დაულოცავ,  
 პაატას მოჭრილ თავს,  
 სვეტიცხოველის მშენებელს,  
 იმ არსაკიძის მკლავს!  
 ომში მტრის ძვლებზე აღესილ  
 ვოჟა-ჯურხაის ხმალს,  
 სამას არაგველს დაულოცავ,  
 მათი ფარ-ხმალის ხმას!  
 ხერხეულიძეთ გმირობას,  
 იმ ცხრავე ვაჟკაც ძმას,  
 ჩვენთვის წართმეულ აფხაზეთს  
 და იქ დარჩენილ ხალხს!  
 ქართველ ჯარისკაცს დაულოცავ,  
 სამშობლოს მცველად მდგარს,  
 მოძაველს, იმედს ზვალისას  
 და ჩვენი ქვეყნის ხსნას!  
 გმირების დედებს დაულოცავ,  
 მათ შვილთ საფლავთა ქვას,  
 ცხოვრების საწყისს დაულოცავ,  
 ჩვილის აკვანთან მჯდარს!  
 ლამაზ ქალობის ეტალონს,

მის „იანანას“ ხმას,  
 ალგეთს კვლავ მგლის ლეკვთ გამზრდელსა,  
 ქართველ დედას და ქალს!

#### ჩემო მამულო

ჩემო მამულო, მიწავ ზღაპრულო;  
 მტერთაგან დახრულო, მრავალჭირნახულო;  
 ჯვარზე გაკრულო, უფლის წილნახულო;  
 ოფლით ნარწყავო, გმირთ სისხლდასხმულო...  
 ენავ, ქართულო, ღვთის მადლნაპკურო;  
 არ დაკარგულო, სათუთად ნახულო;  
 ო, ერო ჩემო, მუდამ ჩაგრულო;  
 ძმათგან დაჭრილო, ხალხით ნაკლულო...  
 გმირების ძვლებო, მიწას დაფლულო;  
 ქართლის დედაო, შვილთ ჭირნახულო;  
 ამაყად მდგარო, თუმცა ტანჯულო;  
 ტაძარნო ჩვენო, ცად აღმართულნო...  
 წიქარავ ჩემო, გუთანს შებმულო  
 და გუთნის დედავ, ყველგან ქებულო;  
 ვაზო ქართულო, მსგავს არ ნახულო;  
 ჯვარად შეკრულო, მირონ დასხმულო...  
 ჩემო ჩონგურო, ლხინში დაკრულო;  
 შენ, ჰანგო ჩვენო, ყველგან განთქმულო;  
 კოსმოსს გზავნილო ქართულ-„ჩაკრულო“;  
 ქართულო ჩონავ, ვაჟკაცთ ჩაცმულო  
 და შენ, დევ-გმირო, აბჯარასხმულო;  
 ქართველო ქალო, დაღალდაწულო;  
 ქალის მანდილო, წმინდად დაცულო...  
 ჩემო სამშობლოვ, დედულ-მამულო,  
 მინდა ლურჯი ცა ქუდად დაგხურო!  
 ღრუბლების ნაცვლად მზემ რომ დაგყუროს,  
 უფალმა მაღლით მირონ გააკუროს!

#### მკვდარი პოეტების საზოგადოება

თითქოს ვერ შთანთქა ამ ცხოვრების ვერც ერთმა მახემ  
 (შავი ღრუბელი ნისლს და წვიმას იუწყებოდა)  
 და ფრენის ჟინი უცაბედად გამანდო ბაგემ –  
 გალაკტიონი ძველ შენობებს მიუყვებოდა...  
 მთები წერილებს ბარში ობლად ჩარჩენილს სწერდნენ  
 (კონვერტს ატანდნენ არა-გვიან შეხვედრის მბორგავის)...  
 უძლეური ხელით ექიმები ბალახებს გლეჯდნენ,  
 ყვავილთა სულელებს თან მიჰყავდათ ლანდი მგოსანის...  
 ფიქრთ გასართველად სვედიანი დინებას გასცქერს  
 იქვე, მტკვრის პირას, მხედრის ლანდი მერანს რომ უძღვის;  
 წუთი-სოფლობის რაობა და არობა აბნევს,  
 ნუთუ, ქაოსში ცოდვა-ბრალი მასაც მიუძღვის?!  
 აქეთ ენატკბილ ჭაბუკს უძგერს გული მხნეობით  
 (ეგებ, პოემით განაცვიფროს ქალი – მზის დარი)!  
 თავი ვერ მოაქვს ვეფხვისა და ლომის მძლეობით...



მაშ, იმ კალამმა გაუნათოს ბნელი ცისკარი!  
 თბილისის ქუჩებს მწუხრი დასცქერს, როგორც მზის შვილებს!  
 იქით მთაწმინდას განთიადის მაცნე აეჭვებს –  
 საყვარლის საფლავს ხან მიწაზე, ხანაც ცის კიდეს  
 აღმართ-დაღმართით შავი ლანდი რატომ დაეძებს?!  
 თუმც ხალხისაგან სანაცვალლო იმ სიყვარულის  
 აროდეს წამლად, სანუგეშოდ წინ არ ზვდებოდათ...

ილიას ეტლი იკაფავდა გზას წინამურის,  
 მაგრამ რატომღაც ცხენებს უკან ფეხი რჩებოდათ...  
 თვალებს დახუჭავ, წარმოიდგენ გარდასულ წამებს...  
 მაშინ, როდესაც მათი მხერა ვერ გიცნობს სამტროდ,  
 ცოცხალთა ლანდი ეშაფოტზე მოიკრებს ძალებს!  
 ვის არ შეხვდები თბილის ქალაქს მავალი მარტოდ...

## თორნიკე ხანდელაი

### მომავალი წიგნიდან „ქარების სახლი“

#### ხიდზე

ახლა, როდესაც ამ წერილს გიწერ,  
 ღამეა, ირგვლივ არაფერ არის,  
 ვდგავარ ჩვენს ნაცნობ საოცარ ხიდზე  
 ნათლის ქვეშ ახალ ამოსულ მთვარის.  
 თითქოს ომიდან მე დაგიბრუნდი,  
 ისევ წრეში ვარ სახემდომართა,  
 დაფრთხა და გაქრა ყველა ბინდ-ბუნდი,  
 როცა ეს ხიდი აქ აღიმართა.  
 რაღაც დაკარგულს ვიბრუნებ უკან,  
 დიდი ხანია რასაც თვალები  
 არ შეხვედრიან და თითქოს რუკა  
 მე მაწვალებდა გაფერმკრთალებით.  
 შეხე, რამდენი სანთელი ჩაქრა!  
 ვინ გადაურჩა სულის ობლობას?  
 მე ახლობელი ბევრი მყავს, მაგრამ,  
 ეს უნდა მხოლოდ ჩვენს ახლობლობას?  
 სულში რა ხდება მხოლოდ შენ განდობ,  
 მე შენთან ვხარობ თავისუფლებით,  
 არ გეკრძალება ერთი შენ მარტო  
 მიგლოვო, თუკი დავიღუპები.  
 ჯოჯოხეთში ვარ, თუ ვერ გიგონებ  
 და უფრო ბნელში ბილიკებს მივსდევ,  
 და რადგან ვგზავნი შენკენ სტრიქონებს,  
 ეს იმას ნიშნავს, ახლოს ხარ ისევ.  
 არ დამემდურო, გიცქერენ სადაც  
 ღალატით, ღვარძლით, დაცინვით, შურით,  
 იქ გულგრილობა მშვიდი და სადა  
 მოგერეოდა შენც უნებური.  
 როდემდე უნდა ენთოს სანთელი?  
 როდემდე უნდა სტანჯონ ქარებმა?  
 როდემდე უნდა მან წინანდელი  
 გადაივიწყოს გულმწყურვალება?



მე ვერ ვიკავებ ვერასდროს ღიმილს,  
 როდესაც ვხედავ რა ფიქრით სდუმან,  
 რაც მოსვლას ითხოვს ათასი წვიმის,  
 შენ მას, ძვირფასო, მიხვდები უმაღ.  
 თუ მიკავია მერნის სადავე,  
 თუ რამე ცეცხლი ჩემში ღვთიურობს,  
 ნეტავ, ვიცოდე შენთვის რაღა ვარ  
 ასეთი უცხო, გზავ, მშობლიურო!  
 მე მახსოვს სითბო შენი თითების,  
 როცა ყველასთვის უცხო ვიყავი,  
 ძირს დაცვენილი მარგალიტები  
 და მოსროლილი სადღაც ნიღაბი.  
 ყველა თასს დავცლი მე წმინდად, გწამდეს!  
 ჩემი ტკივილიც მოიძევეს საფლავს  
 და ყველაფერი დასასრულამდე  
 მივა, რაც ახლა მტანჯავს და მზაფრავს.  
 არაფერია, ჩემო ძვირფასო,  
 ბევრჯერ დაღვრილა ცრემლები ცხელი,  
 ბევრი წარწერა ვნახე კირბაზე,  
 მაგრამ ჯერ კიდევ გული მაქვს მთელი  
 და ახლა, როცა ამ წერილს გიწერ,  
 ვისმენ სიხარულს შორეულ ჰერის,  
 კვლავ ჩვენს საოცარ ამოვედ ხიდზე  
 და ქარს უხილავს ვატან ამ წერილს.

## ვიტალიანო ბრანჯატი

### შხაპი

1935 წელს, ჯუზეპე განდოლო, მიუხედავად იმისა, რომ ექიმი ბიძის ბნელ და ღარიბულ სახლში ცხოვრობდა, მთელ კატანიაში ყველაზე სუფთა და მოწესრიგებულ ადამიანად ითვლებოდა. ის შხაპს ყოველ დილას იღებდა, დღეში – ორჯერაც, თან შუა საძინებელში და კიდევ კარგი – დიდ თასში, თუმცა სახლს მაინც ტბორავდა, ისე, რომ წყალი ექიმის სამუშაო კაბინეტამდეც კი აღწევდა, რის დანახვაც თეთრ ხალათში ჩაცმული, მაგიდასთან მჯდომი ბიძია ბუტბუტებდა ხოლმე:

– მთლად გაგიჟდა ეს, აავსო სახლი წყლით!

1940 წელს ჯუზეპე განდოლო საცხოვრებლად ტოსკანაში გადავიდა, მაგრამ იქიდან 1943 წელს დაბრუნდა. თითქოს გამოიქცაო, ხან ცხოველების გადმოსაყვანი მანქანით იმგზავრა, ხან ფეხით იარა, ხან – რა და ხან – რა, და ბოლოს, სახლში რომ შევიდა, პირდაპირ საწოლ ოთახში იმ ვირივით შევარდა, ახალი პატრონის ხელში, ცემის ასაცილებლად, ბაწარს რომ იწყვეტს და ძველ სადგომს სირბილით უბრუნდება.

მთელი დღის უჭმელი და დაღლილი ბიძია სადამოს სახლში რომ დაბრუნდა, ძმისშვილი ვერ იცნო. საწოლში ქურდი შემძვრალაო, გაიფიქრა და ჯოხი დასცხო, მაგრამ რომ მიხვდა, ვინც იყო, სინანულმა შეიპყრო და იტირა. მალე ცრემლები სიხარულში გადაეხარდა და ყმაწვილის ნახვით ბედნიერი შეიქნა, თუმცა მაინც უთხრა:

– იცოდე, შხაპს დღეში ორჯერ ვედარ მიიღებ, შეუძლებელი იქნება! დამლაგებელი ქალი აღარ მოდის – გამდიდრდა, მილიონერი გახდა, მეორე სართულზე ბინა გაქურდა, როცა მისი პატრონი სოფელში იყო წასული.

– არა აქვს მნიშვნელობა, ჩემო ბიძია, არ მაინტერესებს! – მინავლებული ხმით უპასუხა ჯუზეპემ.

– არ გაინტერესებს ჯერჯერობით, მაგრამ მერე ხომ უნდა დაიბანო?! და დღეში ორჯერ კი არა, კვირაში სამჯერაც! სადინარს აივანთან გავხვრეტო და წყალი გარეთ დაიქცევა. ქვევით მაღაზია მაინც დაკეტილია. მისი პატრონი სკამებს აღარ ამზადებს – გამდიდრდა ისიც, მილიონერი გახდა. წინა სახლი გაქურდა და თვითონ საცხოვრებლად ერთ დიდ ვილაში გადავიდა.

ნახვრეტი გააკეთეს, თუმცა წყალი იქიდან არასოდეს გასულა.

– რატომ აღარ იღებ შხაპს? – ჰკითხა ერთხელ ბიძიამ ჯუზეპეს. – ისე, არ გაგემტყუნება, ამ ოთახში ძალიან უბერავს, მინებია გამოსაცვლელი, მაგრამ ჩვენ თუ გავაკეთებთ, თორემ ხელოსანი, მიწაზე სახითაც რომ იხონო, მაინც არ მოვა – გამდიდრდა, მილიონერი გახდა, საწყობები გაქურდა. არა უშავს, თბილი ამინდები დაიწყება მალე და ტემპერატურაც მოიმატებს.

მაგრამ არც აპრილის დასაწყისში, როცა მზე აივნის



მოაჯირებს აღნობდა, არც მაისის ბოლოს და არც შუა ივნისში, როცა ყველაფერი ყვაოდა, ჯუზეპეს შხაპი არ მიუღია. ის ლოგინში საღამომდე იწვა, აჩქილი თმებით ბალიშზე და ზეწრებში ცხვირჩამალული, მხოლოდ შემინებული თვალები უჩანდა გარეთ, შემინებული კურდღელივით აქეთ-იქით რომ აცეცებდა. ტანზე მიკრულ ზეწარს მისი გულის ფეთქვა ეტყობოდა.

გარეთ იშვიათად გადიოდა და მაშინაც ხალხმრავალ ჯგუფებთან ერთად უწევდა ყოფნა, რადგან ქალაქგარეთ სასეირნოდ გასვლის თავი აღარ ჰქონდა, რომ განცალკევებით ყოფილიყო, აღარც ცარიელ ქუჩებს ეძებდა უკვე; მაგრამ მოწვევებზე უარს მაინც ვერ ამბობდა და წვეულებებში მონაწილეობას იძულებით იღებდა; ქალბატონებს თავზიანად ექცეოდა, გალანტურად, სასიამოვნოდ, რაც მისთვის ჩვეულ ქმედებას წარმოადგენდა, მაგრამ უჩვეულო და ცუდი ის ჰქონდა, რომ ძალიან ბინძური იყო. გაწმენდილი პიჯაკისა და გარეცხილი პერანგის ქვეშ ჭუჭყით სიამოვნებას განიცდიდა. ფეხები ისეთი ბინძური ჰქონდა, რომ ქალისთვის კომპლიმენტის თქმას მასში სირცხვილი და გაფითრება უნდა გამოეწვია ნამდვილად, მაგრამ ცხოვრებას მაინც ასე მიჰყვებოდა, ამაოდ და ურეაქციოდ. სეირნობა, ხელის ჩამორთმევა, საუბარი, პიანისტებისა და ვიოლინისტების შექება, ხვალის გეგმები... – ყველაფერს, რასაც ასრულებდა, მექანიკურად გამოსდიოდა, რადგან მისი სული და ყურადღება მხოლოდ სიბინძურის საიდუმლოში იყო ჩაფლული, იმის ცოდნაში, რომ კანი მთლად ლაქებით, მუწუკებით, ქერცლითა და ოფლით ჰქონდა დაფარული და ეს ადამიანი, 1935 წელს ყველაზე ელეგანტურ მამაკაცად რომ ითვლებოდა, ჭუჭყში, სიბინძურეში პოულობდა სწორედ შვებას, რაც მხოლოდ ღმერთმა და მან იცოდა, მეტმა არავინ.

ფლისის დასაწყისში გარეთ მხოლოდ ორჯერ გავიდა,

ისიც მაშინ, როცა ჰაერში გვალვა იგრძნობოდა და სიცხე უსასრულო ოფლიანობას იწვევდა. საძინებელ ოთახში ბაღლინჯოები გაუჩნდნენ. პირველად მან ეს ერთ კვირა დღეს აღმოაჩინა, როცა ზეწრის შუა ნაწილზე ბაღლინჯო გაუნძრევლად დამჯდარი დაინახა, თვალის კაკალით მას რომ მიშტერებოდა. მეორე დამეს სახეზე ოფლი შეიგრძნო, მაგრამ ხელი რომ მოისვა, მკეროვ ნაწილაკებს წააწყდა, რომლებმაც მერე ჭიანჭველები დაუწყეს ლოყაზე სვლა; ნათურა ანთო და საწოლზე შავი, წვრილი, მოსიარულე წერტილები დაინახა, რომლებიც შუქის გამო, თითქოს სიცოცხლე შეიკავესო, მაშინვე გაჩერდნენ. მათი რიგები რამდენიმე ადგილას იყო გავლებული და ლურსმნის თავებით ჩანდა.

ჯუხუბემ ნათურა ჩააქრო და თვალები დახუჭა. შიში იმისა, რომ ამ საშინელების ნახვის შემდეგ ვეღარ დაიძინებდა, უსაფუძვლო გამოდგა. მეტიც, დამე მარადიული და დიდებული ეჩვენა, რადგან შუბლზე იმ მწერების ნაბიჯ-ნაბიჯ სვლა იგრძნო, სიზმარსა და ფიქრებს ასე მოხერხებულად რომ აცლიდა და ძილს უფრო მყარს, მძიმესა და მიწისქვეშას უხდიდა. გვიან დილით სინათლე ისევ ანთო და საკუთარი სისხლის წვეთები დაინახა, ლოგინის კიდზე, სადმე შესაგროვებლად შავად რომ მიედინებოდა. სისხლის წვეთები ჭერამდე ასულიც შენიშნა, რომლებიც თეთრი საღებავის ფერში, ერთმანეთის მიყოლებით თანდათან იკარგებოდა. „ოო“, – დააპირა წამოძახება, მაგრამ ტუჩებზე ხელი მაშინვე აიფარა; თითქმის წყლის, საპნის, სინათლის, სიყვარულის, ბედნიერების, პირადობისა და ღირსების მოთხოვნილების სურვილი გაუჩნდა, მაგრამ ერთ წუთში სახეზე ისევ იმ მწარე ღიმილმა გადაუარა, თვალი ისევ შეუტოკდა და შეშინებულმა სულმა, კანის ფორების გავლით უზარმაზარ სიბინძურეს რომ უგზავნიდა, დაპირისპირების ძებნა ისევ მოუთმენლად დაუწყო.

ბაღლინჯოებში დაძინებასაც მიეჩვია. სიბნელეში თვალდახუჭული წარმოიდგენდა, თუ როგორ იშლებოდნენ და იკვრებოდნენ ისინი, გრძელ რიგებად როგორ მწკრივდებოდნენ და ხალიჩებად ეფინებოდნენ. ზოგჯერ ჭერიდანაც ვარდებოდნენ და მასზე ფურთხივით ეცემოდნენ. ზოგი ზეწარზე გადადიოდა და შორიდან უყურებდა. კაცი თავს სასურველად გრძნობდა, დაყნოსილად, ლტოლვის მიზნად, რაც სისხლს უდევლებდა და უფორიატებდა. ზოგჯერ, როცა ნათურას უხეშად ანთებდა, ეჩვენებოდა, თითქოს ზეწარზე კანალიზაციიდან ამოსული, დანაკუწებული თავის ნაწილები აქეთ-იქით იყო მიმოფანტული და იმ წერტილების სიდიდეს, კანზე რომ დაუდიოდნენ, მომატებულს ხედავდა, თითქოს ბაღლინჯოებს სამზარეულოდან გამოსული ტარაკებიც შეერთებულიყვნენ.

ერთ საღამოს სახლში გვიან დაბრუნდა, რადგან იმ ათასობით მომლოდინე მწერში შესფოთება და განაწყენება გამოეწვია. ხეებიან ქუჩაზე ნელ-ნელა სიარულისას ძველ შეყვარებულს შეხვდა – ლამაზ ქალს, რომელიც უკვე გათხოვილი იყო.

– გამაცილებ, ჯუხუბე? – ჰკითხა ქალმა და მკლაფზე ხელით შეეხო.

იმ ხმის გაგონებით, სურნელის შეგრძნებითა და თვალების დანახვით გული ზიზღისგან შეერხა, ბუნაგიდან

მზეზე გამოვლენილი ცხოველივით დაემართა.

– ძალიან ვწუხვარ, – უპასუხა. – მელოდებიან!

– ვინ?

მან მისი ხელიდან მკლავი გაითავისუფლა, უკან ნაბიჯი გადადგა და გზას გაუყვა.

– დამე მშვიდობისა!

ბიძია, ამდენ ხანს რომ ყურადღებას არ აქცევდა, ახლა უკვე ეჭვებში ჩავარდა და ცხვირის ამზუება დაიწყო: „მინდა ვცდებოდე, – ამბობდა თავისთვის. – მაგრამ ამ ბიჭს, მგონი, სუნი ასდის!...“

– შენ, – უთხრა ერთ საღამოს. – შენ, შვილო ჩემო, მგონი, ოფლიანობ!... – და მეორე საღამოს, – შენ მე არაფრით არ მომწონხარ! არ მომწონხარ! არ მომწონხარ! – და კიდევ ერთ საღამოს. – რატომ არ მეუბნები, რა ჯანდაბა გჭირს? შეიძლება გავიგო, რა დაგემართა?

ჯუხუბეს სახე მოეჭუფრა და არაფერი უპასუხა.

– ესე იგი, აღარ დაიბან? – გააგრძელა მოხუცმა. – ესე იგი, გარეთ აღარ გახვალ? ესე იგი, სულ ლოგინში იქნები? ესე იგი, აღარ იმუშავებ? ესე იგი, აღარ დაქორწინდები?

ერთ საღამოს საძინებელშიც კი შეუვარდა და ფანჯრის მოჭრიალე მინებზე შუბლით მიყრდნობილმა ყვირილი დაუწყო. ჯუხუბე ოფლიან ზეწრებში გაეხვია და კაცს ტალახში ამოსვრილი ბაყაყივით თვალყური ისე ადევნა.

ბიძია ერთი საათი მაინც ყვიროდა, ზურგი საწოლისკენ ჰქონდა შექცეული და ქუჩისკენ იყურებოდა. რა არ უწოდა: მაწანწალა, ცოდოა ის წყალი, შენ რომ სვამ, ზარმაცი, დაძაბუნებული, მოღვენთილი, ღამის ქოთანი!...

გაბრაზებული ჯუხუბე ზეწრებიდან წამოხტა.

– გოგონა მოკალი! – იყვირა. – აი, რა გაგაკეთე ტოსკანაში! გოგონა მოკალი! თავი ნაჯახით გაუჩქე!

ბიძიას სუნთვა შეეკრა და ვერაფერი თქვა, ენა ჩაუვარდა.

– ორი ქალი მოკალი კიდევ და სხვა გოგონაც. – გააგრძელა ჯუხუბემ. – მათაც გაუჩქე თავი ნაჯახით!

სიჩუმე ჩამოვარდა.

– ტყუილია! – თქვა ბიძიამ. – არ მჯერა შენი! ტყუილია!

რა თქმა უნდა, მართალი არ იყო. ჯუხუბეს მოკლული არაუინ ჰყავდა, მაგრამ მისგან რამდენიმე ნაბიჯზე სამი უცხოელი, ძვალმსხვილი, კარგად ნაკამ-ნასვამი ჯარისკაცი კი დაინახა, ზარმაცი მეტყველებივით, ხის მოჭრას რომ არ ჩქარობენ, ორ ქალსა და ორ ბავშვს ნაჯახით ნელ-ნელა ჩეხდა.

და ახლა სიბინძურის მწვერვალამდე ასვლით, გადაგვარებით, სხვისი და საკუთარი თავის მიმართ ზიზღის გამოხატვით, ცაში ისე აფურთხებით, რომ მერე მთელ სახეზე დაცემოდა, ის მთელ თავის ცხოვრებას სწირავდა; და ეს სწორედ მას შემდეგ ხდებოდა, რაც იმ საშინელ სანახაობას წააწყდა. ასეთი ქცევითა და ცხოვრებით ის სხვის დანაშაულს ხმამაღლა იღებდა, მაგრამ სასტიკი გამოხატვით, სხეულის სიბინძურითა და ბაღლინჯოებით დაფარვით მიზანს მხოლოდ ნაწილობრივ აღწევდა.

– მე მოკალი ისინი, მე! მართალია! მე მოკალი! ნაჯახით მე დაეჩქე!

**იტალიურიდან თარგმნა მაია ტურაბელიძემ**



## გიგი ხორნაული

ნაწევები „ჩემი საწუთროს სამხეოს“ მეორე, გამოუქვეყნებელი ტომის ქვეთავიდან – მთიელთა ჭამადი

### მთიელთა ჭამადი ხინკალი

ქართველი კაცი რომ განსხვავებულია სხვა ეროვნების ადამიანისგან გარეგნობით, ხასიათით, ქცევით და ბევრი სხვა რამითაც ეს საყოველთაოდ არის ცნობილი. განსხვავებულია იმითაც, თუ რას ჭამს და როგორა ჭამს, რას სვამს და როგორა სვამს.

ქართველები არა ვჭამთ, მაგალითად, ცხენის, ჯორისა და ვირის ხორცს, არა ვჭამთ ძაღლისა და მგლის ხორცს, არა ვჭამთ გველ-ბაყაყს და მისთანა უსურმაგებს. რასაც თვით ვეროპის ცენტრშიც კი სიამოვნებით მიირთმევენ. ქართველები ჭამენ მხოლოდ იმ ცხოველთა ხორცს, რომლებიც ოდესღაც საკულტო ცხოველებად, ანუ წმინდა ცხოველებად იყვნენ მიჩნეულნი. მათ შორის ცხვარი ხომ ისეთ ცხოველად იყო მიჩნეული, რომელიც ცხოვრების საფუძვლად მიიჩნეოდა თავისი ხორციითა და მატყლით. ქართული ტომები, ანუ ქართველები გაერთიანებულნი იყვნენ ამ საერთო ნიშნით, მაგრამ ამასთან ერთად თავთავადნიც იყვნენ კუთხური თავისებურებებით.

თავთავადობა ჩანდა ღვინო-არაყის სმაშიც, სტუმრის დახვედრაშიც, საკვების მოხმარების თავისებურებებშიც. მაგალითად, მეგრელს სალოცავში მიაქვს დაკლული ღორი, სალოცავს სწირავს ღორის თავს და მას საკურთხეველში სდებენ. აღმოსავლეთ საქართველოს მთაში კი ეს წარმოუდგენელია. ღორისთვის უბრალოდ ხელნახლები კაციც კი ორი კვირის მანძილზე უწმინდურად ითვლება და სალოცავში ვერ მივა. ხევსურეთში სალოცავს სწირავდნენ დიდი ჯიხვის რქებს. ხევსურს თუ შეუძლია ყველ-

პურზე აქეიფოს უცებ მისული სტუმარი, დასავლეთში ეს წარმოუდგენელია. ხევსურეთში ყველ-პურთან ერთად ჩვეულებრივია ერბიანი ჯამი, დასავლეთში კი ერბოს ასე ჭამა მიუღებელია. დასავლეთ საქართველოში ქათმის, ვარიის, წიწილის დაკვლა სტუმრის პატივისცემაა. ჩვენთვის, მთიელებისთვის კი ქათმის დაკვლა (თუ ვინმეს ჰყავდა) შეურაცხყოფა იყო. მით უმეტეს, რომ ქათმის ხორცს ბევრი საერთოდ არ ეკარებოდა, – ყველანაირ სიბინძურესა სჭამსო. საპატიო სტუმრისათვის საკლავი უნდა დაეკლათ, ან ხინკალი მოეხარშათ. შეთავაზებული საჭმელი რომ არ ეჭამა სტუმარს, სირცხვილი და შეურაცხყოფა იყო, ისევე, როგორც უზომოდ გაძლომა.

ხევსურეთში ხინკლის ჭამას რომ მორჩებოდა სტუმარი და იტყოდა: „მეტი აღარ შემიძლიანო, ბარაქა მოგცესო“, მასპინძელი აიღებდა ხონჩიდან ყველაზე დიდ ხინკალს გვერდს გამოგლეჯდა წვეს დაღვრიდა, ერბოთი აავსებდა და მიაწვდიდა; თუ ვერ შესჭამდა, ესეც სირცხვილი იყო – „მუცელს აქორებ, ქორია, აღორებ – ღორია“.

ისე კი, საერთოდაც ჭამაზე ბევრი ფიქრი და ზრუნვა ასევე სამარცხვინოდ ითვლება. განსაკუთრებით ზაფხულში, როცა საქმეს ვერ აუდიან. საჭმლის მოსამზადებლად დიასახლისს არ ეცალა, განსაკუთრებით თიბვა-ხვეტისას, როცა საგზლად მხოლოდ პური და ყველი მიჰქონდათ. შეიძლებოდა ერბო ან კარაქი, ხაჭო და ხაჭოწყალა. ეს საქმის დღეებში, უქმეებში კი, შაბათს დაუქმების შემდეგ, საღამოს აკეთებდნენ ჯერისთავს: ხინკალს, აცხობდნენ კეცეულებს, შიბუიანებს და მისთანა რაიმე ნოყიერ საჭმელს, კვირის მანძილზე დანაკლისის შესავსებად. გაზაფხულზე, როგორც კი „თოვლი ადგებოდა“ და „მიწას დაუჩნდებოდა პირი“ ამოჩნდებოდა ჭინჭრის ჭიკარტი, მძიმე ზამთარგამოვლილი ხალხი პირჯვრის წერით მადლს შესწირავდა ბუნების ძალას და შვებით იტყოდნენ: გვეშველა, მშფრები აღარ დავიხოცებითო. მას ხელისგულზე მოსრესით და მარილზე დაწებით სჭამდნენ პურთან ერთად და მხლადაც ხარშავდნენ. ამას მოჰყვებოდა რიგი და რიგი უმად საჭმელი თუ მხლად გამოსაყენებელი ბალახი. გაჩნდებოდა კალმახა სოკო და თავად კალმახიც. ბალღები გავრბოდით მადლად მთის ხევსუვებში და საუსე გუდებით მოგვექონდა უფროსების გასახარად, რაკილა ვუმსუბუქებდით ჩვენთვე კვების მუდმივ საზრუნავს.

ამჯერად, უფრო ვრცლად, ხინკალზე ვისაუბროთ: ხინკალი – დღევანდელი ქართული სამხარეულოს მშვენებაა. განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოს მთის კუთხეებშია პატივდებული. ღირსშესანიშნავი ამბები – ქორწილი, ნათლობა, დღეობა, საღმრთო და მისთანები უხინკლოდ არ იქნება. საპატიო სტუმრებსაც უსათუოდ ხინკალს უხარშავენ. ასე, რომ მთიელისათვის ხინკალზე კარგი საჭმელი არაფერია.

ხევსურს უკითხავს მეორე ხევსურისათვის:  
– ნეტა ხელმწიფე რასრა მჭამსავ?  
– დილა გახუხულ ხინკალსავ (იგულისხმება მეორე დილით ნაკვერჩხალზე გაფიცებული ხინკალი).  
ფშავლები ამბობენ: „ხინკალი მამდართ საჭმელიაო“.  
ბარში და დასავლეთ საქართველოში ხინკალი არ იცოდნენ. ხინკალი, როგორც ირკვევა, გვიანდელი გამოგონება უნდა იყოს, მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისამდე ის არ სცოდნიათ, მანამდე ხინკალი სულ სხვა რაღაცას

ნიშნავდა. ს.-ს. ორბელიანი თავის „სიტყვის კონაში“ ხინკალს ასე განმარტავს: „ღუმის შაშხი“. ეს ქართლ-კახეთში და მთაში. ხოლო დასავლეთ საქართველოში ხის ჩამოკაფულ ტოტებს, ნეკერს ნიშნავდა. მაშინ ხინკალი როგორც ჩანს მთაშიც არ ყოფილა, თორემ სულხან-საბას ეცოდინებოდა. „ღუმის შაშხი“ ნიშნავს შუა ცეცხლზე ან ბუხრის თავზე დაკიდებულ და ბოლში გამოყვანილ ყოჩის ღუმას. ბევრგან გამიგია „მთაში ხინკალი ფშავლების მოგონილიაო“ და ეს ეტყობა მართალია. ამ აზრს ამყარებს ერთი ფშავლის მიერ ხევსური მოლექსისათვის შემღერებული კაფია:

„არ წამოხვალა ფშავშია,  
ჩემო ბაბილის ნიაო,  
არ გინდა ფშაურ ხინკალი  
ღუმასზე მოგიხვიაო?“

უკანაფშავში სოფელ მუქოში, ჩემი ბარისახოს სკოლა-ინტერნატული ამხანაგის ფილიპე ბალიაურის ოჯახში ვიყავი სტუმრად. ხინკალს ამზადებდნენ. ფილიპეს მამას – ხევისბერ დიდ ბეწინას ვკითხე „ვერაგინ ამიხსნა და თქვენ თუ იცით, როგორ იყო-მეთქი ფშაური ხინკალი?“ ბუხრის თავზე დაკიდებული ღუმებიდან ერთ-ერთი ჩამოიღო, თხლად დათალა, ხინკლის ქერქებზე დააფინა ზედ ხინკლის გული დაადო და მოახვია. საოცრად წვნიანი ხინკალი გამოვიდა. ძია ბეწინამ სიცილით ისიც მითხრა: შენ იმიტომ მოგწონა ხევსურებს ძველი ღუმა გიყვართ, თორე სხვებს ეზიზღებათ და იმიტომ არ ვახვევთ ღუმასზეო. ჩანს ფშავლების გამონაგონი ხინკალი უცებ აიტაცეს მთიელებმა და ყველგან საპატიო საჭმელად იქცა. ბარმა არ მიიღო, რადგან ცხვარ-ძროხა ბევრი არა ჰყავდათ, თანაც აქ ხაშლამა, შემწვარი გოჭი და ღორის მწვადები უფრო ერჩივნათ, რაც დღესაც ასეა. ხინკლის ფშაურ წარმომავლობას ისიც ამყარებს, რომ აქ ათასნაირი ხინკალი იცინა: ხაჭოსი, კარტოფილის, ჭინჭრის, სოკოსი, ყველის და სხვა მრავალი. სხვაგან კი მხოლოდ ხორცის.

ადრე ჭამის სპეციალისტები იძახდნენ ხინკალი დაღესტურია, იქიდან გვაქვს შემოტანილიო. ორჯერ შემოვიარე დაღესტანი – ერთხელ უნივერსიტეტის ჯგუფთან ერთად, მეორედ ჩემი მანქანით. სანადიროდ დავიღობი ჩეჩნეთ-ინგუშეთში, პატივისცემა არ გვაკალდა, ცხვარს კლავენ, რას არ აკეთებდნენ, ხინკალი კი არსად მინახავს. ახლა „ახალ მიგნებას“ ავრცელებენ – ხინკალი მონღოლების მოგონილიაო. კი მაგრამ, თუ მონღოლები რამეს შემოიტანდნენ პირველ რიგში ქართლ-კახეთში არ უნდა დამკვიდრებულიყო? ან სულხან-საბას არ ეცოდინებოდა? აქ კი ხინკლის ოჯახში კეთების ტრადიცია დღესაც არ არის, დღესაც კი, როცა ხინკალმა წალეკა მთლად საქართველო გზა-გზის პირები, რესტორნებიც კი.

კიდევ იმიტომ არ მოაქვთ სუფრაზე ხინკალი ბარში, და განსაკუთრებით თბილისში, რომ ხინკალი ხელით უნდა ჭამო და არა დანა-ჩანგლით. გზა-გზის პირებზე და განსაკუთრებით სწრაფი კვების ობიექტებში ხინკალმა იმიტომ იმრავლა, იოლი გასაკეთებელია, იაფი ჯდება და შემოსავალი დიდი მოაქვს. ხინკალს დღეს შეიძლება ბარში მთიელებზე უკეთესად აზავებდნენ, ეს მზარეულებზეა დამოკიდებული. ადრე კი ჩემს ახალგაზრდობაში, მთაში ხინკლის გულს მხოლოდ მარილს აყრიდნენ და მეტს

არაფერს, ხაზვი და წიწკა მთაში არ იყო. მწვანილებზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. ხინკლის ცომის მოხელვას ცოდნა უნდოდა, დიდხანს უნდოდა ზელვა ბევრი საფანელით იქამდე, სანამ მიკრობას არ შეწყვეტდა, „ძარღვი“ არ გაუჩნდებოდა და წელვადი არ გახდებოდა. ცომის ნაწილს გააბრტყელებდნენ და გუნდას ყანწით ან საგანგებოდ მოხვეწილი „სასმისით“ მოსჭრიდნენ. ცომის დაგუნდავება სხვანაირადაც ხდებოდა. გრძლად დაამრგვალებდნენ ცომს და მერე ისეთ ნაწილებად დაგლეჯდნენ, რაც მუჭაში ჩაეტეოდა. ამ გუნდას სათხელებლით ათხელებდნენ ხინკლის ქერქებად. ხინკლის ცომს ახალგაზრდა ქალებს, რძლებს ახელილებდნენ. ქორწილის მესამე დღეს ორშაბათ დილით ქალის მაყრების გასასტუმრებელი ხინკლისთვის ცომს პატარძალს ახელინებდნენ და ეს მისი გამოცდაც იყო.

მთაში ხინკალი უმთავრესად ცხვრის ხორცისაგან კეთდებოდა, რადგან ცხვრის დაკვლა ყოველთვის შეიძლებოდა. ყველაზე გემრიელი ხინკალი ცხვრის ხორცისგან კეთდება. ცხვრის ხორცს ბარელები რატომღაც იწუნებენ, თორემ გემოთი საქონლის ხორცსაც ჯობია და ღორისასაც, ამასთან, როგორც ძველ სამკურნალო წიგნებში სწერია, ცხვრის ხორცი მაწინარი კი არა, ორგანიზმისთვის ყველაზე სასარგებლო ყოფილა, იგულისხმება ჯანმრთელი ორგანიზმი. ხინკლისთვის საქონლის ხორციც კარგია, რა თქმა უნდა, მაგრამ ცხვრის ხორცშერეული უმჯობესია, ღორის ხორცის შერევა კი ხინკალს „აფუჭებს“. მთაში ღორის ხორცს თითქმის არავინ სჭამს. შინ არც არავინ ჰკლავს. მას გასაყიდად თუ ვინმე ზრდის ხინკალში აუცილებლად უნდა შეერიოს მუცლის ქონი, მაგრამ უმჯობესია ცხვრის (ყოჩის) ღუმა, ახალი იქნება, თუ ძველი. ხორცთან ერთად მასაც ჩააფაფენ ხანჯლით. გულში უსათუოდ შეურევენ წყალში დამბალ ხმელი ჰურის ორიოდ ნაჭერს. ხინკალს აუცილებლად კაცი კაფავს ხანჯლით, საკაფელა ფიცარზე.

ხორცს დაასხამდნენ ბლომად ცივ წყალს და ხელით გახელავდნენ. თუ ახალი ხორცი იქნებოდა, და არა ჩამარილებული. იმდენ მარილს დააყრიდნენ, რომ ოდნავ სიმლაშე შესტყობოდა. უმეტესწილად ხინკლის გულს მეტი არაფერი სჭირდებოდა. თუ ვინმეს ექნებოდა ზაფხულში მომარაგებელი ბეჭონდარა ან კვლიავი, იმას ჩააყრიდნენ, თუ არადა უამისოდ ხინკალს არავინ იწუნებდა, რადგან მთის ბალახით მოსუქებული საქონლის ხორცი, ისედაც ძალზე გემრიელია.

ხინკალს მასპინძელთან და მეზობლის ქალ-ვაჟებთან ერთად, მაყრებიც ახვევდნენ. იყო ერთი ჟივილ-ხივილი, იყო შეჯიბრი, ვინ უფრო ლამაზ ხინკალს მოახვევდა, მეტ ნაოჭს გაუკეთებდა. კარგი მომხვევები ხინკალს ცხრამეტ ან ოცდაცხრა ნაოჭს უკეთებდნენ. ისე კი, საშუალოდ ხინკალი თოთხმეტ-თხუთმეტ ნაოჭიანი იყო.

ქალ-ვაჟნი როცა ახვევდნენ ხინკალს, ხვეულში აყობდნენ წიწკრებს – ვერცხლის ფულებს და ვისაც შეხვდებოდა, იმას ლამის დანიშნულად აცხადებდნენ. მთიელები დიდი თუ პატარა, მოხვეულ ხინკალს ნაოჭებს რომ შემოუყრიდნენ და ერთურთში შეხედდნენ თავს აგლეჯდნენ, თავს წვრილად ამოუყვანდნენ და საჩვენებელი თითის დაჭერით მძივს ოდნავ ჩატკეპნიდნენ. ამით ცომსაც ზოგავდნენ და ხინკალიც მთლიანად

იჭებოდა. ხინკალს ხარშავდნენ „საჯალაფო ქვაბში“. ეს იყო საშუალო სიდიდის სპილენძის ხელიანი ქვაბი. მასში ჩადიოდა დაახლოებით ოცი ლიტრი წყალი. ხინკლის მოსახარშად ნახევარზე ცოტა მეტს ასხამდნენ და საკიდელზე შემოჰკიდებდნენ. მასში იხარშებოდა სამოცი ხინკალი. როგორც კი ოცდაათამდე ხინკალი მოეხვეოდა ქვაბს ფიცხ შემას შეუკეთებდნენ ასადულებლად. წყალი აღუდებოდა ხინკლის ჩაყრის წინ აღუდებულ ქვაბში ორ მუჭა მარილს ჩაყრიდნენ, ხინკალი რომ არ ჩაშლილიყო. ხინკალიც სამოცად შესრულდებოდა და ჩაყრიდნენ. ერთი ვინმე ხონჩით მოიტანდა ჩასაყრელ ხინკალს, მეორე კი ორივე ხელით დაიწყებდა სწრაფად ჩაყრას. ხინკალი იყრებოდა კუჭით დაღმა, გარე პირზე მოაყოლებდნენ ირგვლოვ, წრე თანდათან ვიწროვდებოდა გულისკენ. მერე მოაყოლებდნენ მეორე პირს. ჩაყრას რომ მორჩებოდნენ ქვაბს შეაბრუნ-შემოაბრუნებდნენ ან ქაფქირით მიურ-მოურევდნენ ფრთხილად. ცეცხლს გაუძლიერებდნენ და დუღილს რომ დაიწყებდა, ერთხელ კიდევ შეაბრუნ-შემოაბრუნებდნენ ქვაბს. ცეცხლსაც ცოტა გამოუნელებდნენ და ზომიერად აღუდებდნენ 9-10 წუთი. გუდამაყრელებმა ამოღება იციან, როგორც კი ხინკალი მაღლა ამოიყრება. ხინკალს წყალგავლებულ ხონჩაზე ამოიღებენ ქაფქირით ისე, რომ კუჭი დაღმა ექცეოდეს. ხინკალი შეიძლება პირდაპირ ტაბლაზეც ამოყარონ და ამ ტაბლას პირდაპირ წინ უდგამენ სამამაცოში სკამ-ტახტზე ჩამომჯდარ კაცებს. დიაც-ყმაწვილი სადიაცოში ძირს დაიდგამდნენ ხინკლიან ხონჩასა თუ სინს. სანამ ჭამას დაიწყებდნენ ხინკალი აუცილებლად „მკვდართად“ უნდა დაელოცათ: ხნეიერი კაცი ან დიაცი სანთლებს აანთებდა (სამფეხს) ერთს ხონჩაზე მიაკრავდა მეორეს წყლიან კათხაზე, მესამეს თითონ დაიჭერდა. აიღებდა არყიან სასმისს და შეუდგებოდა შესანდობარის წარმოთქმას: „ღმერთო შენი დიდებითა, ღმერთო შენი მიცემითა, თუ სააქაოს ნათქვამი საიქიოს მიდიოდას. მკვდართ შანდობა ეთქმოდას აეს ხინკლიან ტაბლა როგორც ჩვენ წინ დგას, თქვენ ხელთა ნებასამც იქნების. აეს დანთებულეს სანთლები გზასამც გინათებენთ სასმელ ცის ნამივითამც გადაგწვდებისთ...“

ქვაბს ცოტა წყალს ჩაამატებდნენ მეორე ჯერის მოსახარშად და კვლავ საკიდელზე ჰკიდებდნენ. ბავშვები იძინებდნენ, კაცები ქეიფს გააგრძელებდნენ, ხინკლის მოხვევა-მოხარშვა კი ქალ-დიაცებს რჩებოდათ. მოხარშულ და გაციებულ ხინკალს მეორე დილით ნაკვერჩხალზე ხუსავდნენ ან ერბოში აცხელებდნენ.

90-იან წლებში დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, როცა გაიხსნა კერძო სახინკლეები და შესაძლებელი გახდა კონკურენცია, მაშინ დაიწყეს ნამდვილი ხინკლის კეთება. მაშინ გაიგო თბილისისა და საერთოდ ბარის ხალხმა რა იყო ხინკალი. მანამდე თბილისში 50-იანი წლებიდან მოყოლებით ყოფილი ველიამინოვის ქუჩაზე (შემდეგში შალვა დადიანისა) იყო, ვითომ სახინკლე, სადაც იხარშებოდა რაღაცა უსულგულოდ ნადურდნი ვითომ ხინკალი, გულად ჰქონდა წიწაკიან წყალში მოტივტივე ხორცის ნაწილები და ბლომად მწვანილი. ქერქი აქეთიქიდან იყო გადმოკეცილი და არა მოხვეულ-შეხვეილი და ასე ხინკლის ნახევარი, ვითომ კუჭი იყო, რომელიც



მთლიანად თუფშე რჩებოდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, დამოუკიდებელ საქართველოში ხინკალი უცებ გაერცვლა. ეს ხინკალი ფორმით ის ხინკალია, რომელსაც ფშაური ეწოდება. ოდნავ განსხვავებული ხინკალი მხოლოდ ხევსურეთშია. დიდი ხინკალია და ბლომად ერბოსთან ერთად ჭამენ. ტაბლიდან როცა აიღებს ხევსური ცხელ ხინკალს ერთს მოკბენს, წვეს გამოსუტავს და იქვე ტაბლის კიდეზე დადგმული ერბოიანი ჯამიდან კოვხით ჩაასხამს შიგ ერბოს.

არის კიდევ ჩაქოფებული ხორცის ხინკალი. შემოდგომაზე ფურბერწ დეკეულს ან დაკოდილ მოხვევს როდესაც კლავენ სახამთროდ, გამოჭრილ-გამომწვადულ რბილ ხორცს ჩაამარილებდნენ ხის კასრებში, ან რაიმე დიდ ჭურჭელში, ხორცი მარილში გამოდიოდა და სუნსაც მძაფრს დაიცემდა, ასეთ ხორცს ფშავლები ჩაქოფებულ ხორცს ეძახიან (ხევსურები ჩამძმარ ხორცს). ვაჟა-ფშაველას განსაკუთრებით უყვარდა თურმე და მისი ნათქვამიც არის ცნობილი: „დაილოცე ჩაქოფებულ ხორცის ხინკალო და პანტის არაყო“.

საქართველოში ცნობილია სახინკლეები, სადაც მზადდება განსაკუთრებით გემრიელი ხინკალი. მე პირადად მქონდა ჩემი საფირმო ხინკალი. ჯერ კიდევ მთაში 15-16 წლისას გადმომაბარა მამაჩემმა ხინკლის გულის გამზადება-დაკაფვა და შეხაფვა. მთებზე სათიბად ყოფნის ან სანადიროდ ყოფნის დროს დიდი გულმოდგინებით ვაგროვებდით ხოლმე კვლიავასა და ბექთქონდარას, რის გამოც „ჩემ“ ხინკალს ყველა აქებდა. 1961 წლიდან, როცა ოჯახი შევქმენი, ჩემმა მეუღლემ, ნანა კოტეტიშვილმა დიდი ენთუზიაზმით ამიბა მხარი და ჩვენი მოხარშული ხინკლით აღტაცებაში მოგვეყვავა ხინკალუნახავი სტუმრები. ამრიგად ჩემი საფირმო ხინკლისათვის საჭიროა:

1. ხორბლის ფქვილი – 2 კგ.
2. საქონლის ხორცი 1 კგ, ცხვრის ხორცი 1 კგ და ღუმად ან მუცლის ქონი.
3. ხმელი, მშრალი პურის ორი ნაჭერი ცივ წყალში ჩამბალი.
4. მარილი იმდენი, რომ ოდნავ სიმლაშე ეტყობოდეს.
5. კვლიავი (ხირა) ან ქონდარი (ბექთქონდარი)
6. ძველი ან ახალი ხახვი 4-5 თავი
7. დაფქული წიწაკა ან პილპილი

ყოველივე ეს მსხვილად გატარებულ ან დაკაფულ ხორცან ერთად ჩაიყრება დიდ ჯამში დაესხმება ლიტრამდე ცივი წყალი და ხელით გაიზილება ისე, რომ გული უნდა იყოს ძალიან თხელი.

# ნათა პარაღა

ამბავი ზესო სოლომანაშვილისა, რომელიც „საზას“ სიაში მოხვდა, გაიმარჯვა და გადარჩა

„სპარსეთში კი არა, რუსეთში ვართ, რუსეთში! სადაც რუსის სისხლი დაიდგურება და სადაც რუსის სამხედრო დროშა ჰფრიალებს, ის ქვეყანაც ჩვენია-მეთქი!“  
„ლამბალო და ყაშა“  
მიხეილ ჯაფახიშვილი. 1925 წელი



თანამედროვე ქართველი მწერლის, სცენარისტის ბესო სოლომანაშვილის რომანი „ამბავი ძველი დახვერუტილები-სა და ამბავი ახალი დასახვერუტებისა“ (სულაკაურის გამომცემლობა) პრემია საბას აიღებს 2020 წელს. ეს მწერლის პირველი საბაა.

„ბაბუა მყავდა დრაკულა“, წაწერა კანდელაკზე კორპუსის სადარბაზოს კარს უცნობმა ბიჭმა და ამით, დანარჩენ საბურთალოებს გზა მისცა, დროა აღიარებისა და სიმართლის თქმისაო. თუმცა ვინ დაუჯერა?! ეს ამბავი ნამდვილად მოხდა და თუ მოგიწევთ გასვლა გაგარინის ასახვევში, კედელს შეხედეთ. ნახეთ.

ამ კედლის წარწერის ფსიქოდელიური გაგრძელება მეორე კორპუსზე იქნებოდა „ბაბუა მყავდა კულინარიო“, მაგრამ ეს თბილისის უახლოესი ამბავია და ჯერ ისტორიული ანალიზისთვის მომწიფებული როდია, ამიტომაც დუმილი მოსალოდნელიც არის – როგორც ჩანს არც ქუჩის კედლების წარწერებისთვის. თუმცა კულინარი „გასტრონომია“ ან „პოვარი“ არ გეგონოთ, განგსტერათა საძმოა, ძმოო. პაპა რომ ჯალათი გყავს, ეს საბჭოთა ეპოქის შვილებს თუ ნაშვილიშვილებს, ვერაფრით გააკვირვებს, მითუმეტეს თუ ეს რომანში ხდება, თან ეს რომანიც საბჭოთა ოკუპაციის ყველაზე სასტიკ განთიადს აღწერს. ჯალათი პაპის ყოლას, სულ არ გყოლოდაო – ვერც ამას იტყვი – მაშინ შენ საიდან მოცუნცულდებოდი, ან რომანიც როგორ გაჩნდებოდა?!

ესე ამბავიც ასე იწყება – ქართველი მწერლისა და სცენარების დიდოსტატის ბესო სოლომანაშვილის წიგნში „ამბავი ძველი დახვერუტილებისა და ახალი დასახვერუტებისა“ – ჯალათი პაპის ავზნიან ხასიათზე, რძეში გაზავებული იების სუნსა და იმ ისტორიულ ფაქტების არაისტორიულად გადმოცემასზე, რომელთა დაჯერებაც თაობები მიდიან-მოდინ და მინც არავის სურს.

ბესოს წიგნის გამოცემის მერედა, ქართულმა ლიტერატურამ ამოისუნთქა 90-იანი შავ-ბნელ თბილისურ წლებზე,

ქუჩის გაუთენებელ ღამეებზე, წამლისა თუ იარაღის კონტრაბანდისტებზე, პოლიტიკოს აფიორების ოთხ წელში გამდიდრებასა და იშვიათად, სახალისოდ მოყოლილი სხვა დიდ და მცირე ტრაგედიებზე დაწერილი წიგნებისაგან. ამოისუნთქა, მაგრამ უფრო ნამდვილ ტრაგი-კომედიას კი მიუბრუნდა. აი, ისეთს კაზლოვის „მეშლილის“ თარგმანზედა, ან გიორგი ერისთავის „გაყრას“ რომ არაფრით ჩამოუვარდება. მაკო საფაროვას თამაშს რომ გაგახსენებს. არც მეტი და არ ნაკლები თბილისში შეჭრას აღწერს და სისხლსა და ცრემლებს.

გორზე კი რომანი ვერ დაიწერებოდა, თუ შიგ სტალინის სახელი არ იქნებოდა სამჯერ მაინც ნახსენები და აკი ახსენა კიდევაც ავტორმა. ახსენა კი არა, რომანის ძაღლის თავი, სწორედ სტალინთან ერთად დამარხა. თუ სადმე დასახვერუტების, დახვერუტილების სია იდება, იქ თავშიც და ბოლოშიც სტალიანია – მეწადის ვაჟი იოსებ სოსო ჯულაშვილი, სემინარიის პოეტი და უსისხლო გენერალსიმუსი.

ბესოს პერსონაჟს კი ჰგონია გამომცემლობა ჭამსო, თუ ვიტყვი რომ პაპაჩემი ჯალათი იყო და მასზე წიგნს გამიპრავებს ანუ გამომიცემსო, მაგრამ გამომცემლობა რასაც ჭამს, იმას მკითხველი არ იკადრებს. მითიურ საბურველში ამოვლებული და გასროლილი წინადადება, პაპაჩემის ამბავს კი არ ვყვები, არამედ ვიბრალებო, ვგეთუბი არიფებმა ჭამონ, ჩვენ კი გულზე დაგვადგა, მაგრამ ეს ლუკმა მაინც ვერ მოვინელებო...

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის ანოტაციით: „ბესო სოლომანაშვილის რომანი „ამბავი ძველი დახვერუტილებისა და ამბავი ახალი დასახვერუტებისა“, რომელსაც ავტორი „ალუზიურ მისტიფიკაციას“ უწოდებს, მოგვითხრობს 1921 წელს საქართველოში განვითარებული მოვლენების შესახებ, როდესაც ქვეყანამ 1918 წელს მოპოვებული დამოუკიდებლობის შენარჩუნება ვერ შეძლო

და ბოლშევიკებმა აქ თავიანთი ძალაუფლება დაამყარეს“.

რომანში სიუჟეტი ფსიქოდელიურად ვითარდება, აქა ამბავია ერთი ჯვარნაკრავისა (ხალხურად ეს მოითარგმნება „შიგნაკრავისა“, მშვენიერად ჟღერს წითელი ხიშტიანი გენერლების ზოგად სახელად), რომელიც დახვრეტს მღვდელს, ჯვარი მესამე ტყვიას აისხლიტავს და ჯერ ჯვარნაკრავი რომ არ ჰქვია იმ კაცს თვალში მოხვდება. აქა ამბავია ერთი გაბოროტებული ჯვარნაკრავისა, რომლის გარშემო ტრიალებენ სხვა პერსონაჟები და ჩართულები არიან მთელ მის მიერ დატრიალებულ მარაზმში და ეს ერთი ჯვარნაკრავი განასახიერებს მთელ ბოროტების იმპერიას. განა ასე ადვილადაა საქმე?! ნამდვილი გენერალი, თავადყოფილი, უხსენებელი საბჭოთა ბოლშევიზმის მამები, ბელადი და მისი ბუნაგი და სხვა რეალური სახელები ცოცხლებიან და კვდებიან ამ რომანში. ერთი კაცის ოჯახური ტრაგედია, თუ სიყვარულის დრამა, თუ მისი ბავშვობის მძიმე წლები მთელი ქვეყნის უბედურებად არის ნაქცევი. იქნებ ასეცაა, რეჟიმი ასეთია – ვერცერთი ადამიანი ვერ გაექცევა თავისი კვალი რომ არ დაამჩნიოს, საყოველთაოდ.

„საბა“ საუკეთესო რომანის კატეგორიაში ბესო სოლომონაშვილს გადაეცა – წერდა დეკემბერში ქართული პრესა.

დეკემბრამდე კი ხუთი წიგნი და ხუთი რომანი აირჩა:

საბა 2020

წლის საუკეთესო რომანი

1. ბესო სოლომონაშვილი, „ამბავი ძველი და ხვრეტილებისა და ამბავი ახალი დასახვრეტებისა“ (სულაკაურის გამომცემლობა)
2. ანა კორძაია-სამადაშვილი, „ზინკა ადამიანი“ (სულაკაურის გამომცემლობა)
3. ლაშა ბუღაძე, „აუდიტორია“ (სულაკაურის გამომცემლობა)
4. აკა მორჩილაძე, „ფარშავანი“ (სულაკაურის გამომცემლობა)
5. ალექო შულაძე, „ქრონიკული დადლილობის სურნელი“ (პალიტრა L)

სიაში პირველი ნომრით მოხვედრილმა ბესო სოლომონაშვილმა დანარჩენებს გაუსწრო და გაიმარჯვა.

ასე მარტივად მოიგებდა ის მარათონს, მის უკან რომ ტიტანები არ მდგარიყვნენ. მაინც რატომ გადაწყვიტა „საბა 2020“-ის ჟიურმა ბესოს წიგნისთვის გადაეცა „საბა“?

გულუბრყვილო მკითხველი იქნებ ფიქრობდეს, მხოლოდ ბესო იყო საბას გარეშე დარჩენილი, დანარჩენები კი უკვე მოღლილებიც კი იყვნენ იმ შენობის იმ კიბეებზე სირბილით, საბას დაჯილდოება სადაც იმართება, ხოლმე.

არა, ასე მარტივად ვერ იქნებოდა საქმე. აბა, მაშ?!

იქნებ სოციალურ ქსელებში გამოძახილმა ექომ ქნა?! რადგან, ბესოს ამბავი დიდად განმაურდა, როდესაც მისი ეს წიგნი სხვა მავან ლიტერატურულ კონკურში, რბილად რომ ვთქვათ, დაჩაგრეს?!

არც ასეა საქმე.

ჩემი აზრით საქმე ჟიურშია. ჟიურმა წელს გადაწყვიტა ხალხური და სოციალური საბა გამოსვლოდა და გამოუვიდა.

ლიტერატურულ პრემია „საბას“ დაარსებიდან უცნაური ბედი დაჰყვა. ანდამატებით რომ იზიდავს მწერალ-გამომცემელთა არმიას, ამასთან ნაწილი სხვა რამზეულისა მის ლანძღვა-გინებაში ატარებს შემოდგომა-ზამთარს. ზშირად მას უფრო არა და მოძრავ ჟიურს ერჩიან, ხან ავტორს ამოიჩემებენ, ხან დამაარსებელს, ხან სპონსორს. თუმცა ფაქტი ჯიუტია, „საბა“ მწერალსაც ახარებს და გამომცემლობას გამომცემულ წიგნს წარმატებით აყიდინებს ბაზრობაზე, წიგნების.

ბესო სოლომონაშვილის პირველი საბა ნამდვილად დამსახურებულად შეხვდა. ეს იმ რომანისთვის მიანიჭეს, სადაც ავტორი სისხლს, შიგნეულს, სულსა და გულს აყოლებს სიტყვებს და წერს, გაბრაზებულიც, განრისხებულიც, დამარცხებულიცა და ამავე დროს, გამარჯვებულიც.

ესაა წიგნი, სიყვარულზე, რომელიც ყველაზე ბინძურ, გარყვნილ და გათახსირებულ ადგილას ისე ნახად ამოიჭრება, როგორც რმის სუნიანი იები. როცა სიმახინჯესაც სურს რაღაც ნამდვილი, ლამაზი და სულიერი. როცა ღალატი ისე არაფერს არ უხდება, როგორც თავგანწირვას და რაც მთავარია, ხალხის ისტორიულ მქსიერებაში მომხდარ ეროვნულ ტრაგედიას, სწორედ ხალხოსნური,



ბესო სოლომონაშვილი





მდაბიური და ყველაზე პლებეური ენით წერს.

მთავარი პერსონაჟი აქ ბევრია. თუმცა ჯვარნაკრავის საკრალური სახელი რომანის მთავარი ხაზია. თუ ბოლშევიკებს რამე ხალხის მიერ შერქმეული მეტსახელი მოუხდება, ჯვარნაკრავი ზედგამოჭრილია. ეკლესიების და მღვდლების მკრეჭავი, თავადაზნაურებისა და მათი მცირეწლოვანი ოჯახის წევრების, ქალებისა და მოხუცების მხვერტავი და გამქურდავი ბოლშევიზმი და ჯალათი შემსრულებელი ანუ ხელის ბიჭი, შვიი საქმის გამკეთებელი – უბრალო ხალხში ერთ კრებით სახელად – ჯვარნაკრავად მოიხსენიებოდა, ნამდვილად და ზუსტად, როგორც იცის ასეთ დროს საერთოდ სოფლის ხალხმა.

„თოვდა და თბილისს ებურა თალხი,

დუმდა სიონი და დუმდა ხალხი“. – ეს რომანტიულ-პოეტური ფორმულა ამოაყირავა მწერალმა ბესო სოლომანაშვილმა, იმ ფსკერამდე ჩაყვა, იმას, რაც შობს ბნელ, ნაბიჭვარ და გაუკულმართებულ ადამიანების რასას.

ისტორიული ფაქტები და ისტორიკოსის კალამი ბევრად უფრო დახვეწილია და მშრალ ამბებს მოიცავს. ისტორიულ წყაროებში კალაპოტის მოძებნა შესაძლებელია, აქ შესაძლებელია ისე მიჭრა-მოჭრა ამბავი, რომ გაყალბებას დაეტოლოს, მაგრამ მწერლის მიერ მოყოლილი ისტორიული ამბავი დაუნდობელია ეროვნული გმირისთვისაც და მოღალატის სამარცხვინო სახელისთვისაც.

ამ ამბავში, რომელიც ორ სიას ჰკავს, ბოლშევიკებისა და მენშევიკებისას, წითელი და თეთრი დროშების ამბავში, ძველისა და ახლის გადაკვეთის ამბავში, მწერალი საბურველს გადახდის 1921 წლის 25 თებერვლის საბჭოთა წითელი არმიის მიერ თბილისის ანექსიას და ომის

და ოკუპაციის მძაღე სუნსაც არ აარიდებს მკითხველს... შეულამაზებელად, დაჩეხილად, შეშლილის გონებით და სადისტურ-რასისტული სურათებით აწყობილ ამბავში ერთი განტოლებაც ამოხსნილია – ის, რაც სახადევით მოიხადა ქართულმა დემოკრატიამ – საბჭოთა წითელი გაუმაძღრობა – რომლის მხუთავი სასისკვდილო სუნი ჯერ კიდევ ტრიალებს საქართველოს ცაზე, რომელსაც ახსოვს რძეში ამოვლებული იების სურნელი.

ქართველმა კლასიკოსმა მიხეილ ჯავახიშვილმა „ლამბალო და ყაშა“ რუსეთის კოლონიურ რეჟიმს მიუძღვნა. იქ, მოღალატე ციციანოვი, ქართველი თავადი და გენერალი და ქრისტიანი რუსი მღვდელი პავლე, აისორებისა და აზერების მჩაგვრელები, მწამებლები არიან, კლასიკოსი ამ გაბედულებით თავად გახდა რეჟიმისა და ბერიას მსხვერპლი, იგი ჯერ დააპატიმრეს, ხოლო შემდეგ მას სასტიკი მეთოდებით გაუსწორდნენ და ბოლოს 1937 წელს, დახვრიტეს.

1921 წლის 25 თებერვალი, რუსეთის მიერ საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის ოკუპაციის ისტორიული თარიღია. მოთხრობა „ლამბალო და ყაშა“, სადაც ცარიზმის ერთმორწმუნეობის ფარსია მხილებული, მიხეილ ჯავახიშვილმა 1925 წელს დაწერა. იმავე წელს ჟურნალ „მნათობში“ იბეჭდება, ხოლო, შემდეგ ის ქვეყნდება 1926 წელს სახელგამის მიერ გამოცემულ კრებულში „ორი განაჩენი“. ამის შემდეგ მოთხრობას კიდევ ორჯერ, 1933 წელს და 1937 წელს ეღირსება დღის სინათლე.

1937 წელს წითელი სატანა მწერალსაც მისწვდება.

მწერალს, სიმართლისთვის ფიზიკურად უსწორდება რუსეთის თვითმპყრობლური, დამნაშავე ხელისუფლება, როგორც მის პერსონაჟს ლამბალოს. გასაოცარია, ასე წინასწარმეტყველება საკუთარი აღსასრულისა, თუმცა სულიერებას, დაწერილსა და უკვე კეთილ თესლს, რომელიც ხალხის გონებაში ჩაინერგა, ვერა ძალით ვეღარ ამოძირკვავს.

ბესო სოლომანაშვილთან წითელი ტერორი იმ სასტიკი და ბილწი ენით არის ჩვენამდე მოტანილი, როგორსაც თავად „დაიადი საბჭოეთი“ განასახიერებს. აქ, თითქოს ამბავი შიგნიდან არის მოყოლილი, სარკისებური პრინციპით, შესაძლებელია ავტორს კინოენაც ეხმარება. სხვათაშორის, მიხეილ ჯავახიშვილის რომან „ლამბალო და ყაშას“ დასაწყისი „მიწის ყივილით“ დაუსათაურებია. ასევე, მიხეილ ჯავახიშვილის არქივში დაცულია „ლამბალო და ყაშას“ კინოსცენარის სამუშაო ვერსიები.

ვირტოუზულად მოაქვს ბესოს მთელი ის სიმძაღე, რაც დღემდე მოსდგამს მსგავს რეჟიმებს.

რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია არ დასრულებულა, თუმცა ქართველს ბრძოლა, აქეთაც და იქეთაც არასოდეს ეხარება, ესეცაა.

მწერალს გადარჩენას ვულოცავთ.

# ნანა ჭიჭინაძე

**XXI საუკუნის  
პირველი ოცნლეულის  
ხელოვანებთან შეხვედრა**



რესპუბლიკაში კარგად ცნობილი გახეთი „საქართველოს ლირიკა“ (მთავარი რედაქტორი ეთერ ფაცურია, სამწიხაროდ ქალბატონი ეთერი 2022 წლის დასაწყისში გაედაიცვალა, რედაქტორის მოადგილე ნანა ჭიჭინაძე) საზოგადოებაში სისტემატიურად აწყო გამოკითხვას სხვადასხვა ნომინაციაში. ამჯერად გამოკითხვა მიემდგვნა მასმედიის, კულტურის და მშენებლობის სფეროს.

რესპუბლიკის გამომცემლობებს შორის საუკეთესო გახეთად დასახელდა:

„ლიტერატურული საქართველო“ მთავარი რედაქტორი ივანე ამირხანაშვილი, ხოლო რაიონულ გაზეთებს შორის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი „შირაქი“ მთავარი რედაქტორი ინგა შიოლაშვილი და გაზეთი „ბორჯომი“ მთავარი რედაქტორი ვალერიან ლომიძე.

XXI საუკუნის პირველი ოცნლეულის კულტურის სფეროში მოღვაწე ხელოვანთა ხუთეულში გამოვლინდნენ:

რეჟისორები: რობერტ სტურუა, მერაბ კოკოჩაშვილი, მელეა კუჭუხიძე, ელდარ შენგელაია, თემურ ჩხეიძე.

კომპოზიტორები: ვაჟა აზარაშვილი, ნუნუ გაბუნია, ნუნუ დულაშვილი, მაცაცო სებისკვერაძე, კახა ცაბაძე.

მხატვრები: თემურ გოცაძე, გივი თოიძე, ჯემალ კუხალაშვილი, შალვა მატუაშვილი, გოგი ჩაგელიშვილი.

პოეტები: რეზო ამამუკელი, დათო მადრაძე, თემურ ჩალაბაშვილი, ტარიელ ხალხელაური, შხია ხეთაგური.

სამშენებლო კომპანიებს შორის წლის საუკეთესო სამშენებლო კომპანიად დასახელდა M<sup>2</sup> გენერალური დირექტორი ნიკოლოზ მექმარიაშვილი, მოადგილე ნათია შანშიაშვილი.

მათ პატივსაცემად საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გაიმართა გალა-კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის (სამხატვრო ხელმძღვანელი ბადრი მაისურაძე) წამყვანი ახალგაზრდა

სოლისტები: კონსტანტინე ყიფიანი – ტენორი, თბილისის ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი, გიორგი ჭვლიძე – ბარიტონი და უმშვენიერესი მარიამ როინიშვილი.

გაზეთ „საქართველოს ლირიკის“ მიერ გამოვლენილი ნომინანტის ვოკალისტის და პიანისტის, დიდი პეტრე ამირანაშვილის შვილიშვილის, მარინა ფარულავას მოსწავლეები : მარიამ კობეშვიძე, თამარ ოდიშელიძე, მარიამ ყორღანაშვილი, კონცერტმაისტერები : ნათია აზარაშვილი და მარინა ფარულავა .

კონსერვატორიის საფორტეპიანო ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი, უნიჭიერესი თათა კვანტალიანი და კომპოზიტორთა კავშირის ტრიო: ქეთევან თავაშაძის, მაია ჯინჭველიშვილის, ია ბახტაძის მონაწილეობით, მათ ვაჟა აზარაშვილის გულშიჩამწვდომი მუსიკალური ნაწარმოებებით დაატკბეს მსმენელი. გალა კონცერტში მონაწილეობდნენ, აგრეთვე, კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, პიანისტი ნათია ქავთარაძე და მისი მოსწავლეები კონსერვატორიის სამუსიკო სემინარიდან: ნინა მელიქიძე, ნატალი ცაგარეიშვილი, ანასტასია ჯავახიშვილი.

ამ ლამაზ სადამოს ფონად გასდევდა პოეტების ხუთეულში დასახელებული თემურ ჩალაბაშვილის და ტარიელ ხალხელაურის მიერ ზეპირად წარმოთქმული ლექსები, ნორჩმა დეკლამატორმა, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტმა, მარიამ ტოხიშვილმა, მხატვრულად წაიკითხა



შეხვედრის სამახსოვრო ფოტო

ცნობილი პოეტის და საზოგადო მოღვაწის, თემურ ჩალაბაშვილის ლექსები. ხანგრძლივი აპლოდისმენტები თან სდევდა თითოეულ საკონცერტო ნომერს.

გაზეთ „შირაქის“ მთავარმა რედაქტორმა ინგა შიოლაშვილმა და გაზეთ „ბორჯომის“ წარმომადგენელმა დალი ქურდაძემ აღნიშნეს, რომ ამ დღეებში გაზეთ „შირაქის“ დაარსებიდან მე-10 000 ნომერი გამოვიდა და იგი დაარსებიდან 84 წელს ითვლის, ხოლო „ბორჯომს“ 2021 წლის 21 ივლისს დაარსების 90 წელი შეუსრულდა, ორივე გაზეთი დღესაც წარმატებით ემსახურება მუნიციპალიტეტის მოსახლეობას.

კომპოზიტორმა კახა ცაბაძემ გაზეთი „შირაქის“ და „ბორჯომის“ რედაქციას სამახსოვროდ აჩუქა თავისი ავტორობით გამოცემული ნოტების სამტომეული დაღისკი.

გალა-კონცერტს ესწრებოდნენ 2014-2020 წლებში სხვადასხვა ნომინაციებში გამოვლენილი ნომინანტები: მედეა ამირანაშვილი, გიზო ჟორდანიას – „მეტრის“ ნომინანტის ვაჟიშვილი – ერუკლე ჟორდანიას, ვახუშტი ქიზიყურაშვილი, თამაზ კობაიძე, გოდერძი გონაშვილი, გურამ ქაშაკაშვილი, მარინა მაჭავარიანი-ანჯაფარიძე, ნანი საბანაძე.

XXI საუკუნის პირველი ოცწლეულის ხელოვანებს თბილი სიტყვებით მიმართეს, ჯანმრთელობა და დღევრძელობა უსურვეს ინტელიგენციის ცნობილმა წარმომადგენლებმა: თემურ თავაძემ, სოსო ჭუმბურიძემ, 95 წლის მოქმედმა ექიმ-თერაპევტმა ელენონრა ბაბუნაშვილმა.

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარემ გოგი შავერზაშვილმა და კომპოზიტორმა ვაჟა აზარაშვილმა, ხელოვანთა სახელით, მადლობა გადაუხადეს პროექტის ინიციატორს და ორგანიზატორს ნანა

ჭიჭინაძეს, რომელიც უანგაროდ ეწევა საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია (საპატიო თავმჯდომარე ვანო ნატროშვილი) საქველმოქმედო საზოგადოება „ამაგდართან“ (გამგეობის თავმჯდომარე აკადემიკოსი ვახუშტი ქიზიყურაშვილი) ერთად, არაერთ საინტერესო პროექტს ახორციელებს, როგორც დედაქალაქში, ასევე, დედოფლისწყაროში. ბატონმა ვაჟამ გაიხსენა 2014 წლის 19 ოქტომბერს სამხატვრო აკადემიის საგამოფენო დარბაზში საქართველოს მასშტაბით გამოვლენილი „მეტრის“ ნომინანტებიდან: რუზო ტაკიძე, რუზო ჩხეიძე, გიზო ჟორდანიას, გივი თოიძე, თენგიზ მუშკუდიანი, ელდარ შენგელაია, გოდერძი გონაშვილი, რობინონ ნატროშვილი და მერაბ რობიტაშვილი და მათი დაჯილდოების ცერემონიალი, რომელსაც ამშვენებდა ცნობილი მხატვრის ქეთი მხეიძის პერსონალური გამოფენა და თბილისის ოპერის წამყვანი სოლისტების მიერ შესრულებული საოპერო არიები.

სამწუხაროდ, დღეს ჩვენს გვერდით აღარ არიან თავად ახალგაზრდა მხატვარი ქეთი მხეიძე, მრავალი თაობის აღმზრდელი რეჟისორი გიზო ჟორდანიას, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის მემცენარეობის დარგის თვალსაჩინო წარმომადგენელი მერაბ რობიტაშვილი. დამსწრე საზოგადოებამ წუთიერ დუმილით პატივი მიაგო მათ ხსოვნას.

კარგად მახსენდება ამავე დარბაზში 2015 წლის 25 მარტს, საუკუნის ლეგენდის და „ახალგაზრდა პროფესიონალის“ ნომინაციაში გამოვლენილი, მედეა ამირანაშვილის, მანანა ახმეტელის, ნანი ბრეგვაძის, ნონა გაფრინ-



კომპოზიტორთა კავშირის ტრიო: ქეთევან თავშეაძე, ია ბახტაძე და მაია ჯინჭველაშვილი კახა ცაბაძესა და ვაჟა აზარაშვილითან ერთად

დაშვილის, ნაირა გორაშვილის, თამარ მოძღვრიშვილის; ახალგაზრდა პროფესიონალების: ინგა შიოლაშვილის, დოდო დიასამიძის, დეიკო ალუღიშვილის, მარინა ფარულაუას, ანა ხარაშვილის და სხვების პატივსაცემად შესრულებული საოპერო არიები, რომელშიც მონაწილეობდნენ მედეა ამირანაშვილის მიერ აღზრდილი ახალგაზრდა ვოკალისტები.

2021 წლის 20 დეკემბრის საღამოს, საინტერესოდ უძღვებოდა ხელოვნებათმცოდნე ია ხურცილავა; ის ქართულ-ამერიკული სკოლის პედაგოგია და ჩვენი პროექტების მუდმივი მხარდამჭერი და სპონსორი.

გალა კონცერტი დასრულდა ახალგაზრდა დეკლამატორის, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემოქედის საჯარო სკოლის ოქროს მედალოსანი კურსდამთავრებულის, დედოფლისწყაროს მწრალთა ასოციაცა „ფოროსმანის“ წევრის, ამჟამად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის მარიამ ტოხიშვილის მიერ წაკითხული ორი საკუთარი ლექსით: „მკვდარი პოეტების საზოგადოება“ და „სადღერძელო“.

გაზეთ „საქართველს ლირიკის“ სახელით, მადლობა მინდა გადავუხადო ეროვნული ბიბლიოთეკის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კულტურული პროგრამების განყოფილების უფროსს, ბატონ გიორგი საბანაძეს, თბილისის ოპერისა და ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელს, ბატონ ბადრი მაისურაძეს და გალა – კონცერტში გამომსვლელ თითოეულ მონაწილეს XXI საუკუნის პირველი ოცწლეულის კულტურის სფეროში მოღვაწე ხელოვნების, წლის საუკეთესო გაზეთების: „ლიტერატურული საქართველოს“, „შირაქის“, „ბორჯომის“ და 2021 წლის

საუკეთესო სამშენებლო კომპანია M<sup>2</sup>-ის პატივსაცემად განხორციელებული პროექტისთვის.



ია ხურცილავა, კახა ცაბაძე და თათა კვანტალიანი

# მარინა პოპიაშვილი

## ფერთა სამოთხე

ტრადიციულმა შემოდგომა – 2021 გამოფენამ დამთვალიერებლებში დიდი ინტერესი გამოიწვია, რომელიც გამართა ერთი მხატვრის ნათელა იანქოშვილის მუზეუმში (თბილისი, რუსთაველის გამზ. 26).

გამოფენა გახსნა რესპუბლიკის დამსახურებულმა მხატვარმა გაია მარკოზაშვილმა და დამსწრე საზოგადოებას ამცნო, რომ ამიერიდან პროფესიონალი და თვითნასწავლი მხატვრების გამოფენა ცალ-ცალკე მოეწყობა და სასურველია, რომ მხატვარი მხატვართა ლიგის წევრი გახდეს. წლის ბოლოს კი სამ საუკეთესო მხატვარს დაჯილდოვებთ...

გამოფენის მონაწილეებს მიესალმა მხატვართა ლიგის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, გამოფენის ერთ-ერთი ორგანიზატორი ინგა აბდუშელიშვილი. მან მადლიერება გამოხატა პროექტის ავტორის გაია მარკოზაშვილის, თეიმურაზ დვალისძვის, ნუგზარ მელაძის, ნინო დვალისძვის მიმართ და აღნიშნა, რომ სწორედ მათი თაოსნობით წელიწადში ოთხჯერ იმართება გამოფენა და მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოიცემა კატალოგი: „გაზაფხული“, „ზაფხული“, „შემოდგომა“ და „ზამთარი“, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის, ასევე, მარინა მარკოზაშვილს. ამ სივრცეში მხატვრები ერთმანეთს ვხვდებით.



ნებისმიერი ეპოქის საზოგადოებას დღესაც გვჭირდება სულიერი თვალის ახელა, რადგან ყურისათვის საგანი სხვაა, ვიდრე თვალისთვის. ფაქტია, რომ ხელოვნების უმთავრესი ფუნქციაა ადამიანმა შეიცნოს საკუთარი თავი; ხელოვნების სიყვარული ბედნიერების ფორმულაა, ეს არის ის ძალა, რომელმაც ვაჟა ფშაველას ათქმევინა:

„მთლად მე მეკუთვნის ქვეყანა,  
მთაში მთა, ბარად ბარია,  
ზღვა და ხმელეთი ერთიან,  
ცას – ვარსკვლავების ჯარია...“

მსგავსი განცდა აყალიბებს ადამიანს სრულფასოვან ინდივიდად და სწორედ ამით უუახლოვდებით შემოქმედს, არსთა გამრიგეს.

სახელდახელო კომენტარი ვთხოვე გამოფენაზე მოსულ ცნობილ ადამიანებს:

მერაბ კოკჩაშვილი – კინორეჟისორი: სხვადასხვა მხატვართა მიერ შექმნილ ნამუშევრებში თითოეული მათგანის განსხვავებული სტილი და გემოვნება იკითხება. ამის დასტური გახლავთ ამ გამოფენაზე წარმოდგენილი ფერწერული ტილოები, გობელნები, ქანდაკებები და სხვა.

მოვიხიბლე ინგა აბდუშელიშვილის ფერწერული ტილოთი „ბროწეულის ფლუიდები“ და გიორგი აფციაურის – „მსახიობი ანა გიორგობიანი“. ფაფუკ თოვლში ჩაფლული სამყარო უდიდეს ხიბლს მატებს მხატვარ ნოდარ ცანავას ფერწერულ ტილოს „ზამთარი“. თამამი ფერთა შესამებით გამოირჩევა ფიქრია კოხოდის ნახატი „ბროლის ვაშლები“. წარმატებებს ვუსურვებ გამოფენის მონაწილე როგორც პროფესიონალ, ასევე, ახალბედა მხატვრებს.

მაყვალა გონაშვილი – პოეტი, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე: მოგვიანებით თუმცა მაინც ახდა დიდი ქართველი მხატვრის ელენე ახვლე-



მანონი მაქაცარია. სერაფიმე საროველი

დიანის ნატვრა. ერთ-ერთი გამოფენის დათვალიერებისას უთქვამს: „ალბათ ნახეთ, რერიხი, აღფრთოვანდით, არა? იცით, მე რას განვიცდიდი, როცა გამოფენას ვათვალიერებდი? – სირცხვილს! დიახ, დიახ, სწორედ სირცხვილსა და სინდისის ქენჯნას. რერიხმა ჰიმალაის სილამაზე კაცობრიობის მონაპოვრად აქცია. ჩვენი სვანეთი, მთათუშეთი, ან საქართველოს რომელიმე კუთხე რითია ნაკლები? თუ დავბრძვებით... ვერ ვხედავთ ამ სილამაზეს თუ რა?...“ მას მართლაც სჯეროდა, რომ საქართველოს სილამაზე არ იყო დანახული და ფერწერით გადმოცემული, უნდოდა ამ სილამაზით მხატვრებს „კაცობრიობის მონაპოვარი შეექმნათ“. დღეს რომ ელენე ახვლედიანს ნინო რამიშვილის ფერწერული ტილო „სვანეთი“ ენახა, უთუოდ აღფრთოვანდებოდა ამ სილამაზით.

ნანა ჭიჭინაძე – ჟურნალისტი: ვაშლოვანის ნაკრძალი ცნობილია თავისი ბიომრავალფეროვნებით, ენდემური სახეობებით და ულამაზესი ხედებით. ამ სილამაზით აღფრთოვანებულმა ნორჩმა მხატვარმა დემეტრე ომარაშვილმა ვაშლოვანის ნაკრძალისა და კავკასიონის ფონზე დახატა „არწივი“, მისი მრავალფეროვანი შემოქმედებიდან გამოფენისათვის სწორედ ეს ნახატი შეარჩია ბატონმა გია მარკოზაშვილმა და დამთვალიერებლების დიდი მოწონება დაიმსახურა. უღრმესი მადლობა ბატონ გიას თანამედროვე ქართველი მხატვრების გვერდით დემეტრეს ნახატმაც რომ დაივანა.

ელეონორა ბოჭორიშვილი – 95 წლის მოქმედი ექიმი თერაპევტი: პანდემიის მიუხედავად 30 ოქტომბერს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ვესწრობოდი ჯუზეპე ვერდის ოპერის „ბედის ძალა“ პრემიერას. მაყვალა ასპანიძის (დონ ლეონორა) და კონსტანტინე ყიფიანის (დონ ალვარო) დუეტმა აღმაფრთოვანა; დღესაც ამ გამოფენის დათვალიერებისას იგივე განცდა დამეუფლა. გია მარკოზაშვილის ფერწერულმა ტილომ „ვირუკელას გასეირნება“, ქეთევან ოძელაშვილის „ბალერინა“, ნინო კოკაიას „შემოდგომის წვიმა“, მარიკა ქვლივიძის „ქარის წისქვილი“,



ნინო რამიშვილი. სვანეთი

ნანა ქავთარაძის „პეიზაჟი“ დიდი შთაბეჭდილება დატოვა ჩემში.

ხათუნა ბაბუხაძე – გობელინის, ფარდაგის, ხალიჩის მხატვარ-დინაინერი: ჩემი ყურადღება მიიქცია და აღფრთოვანდი მანონი მაქაცარიას ხატწერის ნამუშევრებით: „სერაფიმე საროველი“ და „ქრისტეშობის ხატი“, რომელიც თქაშია შესრულებული. 23 წელია ამ სფეროში ვმოღვაწეობ და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ დღეს თუ ქაზე და გობელინზე თითქმის აღარავინ მუშაობს გარდა თითხე ჩამოსათვლელი მხატვრებისა; ჩემი სტუდენტობის მეგობრების, დების: ნესტან და ქეთევან სამხარაძეების გობელინი „შემოდგომა“ და „დიდების შარაჟანდელი“ მშვენიერების გვირგვინია.

კობა ბახტაძე – კბილის ტექნიკოსი: თვალი ვერ მოვწყვიტე ბელა კავთელიშვილის ფერწერულ ტილოს „პეიზაჟი“. ერთი მართოსული ხე დგას მოზრდილი ტოტებით და ანდამატივით იზიდავს დამთვალიერებელს.

ნუგზარ ალუღიშვილი – ფერმერი: ყოველთვის მოცუბენ გოჩა ზირაქიშვილის ნახატები; ასე იყო ამჯერადაც, „რაინდი“ ერთ-ერთი შედეგია მის შემოქმედებაში.

ლილი ქავთარაძე – ფოლკლორისტი: საიდან მოდის ეს სილამაზე?! ბროწეულის ხილვამ კაველი შანავას ნახატში „ხვაეი და ბარაქა“ გოგლა ლეონიძის „ნატვრის ხე“ გამახსენა – მარიტას საფლაზე ბროწეულის ხე რომ ამოსულიყო...

მხატვრობა უსასრულო სამყაროა, ემოციებითა და ფერებით სავსე, სადაც მთავარი თავისუფლებაა; მას არ აქვს საზღვარები. ეს არის ემოციის ჯაჭვი, რომელსაც ფერთა სამოთხეში გადაყვართ. მადლობა, ყველა ხელოვან ადამიანს იმისათვის, რომ ისინი არსებობენ, იღწვიან, ქმნიან და მოგვიწოდებენ სიკეთისა და მშვენიერებისაკენ.



დემეტრე ომარაშვილი. არწივი


## ეთერ ფაცურია

კიდევ ერთმა სასიქადულო ქართველმა, თხემით ტერფამდე ინტელიგენტმა ქალბატონმა დატოვა ეს წუთისოფელი. გარდაიცვალა ჩვენი დროის უშესანიშნავესი საზოგადო მოღვაწე, საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის და საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი ეთერ ფაცურია. მისმა მოულოდნელმა სიკვდილმა მწუხარება გამოიწვია მთელ საქართველოში. იგი გახლდათ პოეტთა და პროზაიკოსთა გაზეთის, „საქართველოს ლირიკა“, მთავარი რედაქტორი. ოცზე მეტი წიგნის ავტორი. ნიკო ნიკოლაძის, გოგლა ლეონიძის, შიო მღვიმელის და იაკობ გოგობაშვილის პრემიების ლაურეატი. ქართული კულტურის ამაგდარი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი. უამრავი სიგელის და დიპლომის მფლობელი. ყველაზე დიდ ჯილდოდ კი მას ხალხის დიდი სიყვარული მიაჩნდა. რომელი კუთხიდან არ იღებდა სამადლობელ წერილებს, გაზეთ „საქართველოს ლირიკაში“ დაბეჭდილ ლექსებს ხალხი უბის ჯიბით დაატარებდა. ქალბატონმა ეთერიმ ცნობილ პოეტ, მწერალ, მეცნიერ, პუბლიცისტ მეუღლესთან, ლადო ალფენიძესთან ერთად სანიმუშო ოჯახი შექმნა. მათი ერთადერთი ვაჟი, ლადო ალფენიძე სანკ-პეტერბურგის დიპლომატიური კორპუსის თვალსაჩინო წარმომადგენელია. გამორჩეული პიროვნული ხიბლით აღსავსე, უნიკალური ნიჭის, ღრმა ინტელექტუალური აზროვნების, სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული ქალბატონი ეთერის ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი კოლეგების, მეგობრების, ახლობლების გულში. დაიკრძალა 2022 წლის 6 იანვარს, ხუთშაბათს, თბილისში, საბურთალოს მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

აქვე გთავაზობთ ეთერ ფაცურიას რამოდენიმე ლექსს:

\* \* \*

ჩემო სამშობლო!  
 სადაც შენ ხარ იქ ყველაფერი  
 იქნება ჩემთვის თავისუფალი,  
 ცა, ოკიანე, ზღვა, ხმელეთი  
 და ყველა მდინარე,  
 ჩემი ნება და  
 დიდი სურვილი  
 ექნებათ ნისლებს,  
 მაგრამ შენ, შენ ჩემო სამშობლო,  
 არც არასოდეს იქნები ჩემთვის ხელუხლებელი,  
 მაგრამ იქნები მარადჟამს ისე,  
 ვითა მწვერვალი დაუპყრობელი!...




### არ დამემდუროთ...

არ დამემდუროთ, იასამნებო,  
 ვიენისაჲ და კელასურისაჲ,  
 ზღვაო და გემო, პატარა ნავო  
 ნიჩბებცისფერო...  
 თუ გამიწვიმდა  
 და ნაადრევად  
 მეც მიგატოვეთ...  
 რომ ვერ გიშველეთ,  
 როცა გიჭირდათ...

### მიყვარს მარტი

მე მიყვარს მარტი  
 თავის დღეებით,  
 თავის ცვალებად  
 გამოდარებით,  
 მიყვარს მარტი და  
 ქარი ძლიერი,  
 ადამიანის  
 მსგავსი ხელებით,  
 ფანჯრის მინას რომ  
 მომიკაკუნებს,  
 მე მიყვარს მარტი  
 მიყვარს წვიმები,  
 თავის ცვალებად  
 გამოდარებით



# თამაზ ნატროშვილი

2022 წლის იანვარში 84 წლის ასაკში გარდაიცვალა ჩვენი თანამემამულე ცნობილი მწერალი, მეცნიერი, ისტორიკოსი **თამაზ ნატროშვილი**. იგი რამოდენიმე ენას ფლობდა და ორიგინალში ეცნობოდა აღმოსავლურ ისტორიულ წყაროებს. ეს სიზუსტე და უტყუარობა ჩანს კიდევ მის ყველა წიგნსა თუ ნაშრომში. ამიტომაც მისი წიგნები, როგორცაა: „მაშრიფიდან მალრიბამდე“, „დაღათე იყოს სიკვდილი“, „წელი ერთი და ათასი“ საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთა სამაგიდო წიგნებად იქცა.

თამაზ ნატროშვილი 2022 წლის 26 იანვარს თბილისში მახათას მთაზე არსებულ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს.

მისი შემოქმედებით დაინტერესებულ მკითხველს კი ვთავაზობთ თამაზ ნატროშვილის საინტერესო წერილს:

”

## ვინ უფრო უყვარდათ საქართველოში

წლების მანძილზე ერთიმეორის გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ და იღვწოდნენ სვიმონ პირელი, მეფე ქართლისა (1558-1600) და ალექსანდრე მეორე, მეფე კახეთისა (1574-1605). ერთიმეორისგან განსხვავებულნი და, არცთუ იშვიათად, ერთმანეთს დაპირისპირებულნი ქვეყნის სურათს საუცხოოდ ავსებდნენ, ვინაიდან ერთი სანუკვარი მიზანი ედოთ გულში, ოღონდ თავისებურად მისდევდნენ გზას ამ მიზნისაკენ. დიახ, დიახ, მართალია მოყვრებიც იყვნენ (სვიმონს ცოლად ჰყავდა დაი ალექსანდრესი), მაგრამ ზოგჯერ ესეც ავიწყდებოდათ და, თქვენ წარმოიდგინეთ, უკადრის კადრულობდნენ.

რა გაეწყობა, საღაურნიც იყვნენ, იქაური ქუდი ქურათ. „უმცირესი ბოროტების“ არჩევანი რეფრენად მიჰყვება ქართლის ცხოვრებას საუკუნეთა სიღრმიდან დღემდე.

სცილა-ქარიბდას დილემა განსაკუთრებით მწვავედ იდგა XVI-XVII საუკუნეთა საქართველოში, როდესაც სამკვდრო-სასიცოცხლო ომი იყო გაჩაღებული ოსმალეთსა და სეფიანთა ირანს შორის, ორივე მათგანი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იმ გარემოებას, თუ ვის მხარეზე იქნებოდა საქართველო, რომელიც თავისი პოლიტიკური დაქვეითებისა და დაქუცმაცების ჟამსაც კი ანგარიშგასაწევ სამხედრო ძალას წარმოადგენდა.

ქართლის სახელოვან მეფეს მტერმა „დელი-სვიმონი“ შეარქვა. ასე ეძახდნენ ყიზილბაშებიც და ოსმალებიც.

თურქულ ენაზე და ამავე ენის თურქმანულ დიალექტზე,

ყიზილბაშთა დედაენა რომ იყო „დელი“ ნიშნავდა – ხელს, გახლებულს (ასე თარგმნის ქართველი მემატიანე), ანუ გიყს, ჭკუიდან შეშლილს, გადარეულს, აგრეთვე – შმაგს, შლეგს, მძვინვარეს. მაგრამ, საკმაოდ ხშირად, ამ უსიამო სიტყვას სხვა მნიშვნელობაც ენიჭებოდა. გულისხმობდნენ ხოლმე – უზომოდ გულადიო, უანგარიშოდ გამბედავიო, თავზუხელალებულიო.

სვიმონ მეფე ხან ყიზილბაშებს ეომებოდა, ხანაც – ოსმალებს. ვინც მისი ქვეყნის დაპყრობას ლამობდა, ვინც მშობლიურ მიწა-წყალს ართმევდა, იმას ეომებოდა. მკლავმოუღლეად და თავდაუზოგავად ეომებოდა დღევანდელ მტერს და ხვალინდელ მტერთან ჰკრავდა კავშირს.

სცილა და ქარიბდა!

ყიზილბაშებიც და ოსმალებიც „დელი-სვიმონს“ რომ უწოდებდნენ, ამით გამოხატავდნენ უნებლიე აღტაცებას, ენით აუწერელ გაცოცხლებას მისი ვაჟკაცობით; ალბათ, მოწიწებაც და შიშიც ეუფლებოდათ.

სვიმონ მეფეს კი, უნდა ვიფიქროთ, ეამაყებოდა ესოდენ ორიგინალური მეტსახელი.

ომში უკანდახევა არა სჩვეოდა, თავგამეტებით უტევდა მტერს და თავბელს აწყევლინებდა, ხოლო თავის მეომრებს ასე ამხნევებდა: თქვენ მგელს ემგვანენითო და მტერი ცხერის ფარას ამსგავსეთო. კოხტად და კისკასად ჩაებმებოდა ბრძოლაში და თავისიანებს ომახიანად შესძახებდა ხოლმე: „დაჰკა, აი, ამათა!“ მტერი ვერ უძლებდა მისი შუბის ძგერებას. დელი სვიმონს სასტიკად ეჯავრებოდა გაქცევა ბრძოლის ველიდან, მრავალრიცხოვან მტერსაც არ ეპუებოდა და ამბობდა: ღვთის წინაშე ბევრი და ცოტა



სწორი არისო. არაერთგზის წარბმუხრელად გაუსწორებია თვალი სიკვდილისათვის. არ ეშინოდა სიკვდილისა, უშიშრად წარმოთქვამდა: სიკვდილისათვის ვარ გაჩენილიო.

არაერთი ომი გადაუხდია. გამარჯვების სიტკბოც უგემია და დამარცხების სიმწარეც, ქვეშევრდომთა ერთგულებაც უნახავს და მათი ღალატიც გამოუცდია. სასოწარკვეთილი ტყვეობაც არ ასცდენია თავისი არცთუ ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე.

XVII საუკუნის გერმანელი მოგზაური და სწავლული ადამ ოლეარიუსი გადმოგვცემს, რომ სვიმონ მეფე ცნობილი იყო, როგორც მამაცი მეთომარი და განათლებული კაცი, კარგი მელექსე და მცოდნე ფილოსოფიისა.

ნეტავი წაკითხული ჰქონდა თუ არა რომაელი ჰორაციუსის სიტყვები „ტკბილი და საპატიო არის სიკვდილი სამშობლოსათვის“?

ნეტავი გაგონილი ჰქონდა თუ არა, ძველ საბერძნეთში ნათქვამი: ისინი, ვინც თავი დასდო სამშობლოსათვის, ღმერთებად გადაიქცნენ და უხილავნი გახდნენ: ჩვენ, ცოცხლებს, გამარჯვებასა და კეთილდღეობას გვანიჭებენო.

წაუკითხავადაც ეცოდინებოდა ზემოთქმული. თავისი ქვეყნის წარსულიდან ეცოდინებოდა, ვითარცა წინაპართა ანდერძი, ძვალ-რბილში ექნებოდა გამჯდარი მცნება ადამიანის უპირველესი ვალის თაობაზე.

ერთხანს ყიზილბაშებს ეომებოდა. 1569 წელს, სოფელ ფარცხისთან გამართულ ბრძოლაში სვიმონ მეფე. მოღალატის გამოისობით, ტყვედ იგდეს ყიზილბაშებმა და ირანის გზას გაუყენეს. მაშინდელ სატახტო ქალაქ ყაზვინში მყოფი შაჰ-თამაზი უსაზღვრო კმაყოფილებით შეხვდა დატყვევებულ ქართლის მეფეს და კარგახანს პატივით ეპყრობოდა. მისი გათათრება ეწადა, მაგრამ სვიმონ მეფე არ გათათრდაო. ამდენი ადარ აპატიეს და ალამუთის ციხეში უკრეს თავი.

ჩრდილოეთ ირანის მიუვალ მთებში მდებარე ალამუთი ოდესღაც მრისხანე მულიდა ანუ ასასინთა წინამძღოლის რეზიდენცია რომ გახლდათ, სეფიანთა ირანის შაჰებს წარჩინებულ ტუსადთა საპყრობილედ გადაექციათ. იქაურობას იოლად ვერავინ მიუდგებოდა.

ადამ ოლეარიუსის სიტყვით, ალამუთის საპყრობილეში პატიმრობისას ქართველი მეფე დაუახლოვდა ისმაილ-მირზას (შაჰ-თამაზის ძეს), რომელიც იმიტომ ჩაემწყვდიათ იქ, რომ ველური და თავაწყვეტილი ბუნებით გამოირჩეოდა. მშვიდობიან დროს მეკობრეთა რაზმებს მიუძღვებოდა ოსმალების საზღვრისაკენ, დათარეშობდა და ყველას ძარცვავდა, მტერსა თუ მოყვარეს.

სვიმონ მეფეს ირანის ტახტის მემკვიდრის ნდობა და

პატივისცემა მოუპოვებია.

ისმაილ-მირზამ ტკბილი სიტყვითა და უამრავი დაპირებით დაიყოლია დელი-სვიმონი, რომ გამაჰმადიანებულიყო. შეჰპირდა, როგორც კი თავისუფლებას მომანიჭებენ და სამეფო ტახტზე ამიყვანენ, გულუხვად დაგასაჩუქრებ და სამშობლოში მეფედ დაგაბრუნებო. სამშობლოში დაბრუნების წადილმა სძლია, ქელი მოიხარა და მოჩვენებითად გამაჰმადიანდაო. მაგრამ გამაჰმადიანებას ვიღა ჩივის, როდესაც სწორედ ალამუთის საპყრობილეში მიეჩვია აღმოსავლეთის ქვეყნებში ფართოდ გავრცელებულ თრიაქს, ანუ ოპიუმს (ქართულად „აფიონს“ ამბობდნენ). ეტყობა, ისმაილ-მირზა ეტანებოდა ხსენებულ შხამს და „ისლამის ბედნიერებასთან“ ერთად, ამ ძაუნე ჩვევასაც აზიარა ქართველი მეფე.

ოლეარიუსი წერს, რომ აღმოსავლეთში ამტკიცებენ, თრიაქი უბრალო მოკვდავსაც კი სიმამაცეს და სულიერ მხნეობას უნერგავსო. სახელოვან ქართლის მეფეს ერთიც უხვად მოსდგამდა და მეორეც, მაგრამ ხანგრძლივი ტყვეობის სიმძიმემა აიძულა გაესინჯა აღმოსავლური სატყუარა. ერთხელ გასინჯა, ხანმოკლე ნუგეში ჰპოვა და ვედარ დაანება თავი ჯადო-წამლით თავის შექცევას. როგორც ჩანს, დაუძლეველ ჩვევად და მოთხოვნილებად ექცა.

გორიჯვართან იდგა და გულჯავრიანი გაჰყურებდა გორის ციხეს, რომელიც ოსმალებს ეჭირათ. ქართველი მემატანიის სიტყვით, ჭამა თრიაქი და გამხიარულდაო. ისევ გორისაკენ გაუხედავს და თვალში მოხვედრია, რომ ბოსტნებში ახალი მწვანილი მოსულიყო. მთხრობელი გვიხსნის, „თრიაქის მჭამელს“ მაშინვე მოშვიდებო. საგზალი როგორ არ ექნებოდათ, მაგრამ მეფემ მაინცდამაინც მწვანილი ინატრა და ქართველებმა სურვილი აუსრულეს მხოლოდ საიმისოდ, რომ დელი-სვიმონს ქორთა მწვანილით გაეგრელებინა თრიაქისაგან გამშრალი პირი. გორის ციხიდან თოფ-ზარბაზნის გრიალი ატყდაო. ისროლეს მრავალი და ამოწვიტეს ქართველნი მრავალიო, – ვკითხულობთ ქართულ წყაროში.

ასე იაფად, ალბათ, არასოდეს დაღვრილა ქართული სისხლი. მეფის რჩეული ქვეშევრდომნი დალუპულან არა სამშობლოსთვის, არამედ – მწვანილისთვის.

...როდესაც გარდაიცვალა შაჰ-თამაზი, ისმაილ მირზას მაშინვე გაუღეს ციხის კარი, ტახტზეც აიყვანეს და სვიმონისთვის მიცემული სიტყვა არ გაუტეხავს. ოღონდ ისე მოხდა, რომ ბედმა სულ რაღაც ექვსი თვე არგუნა წილად მბრძანებლობა. საწამლავით მოაკვდინეს და სვიმონ მეფის გასტუმრება სამშობლოში მის ძმას – ხოდაბენდეს მოუწია. ქართველი მემატანიის სიტყვით, შაჰ-ხოდაბენდეს დედამ (ანუ შაჰ-აბასის ბებია), ოთარ შალიკაშვილის ასულმა ლეჩაქი და ხმალი გაუგზავნა ალამუთიდან თავდასხნილ

დელი-სვიმონს და ასე შეუთვალა: „მეფეო სვიმონ, გწადდეს ლეჩაქი ესე აიღეო და გწადდეს ხმლით ჩვენც მოგვებმარე და შენ საბატონოსაცა“.

თქვენ როგორ ფიქრობთ, რომელს აირჩევდა დელი-სვიმონი, ლეჩაქსა თუ ხმალს? აქ არაფერია საეჭვო და სადავო. არჩევანი მარტვი იყო და ბრძოლებში გამოწვრთობილი ქართველი მეფისთვის – ერთობ იოლი. აქამდე რომ ყიზილბაშებს ებრძოდა თავგანწირვით, ამიერიდან ყიზილბაშთა მხარდამხარ ოსმალებს უნდა შეებრძოლებოდა.

სვიმონ მეფის საბრძოლო ბიოგრაფიაში განსაკუთრებით გამოირჩევა 1582 წელს მუხრანის ველზე მოხვეჭილი გამარჯვება არზრუმის ფაშაზე. თურქული წყაროს ცნობით, ოსმალთა ოციათასიანი ლაშქრიდან ერთი მეათედიც ვერ გადარჩაო. დელი-სვიმონის ამგვარი წარმატება არც პირველი ყოფილა და არც უკანასკნელი.

ერთხელ ელჩად გადაცემული ესტუმრა ოსმალთა სამხედრო ბანაკს. ოსმალო ფაშას დაზავება შესთავაზა. საფუძვლიანად დაზვერა იქაურობა; გონებაში კარგად მოინიშნა და მეორე დღით თავს დაესხა მტერს. სასტიკად დაამარცხა.

ომში ხომ ომობდა ლომივით და აგერ, ხერხითაც გამოიჩინა თავი. ქართველ მეფეთაგან (და უცხოელებიც მივათვალოთ), ალბათ, არავის დასიზმრებია მტრის ბანაკში მზვერაუად წასვლა. სიკვდილთან თამაში, ჩანს, სიცოცხლეზე მეტად უყვარდა.

სვიმონ მეფის სიცოცხლეშივე იქმნებოდა მისი პოპულარობის ამსახველი ხალხური თქმულებანი. აი, ერთი მათგანი, ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებას რომ შემოუნახავს:

ომში დამარცხებული მეფე უჯაროდ, მარტოდმარტო სოფელ კავთისხევში შეჩერებულა. გადაქანცულს დასვენება ენატრებოდა და ღარიბი გლეხის ოჯახს ესტუმრა. გლეხის ცოლმა მეფე ვერ იცნო, სახლში შეუძღვა და გაუმასპინძლდა. მერე მეფისა და მისი ლაშქრის ამბავი გამოჰკითხა. სვიმონმა გულახდილად უპასუხა: მეფე დამარცხდა, მაგრამ ცოცხალი გადარჩაო. ქალმა ახლა თავისი ქმარ-შვილის ამბავი ჰკითხა. აუწერა მათი შესახედაობა. – რა დაემართათ, ხომ არ იციო? მეფემ მიუგო: არაფერი ვიცი მაგათი, არ შემხვედრიანო. მაშინ კავთისხეველმა დედაკაცმა თითქოს მთელი ქვეყნის სათქმელი მოახსენა დამარცხებულ სვიმონს: რაკი ჩვენი მეფე ცოცხალი ყოფილა, ჩემი ქმარიც და შვილებიც იმისი ჭირის სანაცვლო იყოსო.

სვიმონ მეფის საარაკო გულადობა თანამედროვეებსაც აღაფრთოვანებდა და შთამომავლობასაც მისაბამ მაგალითად ესახებოდა.

იოსებ ტფილელის პოემაში „დიდმოურავიანი“ თვით

გიორგი სააკაძე ასე მოიხსენიებს სვიმონ მეფეს: „ქართლს ხმალი იმან შეარტყა, მტერნი გახადა კიდიოთ“.

გაივლის სამი-ოთხი საუკუნე და ჩვენი დროის გამოჩენილი ისტორიკოსნი ქათინაურებს არ დაიშურებენ სახელოვანი ქართველი მეფის მისამართით.

ივანე ჯავახიშვილი: „სვიმონ მეფის თავგანწირული ბრძოლის მნიშვნელობა საქართველოს მტრების წინააღმდეგ თანამედროვეებს კარგად ესმოდათ“.

ნიკო ბერძენიშვილი: „ასე შექმნა საქართველოს სვიმონ მეფე, რომელიც ორმოცდაორ წელიწადს ღირსეულად იცავდა დამოუკიდებლობისა და ეროვნული თავისუფლების დროშას ირანისა თუ ოსმალების მოძალადეებისგან“.

უილიამ ალენი (ინგლისი): „დელი-სვიმონი იყო ყველაზე ღირსშესანიშნავი პიროვნება ქართველ მეფე-მთავართა შორის XVI საუკუნეში. მან მრავალგზის დაამარცხა ოსმალები და თავის საბოლოო მიზნად ისახავდა ძველი საქართველოს ყველა მიწების ხელახლა გაერთიანებას“.

1599 წელს სვიმონ მეფემ ოცნება აისრულა – გორის ციხე აიღო. მაგრამ მომდევნო წელს ქართველებისათვის ავად დაცდილ ალგეთზე ბრძოლაში ოსმალებმა ტყვედ ჩაიგდეს და ბინა მიუჩინეს სტამბოლის საპატიო ტუსადთა საპყრობილეში, „იედი კულე“ (შეიდი კოშკი) რომ ერქვა. მისი დატყვევების აღსანიშნავად, ხონთქრის ბრძანებით, ოსმალების დიდ ქალაქებში სამღდიანი ზეიმი გამოცხადდა.

მთელი სიცოცხლე სიკვდილს ეთამაშებოდა, ორთაბრძოლაში იწვევდა, არ ეშინოდა მისი. თავად სიკვდილი უფრთხოდა და გაურბოდა დელი-სვიმონს. სიკვდილი რა სათქმელია, ამდენ ომში, ვგონებ, ერთხელაც არ დაჭრილა. საცა სამართალია, ბრძოლის ველზე უნდა დაღუპულიყო, მაგრამ ბედმა დასცინა და ტყვეობაში სიკვდილი არგუნა წილად. პატივყარილი, და ეგებ ბორკილგაყარილიც, უხმლოდ, უშუბოდ, უჯაროდ, უნუგემოდ და უიმედოდ ელოდა უსისხლო სიკვდილს, ელოდა ტუსადის ულუფას და ნატრობდა დაგვიანებულ სიკვდილს.

მეფე ქართლისა ვეღარ ეღირსა სამშობლოში დაბრუნებას და „იედი კულეს“ საპყრობილეში დალია სამშობლოსათვის ტანჯული სული.

დიდებული ქართველი მკვლევარი და დიპლომატი ზურაბ ავალიშვილი ქართველ მეფეთა ორგვარ პოლიტიკურ კურსზე მსჯელობისას ორჭოფულად შენიშნავდა: „ძნელი სათქმელია, რომელი იყო უფრო გონივრული ამ ორი პოლიტიკიდან. ოპორტუნისტმა მეფეებმა არაერთხელ იხსნეს ქვეყანა აოხრებისგან, მაგრამ არაფერი გაუკეთებიათ ეროვნული თავმოყვარეობისა და ქრისტიანთათვის. ხოლო მეფე-ჯვაროსნებმა არაერთი ვაება დაატყვეს თავს ბედკრულ სამშობლოს, მაგრამ ისინი უფრო უყვარდათ და მათ ხსონას მოწიწებით ინახავდნენ გულში“.



3 მარტს 40 დღე გავიდა, რაც ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიას დათბლდა. ჩვენი ძვირფასი ეპისკოპოსი დიმიტრი უფალთან წავიდა და უკვე იქიდან ზრუნავს თავის საყვარელ სამწყმსობზე.



აქტრისა მარ გარია



სამოჭიპის სტოლი



ბატკანი და სანაღებო სუფია




სომეხი



მეძვენი



მეძვენი პეიზაჟის ფონზე



პეიზაჟი

